პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კაშოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—36.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

## დღიური

- ჯამშედპურში (ინდოეთი) ლოკაუტი გამოუცხადეს 30.000 ფეიქარს.
- თავდასხმა არგენტინის კომპარტიის ცეკას ბინაზე.
- გადადგა ჩჟან-ძო-ლინის მომხრე სუნ-ჩუან-ფანი.
- იაპონიის წრეების აზრით პეკინს დაიკავებს ენ-სი-შანი, ტიანცზინს—ფინ-იუ-სიანი.
- ანტი-იაპონური დემონსტრაციები ჰონკონგში.
- გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ბორისოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 6 ივნისი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 129 (2172)

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

## ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

საკავშირო და ა.კ. მთავრობების მიერ გამოცემულ სათანადო დებულება-დადგენილების საფუძველზე საქართველოს სახკომსაბჭომ, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, მიიღო დადგენილება 1928—29 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ (იხ. „კომუნისტი“ № 127).

ჩვენ ფართე და გადაჭრილ შეტევას ვაწარმოებთ კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ როგორც ქალაქად, ისე სოფლად. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემის ერთი უმთავრესი დანიშნულებათაგანია ერთი მხრივ მტკიცე საზღვარი დაუდოს კულაკობის ზრდას, ხოლო მეორე მხრით მისი შემოსავლის რაც შეიძლება მეტი წილი წარმართულ იქნას სოციალისტურ მშენებლობის ამოცანების გადასაჭრელად.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წინედ მოქმედი კანონი, რა თქმა უნდა, აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ ახალ კანონში ამ მხრივ გადადგმულია შემდეგი ნაბიჯები: უფრო გაძლიერებულია კულაკობის დაბეგვრა და უფრო სრულადაა გათვალისწინებული მისი საშემოსავლო წყაროები.

ამისათვის, ჯერ ერთი, შეძლებულ მეურნეობათა დაბეგვრა უნდა მოხდეს უფრო მაღალ ნორმების მიხედვით, ვინემ გლეხობის საშუალო ჯგუფების დაბეგვრა. შემდეგ: იმ მეურნეობების მიმართ, რომელნიც განსაკუთრებით განირჩევიან თავისი სიძლიერით და კერძოდ უშრომო ხასიათით, წესდება ინდივიდუალური მიდგომა, რომ შესაძლებელი გახდეს მათი ნამდვილი შემოსავლის გამორკვევა და ამის მიხედვით გადასახადის რაოდენობის განსაზღვრა. ხაზგასმულია აგრეთვე, რომ საგრძნობლად გაძლიერებულია არასამიწად მოქმედი შემოსავლის წყაროების დაბეგვრა. ასეთი წყაროები კი უმეტესად შეძლებულ ფენებს მოეპოვებათ და, მაშასადამე, ეს ზომა მიმართულია მათი ზრდის შეზღუდვისაკენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც წესი, (გამონაკლისები დაიშვება ცალკე მაზრების და რაიონებისათვის), მემინდვრეობის შემოსავალი აღირიცხება ფაქტიურად დათესილ მიწის რაოდენობის და არა სახნავის მიხედვით. ვინაიდან მთელი სახნავის დათესვის საშუალება უმთავრესად გლეხობის მაღალ ფენებს აქვთ, ცხადია, რომ ამით მათი შემოსავალი უფრო სრულად გამოაშკარავდება და ამის კვალობაზე მათზე შეწერილი გადასახადიც გადიდდება, ხოლო ამავე დროს ნაკლებად შეძლებულ გლეხობის საგადასახადო ტვირთი შემცირდება.

თავის თავად იგულისხმება, რომ ღარიბი გლეხობა, როგორც წინად, ეხლაც სრულებით განთავისუფლებულია გადასახადისაგან. მასთან ახლო მდგომ მცირე შეძლების საშუალო გლეხობის მდგომარეობაც შემსუბუქებულია. ამასთან საშუალო გლეხობის ძირითადი მასებისათვის საგადასახადო ნორმები საერთოდ რჩება ძველებური, რაც მათთვის სავსებით მისაღებია. ეს მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ბოლო დროს ნივთიერად მოღონიერდა და კერძოდ საშუალო გლეხობის შემოსავალი გადიდდა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო რაოდენობა კი 1928—29 წლისათვის მომატებულია,—საბჭოთა კავშირის მასშტაბით უდრის 400 მილიონ მანეთს გასული წლის 320 მილიონის მაგივრად. ცხადია, რომ ეს მომატება ტარდება კულაკურ ფენების დაბეგვრის გაძლიერების გზით.

ასეთია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ზოგიერთი ძირითადი მომენტი, რომელნიც მთლიანად უზრუნველყოფენ ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის კლასობრივ ხაზს სოფლად. მაგრამ კანონი ერთია და მისი გატარება ცხოვრებაში კიდევ სხვა. სწორედ საქმის ამ მხარეს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. უმთავრესი, პირდაპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო კამპანიის პირველ პერიოდს,—საღრიცხვო მუშაობას, საშემოსავლო წყაროების და დასაბეგრ ობიექტების სრულად გამორკვევას. კულაკური ელემენტები ჩვეულებრივ შეეცდებიან დაფარონ თავისი შემოსავლის საგრძნობი ნაწილი, რომ თავი დაიძვრინონ ხვედრი გადასახადისაგან. ამის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები.

და აქ უდიდესი პასუხისმგებლობა აწევს პირველ რიგში სასოფლო-საღრიცხვო კომისიებს, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ საშემოსავლო წყაროთა აღნუსხვა, თვითეულ მეურნეობის არა სამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობის განსაზღვრა და სხ. წინედ ეს მუშაობა ტარდებოდა სოფლად მოვლენილ სპეციალურ აღმრიცხველების საშუალებით. მაშასადამე, ეს ახალი საქმეა ადგილობრივ საბჭოთა აპარატისათვის. ამ დავალებას ხსენებული კომისიები პირნათლად შეასრულებენ მხოლოდ მაშინ, თუ მათი შემადგენლობა ჯეროვნად იქნება შერჩეული. ამ კომისიებში უნდა მოხვდენ გამოცდილი და კლასობრივი შეგნებით მტკიცე პირები, რომელნიც კარგად ერკვევიან სასოფლო- სამეურნეო გადასახადის კანონის შინაარსში და საერთოდ ჩვენს საგადასახადო პოლიტიკაში, გადაუხვევლად გაატარებენ მას და ამასთან საფუძვლიანად იცნობენ თვითეულ გლეხის სამეურნეო მდგომარეობას. თავის თავად იგულისხმება, რომ მაზრის ფინაპარატმა სასოფლო-საღრიცხვო კომისიას ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს თავის ამოცანის შესრულებაში.

მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი. საღრიცხვო მუშაობას სისტემატიური ხელმძღვანელობა და კონტროლი უნდა გაუწიოს ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ. პირველ ყოვლისა აუცილებელია ფართე ახსნა- განმარტებითი კამპანიის გაწევა გლეხებს შორის, რომ ის გაეცნოს ახალ საგადასახადო კანონს. საჭიროა მის გატარებასთან დაკავშირებულ საკითხების წინასწარი დასმა და განხილვა პარტიულ და კომკავშირის უჯრედებში, საბჭოს სათანადო სექციაში, ღარიბთა კრებებზე და საბჭოებთან არსებულ ღარიბთა ჯგუფების კრებებზე, გლეხკომებში და სხვ. ღარიბი გლეხობა აქტიურად უნდა იქნეს ჩაბმული ამ კამპანიაში. ამ საქმეში უნდა მივიზიდოთ აგრეთვე საშუალო გლეხობის აქტივიც. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კულაკების ხრიკების გამოაშკარავება, მათი შემოსავლის უტყუარი გამორკვევა, გადასახადის სწორი განაწილება საშუალო გლეხობას შორის და ღარიბ გლეხობის ინტერესების დაცვა.

სასოფლო- სამეურნეო გადასახადს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ის მძლავრი იარაღია მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ხელში სოფლად სიმდიდრის დაგროვების მოწესრიგებისათვის, კაპიტალისტური სექტორის შესუსტებისათვის სასოფლო-მეურნეობაში. ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მნიშვნელოვან საშუალებებს აძლევს სახელმწიფოს სოციალისტურ მშენებლობის გასაფართოვებლად. აღსანიშნავია, რომ ამ საშუალებებიდან დიდი წილი რჩება ადგილობრივ თემების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. აქედან ცხადია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო- სამეურნეო გადასახადის შესახებ კანონის სისწორით და თავის დროზე გატარებას. ადგილობრივ პარტიულ -საბჭოთა ორგანოების ყურადღება აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული.

## წითელი ჯარის მეთაურთა ახალი კადრებისათვის

საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლების ახალგაზრდობით შევსების კამპანიასთან დაკავშირებით საქართველოს ცაკთან შექმნილია ცენტრალური მიმღები კომისია.

სამხედრო სკოლების როლი, როგორც წ.-არმ. მშენებლობის, ისე მთელი სოციალისტური მშენებლობის დარგში უეჭველად დიდია. წითელი არმიის რიგებიდან გასულთა შესაცვლელად სამხედრო სკოლები ამზადებენ მუშათა და გლეხთა წრიდან ახალგაზრდა პასუხისმგებელ მეთაურთა ახალ კადრებს, რომლებიც არიან წითელი არმიის ორგანიზატორები და მშენებელნი და ამავე დროს მთელი ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის აქტიური მონაწილენიც.

წითელი არმიის გარეშე შეუძლებელია ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობა, შეუძლებელია მთელი საბჭოთა კავშირის მასების კეთილდღეობის გაუმჯობესება.

კომისიის ძირითადი ამოცანაა კანდიდატების შერჩევა უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში გასაგზავნად.

ყველაზე უფრო სასურველი კანდიდატები არიან სამრეწველო დარგის მუშები, მოჯამაგირეები— მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წევრები და ღარიბი გლეხები.

დღემდე სამხედრო სკოლების შემადგენლობაში იყო: მუშები— 38—39 პროცენტი, გლეხები—46 პროცენტი; პარტიული მიმართულების მიხედვით: საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრები—20 პროცენტი, კომკავშირელები—56 პროცენტი.

ეხლა მუშათა პროცენტი გადიდებული უნდა იქნეს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მიღებულთა 50 პროცენტს შეადგენდენ სამრეწველო მუშები. ამ გზით ჩვენ გვეყოლება წითელი მეთაურები, რომლებიც მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებული მუშათა და გლეხთა მასებთან და მეტი წარმატებით შეასრულებენ მუშათა კლასისა და პარტიის დირექტივებს წითელი არმიის მშენებლობის საქმეში.

თუ სამოქალაქო ომის ხანაში სამხედრო სკოლები (კურსები) შედარებით მოკლე ვადაში ამზადებდნენ წითელ არმიის მეთაურებს, ეხლა, მშვიდობიანი აღმშენებლობის ხანაში, ჩვენი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლები აძლევენ არმიას სავსებით მომზადებულ და გაწვრთნილ მეთაურებს.

წითელი არმიის საერთო ზრდასთან ერთად უეჭველად იზრდება ის მოთხოვნილებებიც, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში შესვლის მსურველნი როგორც საერთო განათლების დონის, ისე ჯანმრთელობის და პოლიტიკურ- მორალურ სიმტკიცის მხრივ.

ამ პირობებს ყველაზე უფრო აკმაყოფილებენ ის ახალგაზრდები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ მუშფაკები, შვიდწლედები და ცხრაწლედები.

სამხედრო სკოლებში სწავლება რთულია და მოითხოვს კურსანტებისაგან ენერგიულ, დაუღალავ შრომას 3—4 წლის განმავლობაში.

აი, როგორ არის დაახლოებით განაწილებული სასწავლო დრო სამხედრო სკოლებში. საერთო- საგანმანათლებლო მომზადებისათვის— მთელი სასწავლო დროის 9 პროცენტი, საზოგადოებრივ- პოლიტიკურ მომზადებისათვის— 13 პროცენტი და სამხედრო მომზადებისათვის—76 პროცენტი.

აქედან ჩანს რომ უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში შესვლის მსურველი საკმაოდ დიდ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს საერთო განათლების დონის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომზადების მხრივ, ვინაიდან ამ მხარეს სამხედრო სკოლაში ეთმობა სასწავლო დროის მცირე ნაწილი (სულ 22 პროცენტი).

სამხედრო სკოლებში მიღების ძირითადი პრინციპია კონკურსი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლაში შესვლისათვის მეტი შანსები იმას აქვს, ვინც სხვა აუცილებელ პირობებთან ერთად (სოციალური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, ასაკი და სხვ.) უკეთ არის მომზადებული.

უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველმა კანდიდატებმა უნდა გაიარონ სამი კომისია: 1) საექიმო, 2) პოლიტიკური და 3) სამოსწავლო.

თვითეულ ახალგაზრდას, რომელიც შედის სამხედრო სასწავლებელში და შეგნებულად აქვს გადაწყვეტილი, რომ მთელ თავის სიცოცხლეში ემსახუროს მშრომელ მასების სამხედრო მომზადების საქმეს და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მომზადებას, ნათლად და გარკვევით უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი მომავალი მუშაობა და ის პასუხისმგებლობა, რომელსაც აკისრებს მას პარტია და მუშათა კლასი. ამიტომ სამხედრო სკოლების შევსება საუკეთესოდ მომზადებული სათანადო მუშურ- გლეხური კონტინგენტით წარმოადგენს მიმღები კომისიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას მუშურ-გლეხური წითელი არმიის სათანადო კადრების შექმნის საქმეში.

ეჭვს გარეშეა, რომ ხსენებულმა კამპანიამ (უმაღლეს სამხედრო სკოლების შევსება) მისი უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო, უნდა მიიპყროს განსაკუთრებული ყურადღება ყველა პარტიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ.

შ. ც.

# ენ-სი-შანმა დაიწყო შეტევა პეკინზე

## დაწვრილებითი ცნობები პეკინის დატოვების შესახებ

### ჩინეთში ძლიერდება ანტი-იაპონური ბოიკოტი.--ნანკინში დაარსდა ქალთა ანტი-იაპონური ასოციაცია

ჩან-ძო-ლინზე თავდასხმის დროს დაჭრილი გენერალი უ-ცზიუნ-შენი გარდაიცვალა.— ჩან-ძო-ლინის მდგომარეობა სერიოზულია.

## ბრძოლა ჩინეთში

### პეკინის დაკავების წინ

**შანხაი,** 4 ივნისი. პეკინში ჯერჯერობით სიწყნარეა. სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის სუნ-ჩუან-ფანის ჯარი, რომელიც 70.000 კაცისაგან შესდგება. სუნ-ჩუან-ფანის ჯარს არ სურს მანჯურიაში წასვლა და უკან იხევს ტიან-ცზინში. **სუნ-ჩუან-ფანი ჩავიდა ტიან-ცზინში და გადადგა. ტიანცზინში მიდიან ფინ-იუ-სიანის ჯარები.** იაპონიის წრეების აზრით პეკინს დაიკავებს ენ-სი-შანი, ხოლო ტიანცზინს—ფინ-იუ-სიანი. (ადს).

### შეტაკებები პეკინის მახლობლად

**პეკინი,** 4 ივნისი. აქ მიღებული ცნობებით, გუშინ პეკინ-სუიუანისა და პეკინ- ხანკოუს რკინისგზებზე ადგილი ჰქონდა შეტაკებებს. ეს შეტაკებები, როგორც იუწყებიან, გამოწვეულია იმით, რომ **მანჯურიის მთავრობამ ენ-სი-შანს მისცა ინსტრუქცია დაერღვია მუკდენთან დადებული შეთანხმება და დაუყოვნებლივ გაელაშქრებია პეკინის წინააღმდეგ.**

პეკინში სიწყნარეა. დიპლომატიურ კვარტალის ზოგიერთ შესავალთან იაპონელთა დამცველი რაზმი სამხედრო მზადებას აწარმოებს. სხვა სახელმწიფოების დამცველი რაზმები არ სცილდებიან ნორმალური მოღვაწეობის ფარგლებს. (ადს)

### „პეკინის მთავრობა“

**პეკინი,** 4 ივნისი. პეკინის მთავრობის პრემიერმა **პან-ფუმ** „პეკინის მთავრობას“ მუკდენიდან გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც „მთავრობას“ აცნობებს, რომ ჩან-ძო-ლინმა მინისტრებს უბრძანა დარჩენ პეკინში, განაგრძონ თავისი მოვალეობის შესრულება და მოხსენებები გაუგზავნონ მუკდენში, სადაც მათ განიხილავენ, რის შემდეგ ისინი მიიღებენ კანონიერ ძალას. დეპეშაში ნათქვამია, რომ ჩან-ძო-ლინმა „დროებით გადაიტანა გენერალისიმუსის სამმართველო მუკდენში“. (ადს)

### დაწვრილებითი ცნობები ჩან-ძო-ლინის მიერ პეკინის დატოვების შესახებ

**შანხაი,** 4 ივნისი. ჩინეთის პრესა იუწყება დაწვრილებით ცნობებს ჩან-ძო-ლინის მიერ პეკინის დატოვების შესახებ.

ჩან-ძო-ლინმა რამდენიმე ასეულ მცველით დასტოვა პეკინი 3 ივნისს დილით. ქუჩებს იცავდენ ჯარები, პოლიციის გაძლიერებული რაზმები და ჯავშნიანი ავტომობილები. პეკინის რკინის-გზის სადგური სავსე იყო მოხელეებით, ჟანდარმერიით და ჯარებით. ჩან-ძო-ლინს ახლდა გენერალური შტაბი, მრჩეველები და მცველები.

**შენიანის სადგურის მახლობლად, მუკდენის განაპირა უბანში, დილის 5 საათზე უცნობმა პირებმა ჩან-ძო-ლინის მატარებელში შეაგდეს რამდენიმე ყუმბარა. აფეთქებით დაინგრა რამდენიმე ვაგონი. ბევრია მოკლული, დაჭრილი და დაშავებული. დაიჭრა ჩან-ძო-ლინი და სეილუნცზიანის, გირინისა და მუკდენის პროვინციების გუბერნატორი უ-ცზიუნ-შენი.** თავდასხმის შემდეგ ჩან-ძო-ლინი გაემგზავრა მუკდენში ავტომობილით. (ადს).

### ანტიიაპონური ასოციაცია

**შანხაი,** 4 ივნისი. ნანკინში დაარსდა ქალთა ანტი-იაპონური ასოციაცია.

### ანტი-იაპონური ბოიკოტი

**შანხაი,** 4 ივნისი. **ანტი-იაპონური ბოიკოტი თანდათან ფართოვდება. ჩინელი მუშები და სტუდენტები განაგრძობენ იაპონიის საქონლის კონფისკაციას.** ნანკინში გადასწყვიტეს არ მიყიდონ იაპონელებს ნედლეული და სურსათ-სანოვაგე და აგრეთვე არ იყიდონ იაპონიის საქონელი.

კანტონში შეწყდა იაპონური ასანთის გაყიდვა. **ჰონკონგში,** მიუხედავად ხელისუფლების აკრძალვისა, **იმართება ანტი- იაპონური მიტინგები.** ხელისუფლება ახდენს მასიურ დაპატიმრებას. კონფისკაციას უკეთებს ანტი-იაპონურ ლიტერატურას, მაგრამ ბოიკოტი, უცხოეთის პრესის ცნობით მაინც გრძელდება.

მნიშვნელოვნად შემცირდა საქონლის შესყიდვა იაპონიაში; ინგლისური, გერმანული და ამერიკული ფირმები დიდძალ შეკვეთებს ღებულობენ.

შანხაიში ჩამოვიდნენ სტუდენტები, რომელთაც დასტოვეს იაპონიის უნივერსიტეტები. სტუდენტებს საზეიმო შეხვედრა გაუმართეს. (ადს)

### უ-ცზიუნ-შენი გარდაიცვალა ჭრილობისაგან

**ტოკიო,** 4 ივნისი. სიმბუნ რენგოს მუკდენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ **უ-ცზიუნ-შენი გარდაიცვალა ჩან-ძო-ლინის მატარებელზე თავდასხმის დროს მიღებული ჭრილობისაგან.** კორესპონდენტის სიტყვით, მის სიკვდილს საიდუმლოდ ინახავენ, ვინაიდან ეშინიათ მღელვარებისა ხეილუნცზიანის ჯარებში, რომლებსაც უ-ცზიუნ-შენი მეთაურობდა. კორესპონდენტი აგრეთვე იუწყება, რომ **ჩან-ძო-ლინის მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულია.** (ადს)

### ნანკინელების ჩრდილოეთ- ჩინეთის განყოფილება

**შანხაი,** 4 ივნისი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო იუწყება, რომ ჩრდილოეთ- ჩინეთში შეიქმნა ცენტრალური პოლიტიკური საბჭოს განყოფილება ენ-სი-შანის თავმჯდომარეობით. ჩრდილოეთ- ჩინეთის განყოფილება განაგებს შანსის, ჩჟილის, ჟეხოლის, ჩახარისა და სუიუანის პროვინციებს. (ადს)

### პროვოკაცია

**პეკინი,** 4 ივნისი. ჩან-ძო-ლინზე თავდასხმის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ დაიწყეს პროვოკაციული ხმების გავრცელება, თითქოს ყუმბარები, „ნამსხვრევების მიხედვით“, „საბჭოთა წარმოშობისაა“ და თავდამსხმელები— „რუსი“ კომუნისტებია. (ადს)

**პეკინი,** 4 ივნისი. იაპონიის ტოხოს სააგენტო მუკდენიდან იუწყება:

კაპიტანმა ტოგუმ, იმ სადგურის მახლობლად მდგომ რაზმის უფროსმა, სადაც ჩან-ძო- ლინის მატარებელში შეაგდეს ყუმბარა, შენიშნა ორი საეჭვო პირი. კაპიტანმა უბრძანა მათ გაჩერებულიყვნენ, მაგრამ მათ ბრძანება არ შეასრულეს, რის გამო ისინი მოჰკლეს. როცა ტოგუმ გაჩხრიკა ისინი, მათ ჯიბეებში ნახა რუსული წარმოშობის ყუმბარები (!?)

ადგილობრივ ჩინურ წრეებში ფიქრობენ, რომ **ყუმბარები იაპონელებმა გადაისროლეს; ჩინურ წრეებში დიდი აღშფოთებაა იაპონელების წინააღმდეგ.** ზოგიერთმა იაპონელმა, შურისძიების შიშის გამო, დასტოვეს ქალაქის ჩინური ნაწილი“. (ადს)

## თავდასხმა არგენტინის კომპარტიის ცეკას ბინაზე

**ნიუ-იორკი,** 4 ივნისი. ასოშიეტედ პრესი ბუენოს—აირესიდან იუწყება, რომ არგენტინის პოლიცია ყუმბარების აფეთქებას, რომელიც ამას წინათ მოხდა, კომუნისტებს აწერს. ამასთან დაკავშირებით პოლიცია თავს დაესხა არგენტინის კომპარტიის ცეკას შენობას. (ადს).

## იტალია-სამხრ.-სლავიის ურთიერთობა

**რომი,** 4 ივნისი. სტეფანის სააგენტოს ცნობით, იტალიის ელჩის ნოტის საპასუხოთ სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იტალიის ელჩს გადასცა წერილი, რომელშიაც სამხრეთ-სლავიის მთავრობა გამოსთქვამს მწუხარებას სებენიკოსა და სპალატოში მომხდარ ანტი-იტალიანურ გამოსვლების გამო. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ მიიღო ზომები მომავალში ასეთი გამოსვლების თავიდან ასაცილებლად. შინაგან საქმეთა მინისტრმა გასცა ბრძანება დემონსტრაციებით გამოწვეულ ზარალის გამოსარკვევად იმ მიზნით, რომ დაზარალებულ პირთა და დაწესებულებებს მიეცეს კომპენსაცია. დასასრულ, სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი გამოსთქვამს იმედს, რომ „კეთილი განწყობილება ორივე ქვეყანას შორის ოდნავადაც არ დაირღვევა ამ სამწუხარო ამბებით“. (ადს).

## ჯოინსონ ხიკსის პროვოკაცია

### ჯოინსონ ხიკსის „დასკვნები“

**ლონდონი,** 4 ივნისი. ჯოინსონ ხიკსმა საუბარში „ივნინგ სტანდარტ“-ის თანამშრომელთან განაცხადა:

„უკვე საკმაო დიდი ხანია, რაც მე შემექნა რწმენა, რომ ინგლისის კომპარტიას და, რა თქმა უნდა, აგრეთვე უმცირესობის მოძრაობას, რომელიც მისი თანამოძმეა, აქვთ ფინანსიური საშუალებათა სხვა წყარო საწევრო გადასახადების გარდა. სკოტლანდ იარდის (ინგლისის ოხრანკა) მოხელეთა ხანგრძლივი დახელოვნებული მუშაობის შემდგომ მე გასული წლის ბოლოს მივედი გარკვეულ დასკვნებამდე. მაგრამ ამ დასკვნებს აკლია ზოგიერთი საბუთები. ამჟამადა მე შემიძლია ვთქვა, რომ ბევრი ეს საბუთები უკვე ნახულია და რომ აღმოჩენილია მნიშვნელოვანი ფულადი თანხების წყარო.

ხიკსმა დასძინა, რომ მას არ შეუძლია რაიმე მეტის თქმა თავის მომავალ გამოსვლამდე თემთა პალატაში. (ადს).

### უსაბუთო მტკიცება

**ლონდონი,** 4 ივნისი. იმასთან დაკავშირებით, რომ ჯოინსონ ხიკსს განზრახული აქვს გამოვიდეს თემთა პალატაში განცხადებით, თითქოს „საბჭოთა ბანკები ფულს აწვდიან ინგლისელ კომუნისტებს“, „დეილი ჰერალდ“-ი სწერს:

**„ხიკსის განცხადება, თითქოს კომუნისტები ღებულობენ ფულს კომინტერნისაგან, არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საკმაო საფუძველი ინგლისში არსებულ საბჭოთა სავაჭრო და საბანკო წარმოებათა მოღვაწეების წინააღმდეგ ზომების მიღებისათვის.** ხიკსმა კიდევაც რომ მოახერხოს იმის დამტკიცება, რომ ის ფული, რომელსაც საზღვარგარეთიდან ღებულობდა ინგლისის კომპარტია და „შეიარაღებული ირლანდიელები“, ინგლისში შემოდიოდა საბჭოთა ბანკების მეშვეობით, გონიერი ხალხი ამას მაინც ვერ ჩასთვლის იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ ეს ბანკები მონაწილეობას იღებდენ ასეთ ოპერაციებში. ჯოინსონ ხიკსის ცარიელი სიტყვები და ლანძღვა გინება ვერ დააკმაყოფილებს ინგლისის საზოგადოებრივ აზრს“. (ადს).

## შახტის პროცესი

### 5 ივნისის დილის სხდომა

### პელაგია მეჩანსკაიას დაკითხვა

**მოსკოვი,** 5 ივნისი. 5 ივნისის დილის სხდომა გაიხსნა მოწმე პელაგია მეჩანსკაიას დაკითხვით. მეჩანსკაია სასამართლოს მიერ გამოწვეულია ქალაქ შახტიდან ანდრია კოლოდუბის დამცველის შუამდგომლობის თანახმად. ეს ის პოლია არის, რომელიც ანდრია კოლოდუბის სიტყვებით, მის მოსამსახურედ იყო.

მოწმე აცხადებს, რომ ის იცნობდა მეორე პოლიას, რომელიც მსახურობდა ინჟინერ პოტატუევთან. მოწმეს გაგონილი აქვს, რომ ის პოლია მართლაც დახვრიტეს რაღაც ნივთების მოპარვისათვის. დაწვრილებით ამ საქმის შესახებ მოწმემ არაფერი იცის. მისი სიტყვებით დახვრეტილ პოლიას ძმა დღესაც ცხოვრობს შახტში.

პროკურატურის თხოვნით, სასამართლო აქვეყნებს სევასტოპოლის მუშის, საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრ იუროვის წერილს. იუროვი 1918 წელში მუშაობდა დონეც-გრუშევის რაიონში. იუროვს გაუგია, რომ ანდრია კოლოდუბს სხვათა შორის წაყენებული აქვს ბრალდება, რომ მან კონტრ-დაზვერვას დააჭერინა ნივთების მოპარვისათვის თავისი მოსამსახურე პოლია. იუროვი საჭიროდ სთვლის აცნობოს სასამართლოს, რომ ეს შემთხვევა ეხება ინჟინერ პოტატუევის, და არა კოლოდუბის მოსამსახურეს.

ცოტა ხნის შემდეგ ამხ. კრილენკომ წარუდგინა სასამართლოს ახალი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია პოლიას დახვრეტასთან. ეს არის მუშა გოლოვჩანსკის წერილი. გოლოვჩანსკი ამჟამად მუშაობს გროზნოს სარეწავებში. გოლოვჩანსკი იუწყება, რომ 1918 წელში შახტის სამხედრო საველე სასამართლომ მას პოლიასთან ერთად მიუსაჯა დახვრეტა. ის ელაპარაკება საპყრობილეში პოლიას და იცის, რომ პოლია ნამდვილად დახვრიტეს ანდრია კოლოდუბის დაბეზღების გამო. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა გამოიწვიოს მოსკოვში გოლოვჩანსკი, იუროვი და პოლიას ძმა მიხეილ ბოევი, რომელიც ამჟამად შახტში ცხოვრობს.

### ინჟინერ კუზმას დაკითხვა

სასამართლოს მაგიდის წინ ადგილს იკავებს ბრალდებული ინჟინერი კუზმა. კუზმა მთავარ ინჟინერად იყო ვლასოვკის მაღაროების სამმართველოში.

კუზმა არაფერში არ სცნობს თავს დამნაშავედ. კუზმას სიტყვებით, ის არასოდეს არ ეჩხუბებოდა მუშებს და მუშებს უყვარდათ ის.

თავის დამოკიდებულებაში საბჭოთა ხელისუფლებასთან კუზმას გარდატეხის წლად მიაჩნია 1919 წელი, როდესაც ის გაეცნო თეთრების ხელისუფლებას როსტოვში. მაშინ მან გაიგო, რომ თეთრების მოძრაობას არ ჰქონდა არავითარი იდეური შინაარსი. ვლასოვკაში კუზმა მთავარ ინჟინერად იყო 3 ნახ. წლის განმავლობაში თავის დაპატიმრებამდე.

კუზმა უარყოფს დაწინაურებულთა აბუჩად აგდების ფაქტს. ბრალდებული ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ „აჭარბებდა რაციონალიზაციის საქმეს“ არტემის სახელობის მაღაროში, დონბასის ერთ-ერთ უდიდეს მაღაროში. მან მიზნად დაისახა წარმოების გაფართოება მნიშვნელოვან სახელმწიფო თანხები დაუხარჯავად. მან დაამუშავა წარმოების გაუმჯობესება და გაფართოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

შემდეგ კუზმა ეხება მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას იმის შესახებ, რომ ის პროდუქციის გადიდების მიზნით შეგნებულად აუარესებდა პროდუქციის ღირსებას.

ის მიუთითებს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის პრაქტიკაზე და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მისი მოქმედება ამ მხრით სავსებით მიზანშეწონილი და მეცნიერულად და, რაც მთავარია, კომერციულად სავსებით გამართლებული იყო.

საერთოდ, კუზმა უარყოფს რაიმე საზიანო მუშაობას. ყველაფერი, რაც მან გააკეთა, მიღწევებით დამთავრდა. იყო, რა თქმა უნდა, შეცდომები, რაც სავსებით ბუნებრივია დიდ წარმოებაში.

კუზმა უარყოფს მანქანების ზომაზე მეტ სიმრავლეს მაღაროებში და ამტკიცებს, რომ მანქანების რაოდენობის გადიდებას მოითხოვდა პროდუქციის გადიდება. მისი სიტყვით, მას აქვს საკმაო მიღწევები და ამიტომ ის არ უნდა იჯდეს დამნაშავის სკამზე.

გადადის რა თავის მოღვაწეობის შემდეგ პერიოდზე (ნესვეტაევში), კუზმა ასეთივე ტონით განაგრძობს თავის ჩვენებას. ის არა ერთხელ აღნიშნავს თავის ენერგიას, თავის ინიციატივას და თავის მისწრაფებას რუტინასთან ბრძოლაში. ვინაიდან თავის ახსნა -განმარტებაში კუზმა არ შეხებია თავის მუშაობას შჩეგლოვკაში, ამიტომ დამცველთა შუამდგომლობით მას წინადადება ეძლევა შეავსოს თავისი ჩვენება ამ რაიონში მოღვაწეობის აღწერით. კუზმას მუშაობის ამ პერიოდს ეკუთვნის მთელ რიგ მაღაროების— ბერესტოვის, გრიგორიევის და სხ. წყლით ამოვსება. ბრალდებული არ სცნობს თავს დამნაშავედ ბერესტოვის მაღაროს წყლით დაფარვაში, ვინაიდან ამ მაღაროს განაგებდა ინჟ. ნეკრასოვი, ხოლო ბრალდებული მუშაობდა, როგორც ტეხნიკოსი.

ამით თავდება დილის სხდომა.

## გერმანიის პრესა შახტის პროცესის შესახებ

**ბერლინი,** 4 ივნისი. ბაშკინის დაკითხვის შემდეგ გერმანიის პრესის ინტერესი შახტის პროცესისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. გერმანიის გაზეთების კორესპონდენტები სასტიკად ილაშქრებენ ბაშკინის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან გერმანელ ბრალდებულებისათვის არა ხელსაყრელი ჩვენება მისცა სასამართლოს.

ვოლფის სააგენტოს ცნობით, ბაშკინმა იმიტომ მისცა მთავარ ბრალდებულების საწინააღმდეგო ჩვენება, რომ მას სურდა შექმნა მოწინავეების შთაბეჭდილება (ადს)

## ამანულა-ხანი ბაქოში

**ბაქო,** 5 ივნისი. 5 ივნისს, დილით ბაქოში ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშახი ამანულა-ხანი თავის ამალით. ფადიშახს ჩამოყვნენ ავღანისტანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გულამ სადიკ-ხანი, ავღანისტანის ელჩი მოსკოვში მირზა მუხამედ-ხანი, სპარსეთის საქმეების რწმუნებული საბჭოთა კავშირში ნურზადე, ამხ. ფლორინსკი, ცუკერმანი, კარკლინი, გუსეინოვი და სხ. ფადიშახს სადგურზე შეხვდენ აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. აღამალი-ოღლი და სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი. ფადიშახმა ჩაუარა საპატიო ყარაულს და შევიდა საპარადო ოთახში, სადაც მას გაეცნენ აზერბეიჯანის მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წევრები.

აზერბეიჯანის მთავრობის წევრებთან ერთად ფადიშახი გაემგზავრა ბიბი-ებათის ნავთის სარეწაოების დასათვალიერებლად. ფადიშახის მეუღლემ სურაიამ დაათვალიერა ალი ბაირამოვის სახ. ქალთა კლუბი, სადაც გაეცნო საბავშვო ბაგებს და ქალთა სახელოსნოებს. დღის ორ საათზე ფადიშახს გაუმართეს საუზმე, რომელსაც დაესწრნენ ამიერ-კავკასიის და აზერბეიჯანის მთავრობის წევრები და სპარსეთისა და თურქეთის დიპლომატები. ამხ. აღამალი-ოღლიმ წარმოსთქვა სადღეგრძელო და მისალმა ავღანისტანის ხალხს ამანულა-ხანს და გამოსთქვა სურვილი, რომ საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის მუდამ მტკიცე მეგობრული კავშირი ყოფილიყო. უპასუხა რა მისალმებაზე, ფადიშახმა მადლობა გადაუხადა მეგობრული და გულითადი მიღებისათვის და სთქვა: „აზერბეიჯანის მთავრობის სახით მე მივესალმები აზერბაიჯანის ხალხს და უსურვებ შემდგომ წარმატებასა და განვითარებას“. საღამოს 5 საათზე ფადიშახი ნურზადეს და ამხ. ფლორინსკის, ცუკერმანის, კასპიის სანაოსნო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. ბოგუშის და სხ. თანხლებით გემ „პოლუიან“-ით გაემგზავრა პეხლევში. გემ „პოლუიან“-ს გაჰყვენ „ბაკინსკი რაბოჩი“ და „მარკინი“. გემზე ფადიშახს მიართვეს საჩუქრები, მათ შორის ახალი თურქული ანბანის საკავშირო კომიტეტის ძვირფასი ალბომი, „ვსტოვებ რა აზერბაიჯანის ტერიტორიას,—სთქვა ფადიშახმა,—და ვეთხოვები რა ამხ. აღამალი-ოღლისა და მუსაბეკოვს,—მე თან მიმყვება საუკეთესო შთაბეჭდილებები (ადს).

## ღამის ცნობები

### განაჩენი იტალიის კომპარტიის ცეკას საქმის შესახებ

**რომი,** 4 ივნისი. იტალიის კომპარტიის პროცესზე დამთავრდა დამცველთა სიტყვები და პროკურორის საპასუხო სიტყვა. საგანგებო ტრიბუნალმა გამოიტანა განაჩენი, რომლის მიხედვით ტერრაჩინის მიესაჯა დაპატიმრება 22 წლით და 6 თვით, გრამშის, სკოჩიმარროს და როვედას—20 წლით და 4 თვით, ბიბოლოტტის—18 წლით, მარკორის, ბორიმის და ბოლდის—16 წლ. და 3 თვით, ფერრარის—14 წლ., ნიკოლას. ფლეკკიას, ძამბონის, ფერრარის. სტეფანინის, ტეტტამანტის და ჯიდონის —15 წ. და 4 თვით, პუსტერლას—9 წლ. და 8 თვით, ფაბრუჩის—5 წლით. ყველა ბრალდებულებს სამუდამოდ ეკრძალათ დაიკავონ არჩევითი თანამდებობა. სასჯელის მოხდის შემდეგ, ბრალდებულებს დაუწესებენ საგანგებო მეთვალყურეობას 3 წლით. გარდა ამისა ბრალდებულები დაჯარიმებული არიან 4—11 ლირამდე. ალვანი, სკალი კაპურრო და მიკოლოცი განთავისუფლეს (ადს).

### ფეიქართა ლოკაუტი ბენგალიაში

**ლონდონი,** 4 ივნისი. როგორც ჯამშედპურიდან (ინდოეთი) იუწყებიან, ტატანგაროს იმ მელითონეთა რიცხვი, რომელთაც ლოკაუტი გამოუცხადეს, 30.000 კაცს აღწევს. (ადს).

### საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი პოლონეთის სეიმში

**ვარშავა,** 4 ივნისი. სეიმის სხდომაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს გამოვიდა სეიმის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **რაძივილი,** რომელმაც განაცხადა, რომ კომისიას არავითარი ცვლილებები არ შეაქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტში. სეიმს ამ საკითხის გარშემო არ გაუმართავს კამათი და გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვაზე (ადს).

### ფრენის ხანგრძლივობის რეკორდი

**პარიზი,** 4 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ბელგიელმა სამხედრო მფრინავებმა დე-კროსმა და გრონენმა დაამყარეს ფრენის ხანგრძლივობის ახალი რეკორდი. მათ ჰაერში დაჰყვეს 60 საათი, 7 წუთი და 32 წამი (ადს).

## ამხ. ბორისოვის გარდაცვალება

**მოსკოვი,** 5 ივნისი. 5 ივნისს გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარის მოადგილე **ამხ. ბორისოვი.**

ამხ. ბორისოვმა საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშაობა დაიწყო სახელმწიფო მიმოსვლის საშუალებათა მთავარი კომიტეტის საფინანსო- ეკონომიურ საბჭოს წევრის თანამდებობაზე. 1920 წელში ის გადავიდა გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატში და დაინიშნა გზათა მიმოსვლის მთავარ სამმართველოს უფროსად. ამ თანამდებობაზე ის მონაწილეობას ღებულობდა გზათა მიმოსვლის სამმართველოს მთელი სტრუქტურის მოწყობისა და ტრანსპორტის აღდგენის საქმეში მსოფლიო და სამოქალაქო ომის შემდეგ. 1923 წელში ამხ. ბორისოვი დაინიშნა გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარის მოადგილედ. ამ თანამდებობაზე დარჩა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ტრანსპორტის ყველა უმნიშვნელოვანესი ტეხნიკური საკითხები სწყდებოდა მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით. ამხ. ბორისოვის მუშაობა საბჭოთა ტრანსპორტზე აღნიშნული იყო სრულიად რუსეთის ცაკის სამადლობელი სიგელით.

## სიგნალები „იტალია“-დან

**სტოკჰოლმი,** 4 ივნისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ შუაღამისას ოთხმა შვედმა რადიო-მოყვარულმა დაახლოებით 800 მეტრის ტალღით მიიღო რადიო ინგლისურ და იტალიურ ენებზე. მოხერხდა მხოლოდ შემდეგი სიტყვების გარჩევა, რომლებიც რამოდენიმეჯერ განმეორდა:

„იტალია“, ნობილე , კინგსბეის აღმოსავლეთით, რადიო ბორდო“. ფიქრობენ, რომ უკანასკნელი სიტყვები იმას ნიშნავს, რომ „იტალია“ ცნობებს მხოლოდ ბორდოდან ღებულობს. შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში მისტიფიკაციას ჰქონდეს ადგილი. (ადს).

### „იტალია“-ს დასახმარებლად

**ოსლო,** 4 ივნისი. იალქნიანი გემი „ხობბი“ გავიდა კუნძულ ამსტერდამის მიმართულებით შპიცბერგენის ჩრდილოეთ-დასავლეთით. იალქნიან გემზე არის მფრინავი ლიუტცოვ-ხოლმი ჰიდროაეროპლანით. იალქნიან გემზე დადგმულია რადიო-სადგური.(ადს).

## მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### სად არის „იტალია“

**მოსკოვი,** 5 ივნისი. ნობილეს ექსპედიციის საბჭოთა დამხმარე კომიტეტმა, როგორც უკვე იციან მკითხველებმა, მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ კვირას ჩრდილოეთ დვინის გუბერნიაში დაბა ვოზნესენსკში რადიო-მოყვარულ შმიდტმა დაიჭირა შემდეგი გადმოცემა: „იტალია, ნობილე, ფრანც-იოსები“ და ოთხი სიგნალი იმის შესახებ, რომ დირიჟაბლი გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება.

„იტალიის“ დამხმარე კომიტეტის აზრით, ეს ცნობა იმის მაუწყებელია, რომ დირიჟაბლი დაეშვა ფრანც-იოსების მიწაზე.

მოსკოვის მოკლეტალღიან რადიომოყვარულთა შორის ამ ცნობამ დიდი მითქმა- მოთქმა გამოიწვია. ბევრს ეჭვი შეაქვს იმაში, რომ ვოზნესენსკიდან გადმოცემული ცნობა სინამდვილეს შეეფერება. ფიქრობენ, ეს რაღაც გაუგებრობის შედეგია, მით უფრო, რომ ჩრდილოეთის რაიონების რადიო- სადგურები და რადიო-მოყვარულნი განსაკუთრებით გაფრთხილებულნი არიან ფხიზლად იყვნენ დირიჟაბლ „იტალიის“ რადიო-ცნობის მოლოდინში. რადიო- მოყვარულთა შორის ნობილეს ექსპედიციის ძებნამ ერთგვარ შეჯიბრის ხასიათი მიიღო. ასეთ პირობებში, საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილით იქნას შემოწმებული ყველა ასეთი ცნობა, როგორიცაა ვოზნესენსკიდან გადმოცემული ამბავი.

მოსკოვის მოკლეტალღიან რადიომოყვარულნი აცხადებენ, რომ შეუძლებელია შმიტთან ერთად სხვებსაც არ მიეღოთ „იტალიიდან“ ასეთივე ცნობა თუ მთლიანად არა, ნაწილი მაინც. მიუხედავათ ამისა, ვოზნესენსკიდან გადმოცემულ ცნობამ მეტად დააინტერესა მოკლეტალღიანი რადიომოყვარულნი და ისინი განსაკუთრებული ინტერესით განაგრძობენ „იტალიის“ ძებნას.

### მ. გორკი ზამთრისათვის სორენტოში მიემგზავრება

**მოსკოვი** 5 ივნისი. მაქსიმ გორკიმ სრულიად რუსეთის მწერალთა კავშირის წევრებთან საუბარში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში ის დარჩება მიმდინარე წლის ოქტომბრამდე. შემოდგომაზე ის კვლავ გაემგზავრება სორენტოში. მომავალი წლის გაზაფხულზე საბოლოოდ დასტოვებს სორენტოს და წამოვა საბჭოთა კავშირში მუდმივ საცხოვრებლად.

### უმზგავსოებანი გამმერის კონცესიაზე

**მოსკოვი,** 5 ივნისი. გამმერის კონცესიაზე პარტიულ და პროფკავშირთა ორგანიზაციებმა აღმოაჩინეს მთელი რიგი უმზგავსოებანი.

უცხოელი კონცესიონერები ყოველ ზომებს ხმარობდნენ იმისათვის, რომ მათ იჯარაში მყოფი ფაბრიკა სავსებით ჩამოეშორებიათ საბჭოთა ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივობისაგან. ამ მიზანს მათ კიდევაც მიაღწიეს ფაბრიკის ადგილობრივ ორგანიზაციაზე სათანადო ზეგავლენის მოხდენით. ფაბკომის თავმჯდომარე სრულ მორჩილებას იჩენდა კონცესიონერებისადმი, ამით გათამამებული უცხოელები არაჩვეულებრივად უხეშად ექცეოდნენ მუშა- მოსამსახურეებს. ფაბრიკის თვით ტეხნიკურ და საკანცელარიო პერსონალი კი უმთავრესად შესდგება „ყოფილ ადამიანებისაგან“, ყოფილი ფაბრიკანტები, მეფის პოლიციის მოხელენი, მემამულეები და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფაბრიკის ადმინისტრაციის დამოკიდებულება მუშა- ქალებისადმი. პროფკავშირის სრული უმოქმედობის გამო ფაბრიკაში შექმნილი იყო ისეთი მდგომარეობა, რომ ადმინისტრაცია დაუზოგავ ექსპლოატაციასთან ერთად მუშა-ქალებს იძულებულს ხდიდა სქესობრივი კავშირი დაეჭირათ მასთან.

მიღებულია ზომები იმისათვის, რომ გამმერის კონცესიაზე ძირ-ფესვიანად აღმოფხვრილ იქნას გამოაშკარავებული უმზგავსოებანი, ფაბკომი დაშლილია, დანიშნულია ხელ-ახალი არჩევნები, ხდება პარტიულ ორგანიზაციის გადახალისება. მახლობელ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა საერთო კრებებზე გამოაქვთ დადგენილებები, რომელშიაც მოითხოვენ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას და სამაგალითოდ დასჯას.

### როგორ ჩატარდება ა. პუშკინის დაბადების 129 წ. თავი

**მოსკოვი,** 5 ივნისი. პუშკინის დაბადებიდან 129 წლის შესრულების გამო გადაწყვეტილია მოეწყოს სპეციალური საღამო პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად. ამასთან ერთად პუშკინის დაბადების ადგილას მოეწყობა დიდი მიტინგი, სადაც სიტყვებით გამოვლენ ცნობილი ლიტერატორები და კრიტიკოსები.

მეცნიერების აკადემია სვამს საკითხს პუშკინის ნაწერების ახალ გამოცემის შესახებ 15 ტომად.

გარდა ამისა უკვე შეუდგენ პუშკინის ენის ლექსიკონის შედგენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

## ვემზადოთ თავდაცვის კვირეულისათვის

15 ივლისიდან 22 ივლისამდე საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ჩატარდება მეორე თავდაცვის კვირეული. გასულ წელს კვირეული ჩატარდა ომის წარმოშობის უშუალო საფრთხის ნიშან ქვეშ. ასეთი უშუალო საშიშროება დღეს თითქო არ არსებობს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საერთაშორისო მდგომარეობაში ჩამოვარდა სრული მშვიდობიანობა და საბჭოთა კავშირს არ მოელის რაიმე გარეშე საფრთხე. პირიქით, მიმდინარე წლის დასაწყისი არა ნაკლებად მდიდარი იყო ანტისაბჭოთა ტენდენციების განვითარებით კაპიტალისტურ სახელმწიფოების ბანაკში.

შეიარაღების ზრდა კაპიტალისტების ბანაკში, იარაღის ჟღარუნი, პროვოკაციების მოწყობა, გაძლიერებული ანტისაბჭოთა კამპანიების წარმოება—ნათლად აშკარავებენ ბურჟუაზიის მავ განზრახვებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ, ჩვენ გვმართებს კიდევ სიფხიზლის და ენერგიის გამოჩენა საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში.

თავდაცვის კვირეულის ამოცანას შეადგენს კვლავ დარაზმოს საზოგადოებრივი ყურადღება ამ მიმართულებით, ჩააბას მშრომელთა ფართო მასები გასამხედროების პრაქტიკულ მუშაობაში და შეუქმნას თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას მტკიცე მატერიალური ბაზა.

გასულ წელში ჩატარებულ თავდაცვის კვირეულს ჰქონდა ზოგიერთი ნაკლი. საჭიროა შარშანდელ გამოცდილების აღრიცხვა და ეხლანდელ კვირეულის უფრო გეგმიანი ჩატარება.

ადგილებზე აქედანვე უნდა შეუდგენ სათანადო სამზადისს, რომ კვირეულის დაწყებისთანავე ყველაფერი მოწესრიგებულ იქნას. ადგილობრივმა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა პარტიულმა, კომკავშირის, პროფესიონალურმა და ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა კვირეულის ჩატარებისას აღმოუჩინონ მათ მაქსიმალური დახმარება.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს წევრთა ახალი ფენების მოზიდვას თავდაცვა-ავიაქიმის რიგებში და აგრეთვე ახალი წრეების, რაზმების და სხვა პრაქტიკულ ორგანიზაციების დაარსებას და არსებულ წრეების ორგანიზაციულად განმტკიცებას.

კვირეულის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მატერიალურ ბაზის შექმნა და გაძლიერება. კვირეულის შემოსავალი თითქმის სავსებით მოხმარდება ადგილობრივ ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობის გაძლიერებას. ამიტომ, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ კვირეულის დროს შეგროვილ იქნეს რაც შეიძლება მეტი თანხა. ადგილებზე უნდა მოეწყოს ყულაბებით ფულების შეგროვება, ფასიანი ტირი, ხილამო-წარმოდგენები და სხვა.

თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანების პროპაგანდასთან ერთად, კვირეულმა უნდა მოგვცეს თავდაცვა-ავიაქიმის მიღწევების დემონსტრაცია, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს სამხედრო და ავიაქიმის გამოფენები, მასიური შეჯიბრი სროლაში, ფიზკულტურელთა გამოსვლები, მოდელების და საფოსტო მტრედების შეჯიბრი, ალლუმები, ინსცენიროვკები, ექსკურსიები წითელ ყაზარმებში, ბანაკებში, გემებზე, ქიმიურ ლაბორატორიებში და სხვა მრავალი ფორმები.

შესაძლებელია აგრეთვე მოეწყოს აგიტგადაფრენები ზოგიერთ მაზრებში. ამიტომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ენერგიული ზომები დასაფრენი მოედნების გასაწმენდათ და მათ მოსაწყობად.

ამას გარდა საჭიროა თავდაცვა-ავიაქიმის სამაზრო ორგანიზაციებმა მოაწყონ აგიტ-ურმები ლიტერატურით, მოძრავი ტირებით და კუთხეებით სოფლებში გასაგზავნად. მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნეს რადიო-გადაცემის საშუალებანი ლექცია-მოხსენებისათვის.

კვირეულის დაწყებამდე აუცილებლად უნდა ჩატარდეს მუშა და გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებები და თადარიგის მეთაურთა და ცვალებად არმიელთა კონფერენციები კვირეულის ამოცანების გასაცნობად. კვირეულის დროს უნდა შეუფარდოთ კურსების და წრეების საზეიმო გამოშვება.

ყველა ზემოჩამოთვლილი ღონისძიებები წარმოადგენენ აუცილებელ პირობას კვირეულის წესიერად ჩატარებისათვის და მათ ცხოვრებაში გატარებას უნდა მიექცეს უაღრესი ყურადღება არა მარტო თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების, არამედ მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობის მხრით.

ა. ფილღსანი.

## გასამხედროების ფრონტზე

### ტრამვაის მუშათა კლუბში

ტრამვაის მუშათა კლუბის გამგეობა იღებს ყოველგვარ ზომებს სამხედრო ცოდნის გასავრცელებლად მუშებს შორის.

კლუბის შენობის ერთ-ერთ ოთახში მოწყობილია სამხედრო კუთხე, სადაც გამოფენილია სხვადასხვა სახის იარაღი, ნიღაბები, მოდელები და სხვა, ბლომად არის აგრეთვე სამხედრო ხასიათის მხატვრული პლაკატები.

კუთხეში არის აგრეთვე სამხედრო ლიტერატურა.

უნდა აღინიშნოს, რომ კლუბის წევრი მუშები დაინტერესებულნი არიან სამხედრო საქმის შესწავლით. ისინი ხშირად დადიან კუთხეში, ეცნობიან იარაღს და კითხულობენ სამხედრო წიგნებს.

მოკლე ხანში კლუბთან მოეწყობა ტირი, რაც მისცემს საშუალებას მუშებს შეისწავლონ სროლის საქმე.

ო.—წ.

### „ზაკავტოპრომტორგის" ქარხანა

ამხ. სტალინის სახელობის „ზაკავტოპრომტორგი"-ს ქარხანასთან არსებული თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის მუშაობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ამჟამად ქარხანაში მუშაობს 100 მუშა, აქედან უჯრედის წევრებათ ირიცხება 65 კაცი.

უჯრედის ბიურო სათანადო ყურადღებას აქცევს თავდაცვის საკითხების გაშუქებას. წევრებიც დაინტერესებულნი არიან სამხედრო საქმის შესწავლით. მხოლოდ აუცილებლად საჭიროა სამხედრო წრის დაარსება, რათა მუშებმა უფრო დაწვრილებით შეისწავლონ სამხედრო მეცადინეობა.

საჭიროა აგრეთვე, რომ ავიაქიმის რაიონულმა საბჭომ მიამაგროს ქარხანაზე ერთი ამხანაგი, რომელიც გაუწევს მუშაობას სათანადო ხელმძღვანელობას და იზრუნებს უჯრედის მომარაგებაზე საჭირო მასალებით და ხელსაწყოებით.

ბდგ. მუშა.

## სამხედრო ქრონიკა

### საბანაკო ცხოვრება

წითელი ჯარის ნაწილები უკვე გავიდენ ბანაკად.

ივნისის პირველ რიცხვებიდან წითელი არმიელები შეუდგნენ სისტემატიურ საზაფხულო სწავლებას.

### მზადება სოფლად მუშაობისათვის

ზაფხულის განმავლობაში იწარმოებს განსაკუთრებული მეცადინეობა იმ წითელ არმიელებთან, რომლებიც წლეულ გაიშვებიან გრძელვადიან შვებულებაში. მათთვის შექმნილი იქნება კურსები და წრეები, სადაც წითელარმიელები შეიძენენ ისეთ ცოდნას, რომელიც საჭიროა სოფლად მუშაობისათვის.

ყაზარმაში ჩამოყალიბდება კოოპერატიული, ქოხ-სამკითხველოების და სამხედრო კუთხეების გამგეების მოსამზადებელი კურსები.

### სამხედრო კინო-სურათები

ზაფხულის პერიოდში სამხედრო კინო-მრეწველობის მიერ გამოშვებულ იქნება შემდეგი კინო-სურათები: „თვითმფრინავი", „მაშხალა თოფი", „ზარბაზანი", „ჯავშნოსანი", „შენიღბვა", „რადიო ომში" და სხვა.

ამის გარდა სამხედრო-კინო გამოუშვებს სამ მხატვრულ სურათს ყაზარმის ცხოვრებიდან.

### სამხედრო-საზღვაო ლაშქრობა

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმი ივნისის შუა რიცხვებში აწყობს სამხედრო-საზღვაო ლაშქრობას მდინარე ვოლგასა და კასპიის ზღვაზე. ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებენ მეტ წილად კომკავშირელები. ლაშქრობას უხელმძღვანელებენ წითელი ფლოტის მეთაურები.

ლაშქრობის მიზანია სამხედრო საზღვაო პროპაგანდა.

# მებამბეობის ახალი რაიონები ამიერ-კავკასიაში

თბილისში დაბრუნდა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოსაგან მებამბეობის რაიონების გამოსაკვლევად გამოყოფილ სპეციალურ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ლეჟი, რომელმაც კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობისა და ბამბის სათესი ახალი რაიონების გამონახვის შესახებ ჩვენს თანამშრომელს განაცხადა:

— ბამბის სათეს რაიონების გამოსანახავად კომისიის მიერ მუშაობა დაწყებულ იქნა მდ. არაქსის კალაპოტის რაიონში. გამოირკვა, რომ აღნიშნულ რაიონში მილის ველის მორწყვის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი იქნება ბამბის ნათესების გაფართოება 200.000 ჰექტარის სივრცეზე. სარწყავი სისტემის გაყვანის დაჩქარებით დაჩქარებული იქნება აგრეთვე ამიერ-კავკასიაში ბამბის მეურნეობის გაფართოება.

ივნისის შუა რიცხვებისათვის ჩვენი კომისია დაამთავრებს აღნიშნულ ველზე ბამბის თესვისათვის შესაფერი მიწის ნაკვეთების გამოყოფას. ამასთან ერთად შემუშავებული იქნება იმ ღონისძიებათა გეგმა, რომლითაც დაჩქარებული უნდა იქნეს მილის ველის მოსარწყავი სამუშაოები და მუღანის ველის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია.

ახლო ხანში კომისია შეუდგება აგრეთვე მდ. მტკვარის კალაპოტის გამოკვლევას.

ბამბის სათესი ახალი რაიონების გამოსანახავად დაწყებული მთელი მუშაობა დამთავრებული იქნება 2—3 წელიწადში.

# ა.-კ. 1926—27 წ. სახელ. ბიუჯეტის შესრულება

## (ა.კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ამ.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის 1926—27 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კოლეგიამ დეფექტებთან ერთად აღნიშნა მიღწევები სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში. კერძოდ, კოლეგიამ აღნიშნა საბალანსო წონასწორობის გაუმჯობესება წარსულ წელთან შედარებით; ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება მთლიანად და მისი გადიდება (26,4 პროცენტით) 1925—26 წელთან შედარებით; არასაგადასახადო შემოსავლის გადიდება წარსულ წელთან შედარებით; რაც მოწმობს სახელმწიფო წარმოებათა და ქონებათა ექსპლოატაციის გაუმჯობესებას; 548.000 მან. მომჭირნეობის მიღება ბიუჯეტის შესრულების დროს ფინაპარატის რაციონალიზაციისა და კრედიტების შეკვეცის საშუალებით; საბუღალტრო აღრიცხვის და სხ. გაუმჯობესება 1925—26 წელთან შედარებით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ დეფექტები სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში უმთავრესად გამოწვეულია ამ საკითხზე არსებულ კანონმდებლობათა და უმაღლესი ორგანოების დირექტივების შეუსრულებლობით, სხვა მომენტებთან ერთად აუცილებლად სცნო მიაქციოს ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. ფინსახკომის და ამ.-კავკ. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების ყურადღება იმაზე, რომ გაძლიერებულ იქნას საბიუჯეტო და საგეგმო დისციპლინა, და მტკიცედ იქნას დაცული არსებული კანონები და დირექტივები; წინადადება მიეცეს ფინსახკომს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად გააუმჯობესოს საბიუჯეტო გამოანგარიშებათა მეთოდოლოგია, განსაკუთრებით არასაგადასახადო შემოსავლის დარგში; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სახალხო განათლებისათვის ბიუჯეტით გადადებული თანხების გამოყენების შემოწმებას, რისთვისაც აუცილებელია ყველა უწყებებსა და დაწესებულებებს ევალოთ სახალხო განათლებისათვის დახარჯული თანხების ანგარიში პერიოდულად წარუდგინონ ამ.-კავკ. ფინსახკომს.

# ა.-კ. პროფსაბჭო სახელმწიფო მინიმუმის შესახებ

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ სცნო, რომ ხელფასის ამჟამად არსებული სახელმწიფო მინიმუმი არ არის საკმაო, რაც პრაქტიკულ მნიშვნელობას უკარგავს სახელმწიფო მინიმუმს. გარდა ამისა, მთლიანი მინიმუმის პრინციპი არ არის მიზანშეწონილი შრომის ყველა დარგებისათვის ეხლანდელ პირობებში, როცა შრომის ცალკე დარგებში არსებობს ხელფასის სხვადასხვაგვარი დონე. ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილად სცნო ხელფასის რამოდენიმე მინიმუმის დაწესება მეურნეობის, ცალკე დარგების მიხედვით, სახელდობრ: სასოფლო მეურნეობისა, საოჯახო მეურნეობისა, შინამრეწველობისა, მრეწველობისა, ტრანსპორტისა, ვაჭრობისათვის და სხ. სახელმწიფო მინიმუმი სისწორით უნდა იქნას დაწესებული ყველაზე უფრო გავრცელებული პროფესიების უბრალო, არაკვალიფიციური შრომის საშუალო ხელფასის მიხედვით. მეურნეობის ყოველი ცალკე დარგისათვის უნდა იქნას დაწესებული ამ პროფესიების ფაქტიური საშუალო ხელფასის ორი მესამედი ნაწილი ცალ-ცალკე მუშებისათვის და მოწაფეებისათვის.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ აუცილებლად სცნო, რომ სახელმწიფო მინიმუმი დააწესოს მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატმა. სახელმწიფო მინიმუმი ერთი წლით უნდა იქნეს დაწესებული.

# ტუფის მადნების დამუშავება დაიწყო

სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭო შეუდგა ტუფის ბუდობების დამუშავებას. ბუდობები მდებარეობენ ქალ. ცხინვალიდან 6 კილომეტრის დაშორებით მდინარე პატარა ლიახვის მახლობლათ.

ტუფისაგან აგებენ დიდი შენობების კედლებს. იგი გამოსადეგია აგრეთვე აგურის მაგიერ. ტუფის მადანი წარმოადგენს გამაგრებულ თიხას, რომელსაც ვერაფერს აკლებს წვიმა და სხვა ატმოსფერული მოვლენები, მისგან აგებული შენობა ძლიერ მიწისძვრებსაც კი უძლებს. (მიწისძვრისას ტუფით აგებული სახლები არ ინგრევიან), გარდა ამისა ტუფით აგებული სახლი ჯდება 40 პროცენტით უფრო იაფი, ვიდრე აგურის სახლი.

სამხრეთ-ოსეთში ტუფის ბუდობები აღმოჩენილი იქნა ერთი წლის წინეთ. გასული შემოდგომიდან სწარმოებს მათი შესწავლა. ს. მ. უ. საბჭოში მიღებული ცნობებით, გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ცხინვალის ტუფი საუკეთესო ხარისხისაა, მისი მარაგი ძალიან დიდია და მდებარეობაც ხელსაყრელი.

ამ რამოდენიმე დღის წინად შეუდგენ ამ ბუდობების დამუშავებას. მომავალი წლიდან განზრახულია ბუდობებთან გაყვანილ იქნეს ვიწროლიანდაგიანი რკ. გზა და მადნის ამოღების გასადიდებლათ დაიდგას მექანიკური მოწყობილება.

მომავალი წლიდანვე დაიწყება ტუფის გატანა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. ცხინვალში კი მოეწყობა ტუფის საჭრელი სახელოსნო, სადაც მადნის დიდ ბელტებს დაჭრიან აგურის ზომაზე.

# პარტიული ცხოვრება

## სრულიად საკავშირო აგიტ-პროპ თათბირი

**მოსკოვი**, 5 ივნისი. 3 ივნისს დაიხურა საკავშირო აგიტპროპთათბირი.

აგიტპროპთათბირის დახურვის წინ, ამხ. კრინიცკიმ ჯამი გაუკეთა თათბირის მუშაობას. თათბირის დამახასიათებელი მხარე, მისი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ იქ მეტი იყო ლაპარაკი ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებზე.

„ეს კარგია,—ამბობს ამხ. კრინიცკი,—ეს ხელს შეუწყობს ჩვენს წარმატებით წინსვლას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არის საუცხოვო მაგალითებიც, რომლებზედაც შეიძლება ვისწავლოთ. თათბირი სრულ ერთსულოვნებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იდეოლოგიურ და კულტურულ ფრონტზე ჩვენ უნდა გადავიდეთ შეტევაზე. მასიური მუშაობა, რომელსაც უახლოეს დროში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებლად უნდა ვაძლიეროთ. სიფხიზლე ჯერ კიდევ მოგვაკლია.

ჩვენ მტკიცედ უნდა მოვკიდოთ ხელი აქტივის კულტურულ-პოლიტიკური დონის აწევას, რაც მთავარი ბერკეტია ამ სიძნელეების გადასალახავად" (აღს).

## მუშებისადმი უყურადღებოდ მოპყრობის გამო

### საკ. კ. პ. (ბ) ცეკას შუა-აზიის ბიუროს დადგენილება

**ტაშკენტი**, 5 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას შუა-აზიის ბიუროს აღმასრულებელმა კომისიამ, რეზოლუციაში შუა-აზიის მუშების განწყობილებათა შესახებ, აღნიშნა ის კონფლიქტები, რომლებსაც ახლო ხანში ადგილი ქონდა მთელ რიგ წარმოებებში. კონფლიქტები ამტკიცებს, რომ პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციები თავის დროზე არ ღებულობენ ზომებს მუშათა უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზების აღმოსაფხვრელად.

აღმასრულებელმა კომისიამ მოიწონა საკავშირო პროფსაბჭოს შუა-აზიის ბიუროს დადგენილება თურქმენისტანის მშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობის დაშლის შესახებ. შუა-აზიის რკინის გზის გამგეობის ფრაქციას გამოეცხადა სასტიკი საყვედური მუშებისადმი უყურადღებოთ მოპყრობის გამო. დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემული.

## თვითკრიტიკის ნაყოფი

### (ს. ბაღდადი, ქუთ. მაზრა)

პარტიის მიერ გამოცხადებული ლოზუნგი ნაკლოვანებების გამომჟღავნების და დღის სინათლეზე გამოტანის შესახებ ფართო გამოხმაურებას პოულობს დაბალ ფენებში. ბიუროების ეხლახან ჩატარებულმა საარჩევნო კამპანიამ დაგვანახა, რომ ყოფილა ისეთი ადგილები, სადაც რიგის კომუნისტებს არ ქონიათ საშუალება გამოეთქვათ თავიანთი აზრი.

27 მაისს ს. ბაღდადში, მოწვეული იყო კომუჯრედის სხდომა, რომელმაც მოისმინა ბიუროს ანგარიში. კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად იმეორებდნენ: „ეხლა ყველაფერი უნდა ითქვას, რადგან პარტიამ საამისო საშუალება მოგვცა. უჯრედის საქმე დღემდე სამი კაცის ხელში იყო, რომლებიც იარაღით ემუქრებოდენ, თუ ვინმე გაბედავდა მათ წინააღმდეგ გამოსვლას"—ამის შემდეგ ორატორებმა დაუმალავად აღნიშნეს ბიუროს მუშაობის სხვადასხვა ნაკლოვანებები.

„კოოპერატივის მუშაობა სუსტია,—ამბობდნენ ისინი,—კოოპერაციას ბაზრის მხოლოდ ორმოცდა ათი პროცენტი უჭირავს და მოსახლეობის მოთხოვნილების 40 პროც. თუ აკმაყოფილებს. მაშინ,—როცა პარტიამ აღებული აქვს კურსი ზედნადები და ადმინისტრატიული ხარჯების შემცირებისაკენ, ბაღდათის „ეპოს" გამგეობა თანდათან უმატებს სამგზავრო ფულისა და დღიურების გაცემას; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს არა აქვს შესწავლილი თავისი წევრების სოციალური მდგომარეობა; ყველა ეს უჯრედის ხელმძღვანელობის სისუსტის უნდა მიეწეროს.

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა არ იყო საკმაო; ყოფილა შემთხვევა, როცა პარტიის წევრები არ კადრულობდენ კომკავშირის კრებაზე დასწრებას, კომუჯრედმა არც იცოდა. თუ რას აკეთებდა ეს ორგანიზაცია. მართალია საბჭოსთან და სხვა ორგანიზაციებთან არსებობს ღარიბთა ჯგუფები, მაგრამ ისინი არ მუშაობენ, საჭიროა მათი ამოქმედება.

კამათში გამოირკვა აგრეთვე, რომ ზოგიერთი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, როდესაც მუშაობის უარყოფით მოვლენებზე ლაპარაკობენ პარტიის რიგის წევრები. მედიდურობას და ყოყოჩობას კიდევ აქვს აქა-იქ ადგილი.

კრებამ დაავალა ახალ ბიუროს ყველა აღნიშნული ნაკლის გამოსწორება.

ნიაღვარი.

## ბიუროების გადარჩევის შედეგები

### (ველისციხე, სიღნაღის მაზრა)

სამაზრო კომიტეტის დირექტივის თანახმად ველისციხის რაიკომმა ბიუროების მორიგ გადარჩევის წინ ჩაატარა უჯრედების მდივნებისა და ბიუროების წევრთა თათბირი.

თათბირის დადგენილების მიხედვით ყველა უჯრედებში გამოიყო თვითშემმოწმებელი კომისიები, რომლებმაც წინასწარ გამოიკვლიეს ბიუროს მუშაობა და საარჩევნო კრებებზე გამოვიდენ თანამოხსენებით.

საარჩევნო კამპანია დაიწყო 5 მაისს და გასტანა 15 მაისამდე. გადარჩევებში მონაწილეობა მიიღო კომუნისტების 95 პროცენტმა.

ბიუროების ანგარიშებიდან გამოირკვა, რომ უჯრედებს აქვთ საგრძნობი მიღწევები შინაპარტიული დემოკრატიის გატარებაში, დღითი-დღე იზრდება ორგანიზაციის ავტორიტეტი, რაც იწვევს მშრომელ გლეხთა მასიურ ლტოლვას პარტიის რიგებისაკენ და სხვ.

ნაკლთაგან გამოირკვა, რომ ბიუროები სათანადო ყურადღებით ვერ ეპყრობიან მასიურ მუშაობას გლეხობაში, კულტურული რევოლუციის საკითხებს, ბავშთა კომორგანიზაციების ხელმძღვანელობას და გლეხ-ქალთა შორის მუშაობას.

სუსტია აგრეთვე საუჯრედო კომისიების მუშაობა, რაც უნდა მიეწეროს იმას, რომ ბიუროებს ნაკლებად მოეპოვებათ სახელმძღვანელო მასალები ამ დარგში.

ბიუროების შემადგენლობა არჩევნების დროს განახლდა 60 პროცენტით. ახალ ბიუროებს მომავალი მუშაობისათვის მიეცათ საქმიანი მითითებები.

ი. ქოჩუა.

## საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

### „ულმერთოთა" უჯრედების დაარსების შესახებ

ცეკას საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებამ დაუგზავნა ადგილებს მიმართვა „ულმერთოთა" კავშირის უჯრედების დაარსების შესახებ.

„ულმერთოთა" კავშირის უჯრედი—ნათქვამია მიმართვაში,—უნდა მოეწყონ ნებაყოფლობით პრინციპზე. კავშირში ფართოდ უნდა იქნას ჩაბმული პარტიის და კომკავშირის წევრები, მუშები, გლეხები და ინტელიგენცია.

„ულმერთოთა" უჯრედების მუშაობის ამოცანაა აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება ყველა რელიგიების და სარწმუნოებრივი წესების (ნათლობა, ჯვრის წერა, ქელეხი, ალაპი და სხვა) წინააღმდეგ; საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ცოდნათა გავრცელება; ბრძოლა ცრუმორწმუნოებებთან (სიზმრები, მოჩვენება, წინაპართა თაყვანის ცემა, ჯადოსნობა, ექიმბაშობა, ხატებისათვის შეწირვა, სტიქიურ უბედურების დროს), ძველ ზნე-ჩვეულებებთან (ოჯახის წევრთა ურთიერთობა) ალკოჰოლიზმთან და სხვ."

### საგიტ. საპროპ. მუშაობა გორის მაზრაში

საქ. კომპარტიის ცეკაში მოსმენილ იქნა გორის სამკომის საგ. საპროპ. განყ. გამგის ანგარიში ცეკას ინსტრუქტორის თანამოხსენებით.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გორის სამაზრკომის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს. კერძოთ ვერ იყო სათანადოთ გაშლილი პარტგანათლების ქსელი, მოიკოჭლებდა თვით განვითარებითი მუშაობა, მაზრკომს არ გააჩნდა სკოლების ხელმძღვანელთა საკმაო მომზადებული კადრი, სუსტი იყო დასწრება სამოსწავლო ერთეულებში და სხვ.

ხსენებულ დეფექტების აღმოსაფხვრელად, ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა სამაზრო კომიტეტს, მომავალი წლისათვის გააფართოვოს პარტგანათლების ქსელი და უზრუნველყოს იგი სათანადო ხელმძღვანელებით; მოაწყოს მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები აგიტ-პროპმუშაკთათვის. დაარსოს მუშურ რაიონებში საშეფო საზოგადოების უჯრედები, რომელთა სამუშაო გეგმებში შეტანილ უნდა იქნეს ახალი ყოფა-ცხოვრების და კოლმეურნეობათა იდეის პროპაგანდის საკითხები.

კომკავშირის ხაზით სამკომმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მუშაობის გაძლიერებას პიონერ-ორგანიზაციასა და მოსწავლეთა შორის.

სამაზრო კომიტეტმა უნდა გააჯანსაღოს აგრეთვე ნებაყოფლობითი საზოგადოებები, ჩაატაროს ამ ორგანიზაციების წევრთა ხელახალი აღრიცხვა და გადასინჯოს მათი მუშაობისადმი ხელმძღვანელობის ფორმები.

# ტყვარჩელის ქვანახშირის სამუშაოები

## ტყვარჩელის ქვანახშირის პერსპექტივები

ტყვარჩელის საქვანახშირო რაიონის შემსწავლელმა კომისიამ დაამუშავა ცნობები ტყვარჩელის ქვანახშირის გასაღების პერსპექტივების შესახებ. ცნობებში აღნიშნულია, თუ რომელი ქვეყნების ქვანახშირთან მოუხდება კონკურენციის გაწევა ჩვენ ქვანახშირს და ან რომელ ქვეყნებში იქნება გასაღებული, აქედან გატანილი ქვანახშირი.

როგორც უკვე საბოლოოდ გამოირკვა, ქერჩის ლითონის ქარხნები ამ თავითვე გადავა ტყვარჩელის ქვანახშირის მოხმარებაზე. ქერჩში ტყვარჩელის ქვანახშირზე გადასვლა ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნება მრეწველობისათვის, ვიდრე დონის ქვანახშირით მუშაობა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ქერჩში ფუთი ღირს 25 კაპ., ხოლო ტყვარჩელის ნახშირის ფასი კი არ გადააჭარბებს 18,5 კაპ.

ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპორტს სხვა ქვეყნებში, ასეთი პერსპექტივები აქვს:

ხმელთაშუა ზღვის გარშემო და ახლო მდებარე ქვეყნები (თურქეთი, საბერძნეთი, იტალია, ალჟირი და ბალკანეთის ზოგიერთი ქვეყნები) დღემდე ხმარობენ უმთავრესად ინგლისის ქვანახშირს, რომელიც იქ ძალიან ძვირი ჯდება. დასახელებულ ქვეყნებში ტყვარჩელის ქვანახშირის გასაღებას ფართო პერსპექტივები ეშლება. მაგ. იტალიაში ტყვარჩელის ქვანახშირი ეღირება 8 კაპ. უფრო იაფი, ვიდრე ინგლისის ნახშირი. ხარისხით კი ჩვენი ნახშირი სჯობია ინგლისურს.

ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების გამო, ამიერ-კავკასიაში საძირკველი ჩაეყრება ლითონის მრეწველობას. კომისიის მიერ შემუშავებული გეგმით ნაგულისხმევია ახალი ლითონის ქარხნების მოწყობა დაშკესანში და ჭიათურაში. დაშკესანში, სადაც მოიპოვება რკინის მდიდარი მადნები, მოეწყობა რკინისა და ფოლადის დამამზადებელი ქარხანა, ხოლო ჭიათურაში—ფერო-მარგანეცის ქარხანა.

აღნიშნული ქარხნების მოწყობის გარდა გაფართოებული იქნება ამჟამად არსებული სპილენძის სატკეცო და სადნობი ქარხნები და სხვა წარმოებები. ლითონის მრეწველობა მთლიანად გადავა ტყვარჩელის ნახშირის მოხმარებაზე. ამიერ-კავკასიის ლითონის მრეწველობას ყოველწლიურად დასჭირდება 25 მილიონი ფუთი ნახშირი.

ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების პირველ წლებში მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება, ხოლო ახალი მადაროების მოწყობის შემდეგ, ნავარაუდევია 100 მილიონი ფუთი ნახშირის მიწოდება ქერჩის ქარხნებისათვის, 25 მილიონი ფუთის რკინის გზებისათვის, 25 მილ. ფუთის ა.-კ. მრეწველობისათვის, 50 მილიონი ფუთი—საექსპორტოდ. უახლოესი 5 წლის შემდეგ ქვანახშირის ექსპორტი გადიდებული იქნება ერთი-ორად.

## მეორე უბნის მაღაროს პროექტის დამტკიცება

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ 26 მაისს „იუგოსტალ"-ის გამგეობაში პროფ. ტერპოგოსოვის თავმჯდომარეობით შესდგა ტეხნიკური თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა ტყვარჩელის რაიონის მეორე უბნის მაღაროს პროექტის საფუძვლები. თათბირმა შესაძლებლად სცნო დამტკიცებული იქნეს პროექტის შემდეგი ძირითადი დებულებები:

მაღაროს ნაყოფიერება გადიდებული უნდა იქნეს 50 მილ. ფუთამდე წელიწადში, რაც უზრუნველჰყოფს მაღაროს მუშაობას მინამც 25 წლით. ნახშირის ამოღება შესაძლებელია და ეკონომიურად უფრო სასარგებლო არა ვერტიკალური მაღაროებით, არამედ კაპიტალური შტოლნით. მომავალი მაღაროს დასაცავად წყალისაგან პარალელურად გაყვანილი იქნება სპეციალური წყალგადამშვები ორხი. მუშების კოლონია მოწყობილი იქნება მთავარი შტოლნის სათავესთან მდ. ხელის ნაპირზე. ნახშირის დახარისხება იწარმოებს შტოლნის სათავესთან ანდა სადგურ ტყვარჩელში, გარეცხვა კი განზრახულია სწარმოებდეს სადგურ ტყვარჩელში ანდა ოჩემჩირის ნავთსადგურში ან კიდევ ნახშირის მოხმარების ადგილზე.

კაპიტალური ხარჯები მაღაროს ასაგებად მთელი ტეხნიკური მოწყობილობით, შენობებით, მუშათა კოლონიით, ნახშირის დახარისხებით (გარეცხვის გარდა), ჰიდრო-ელსადგურით და ვიწრო ლიანდაგიან რკინისგზის გაყვანით ნავარაუდევია 30 კაპ. რამოდენიმე წლიური ამოღების თითოეულ ფუთზე. დახარისხებულ მაგრამ გაურეცხავ ნახშირის [illegible] ტყვარჩელში გამოანგარიშებულია 3 ნახ. კაპ. (ამაში შედის საამორტიზაციო ხარჯებიც). გარეცხილი ნახშირის თვითღირებულება ფრანკო-ვაგონი სად. ტყვარჩელში არ უნდა აღემატებოდეს 11 კაპ. ფუთზე.

შარშან მაკეევის ქარხნებში მოხდენილმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ ტყვარჩელის ქვანახშირიდან შეიძლება მიღებული იქნეს კარგი ხარისხის მეტალურგიული კოქსი; ამასთანავე ტყვარჩელის კომისიის მიერ შარშან მოწყობილმა ექსპედიციებმა დაამტკიცეს, რომ ნახშირის გადატანა სად. ტყვარჩელიდან ქერჩის ნავთსადგურამდე დაჯდება 8 კაპ. ფუთი. თათბირმა მიიღო რა ყველაფერი ეს მხედველობაში, აღნიშნა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავება „იუგოსტალის" კერჩის ქარხანაში სავსებით რენტაბელური იქნება. ეს საკითხი უკვე იმდენად გამორკვეულია, რომ „იუგოსტალის" გამგეობა ახლო ხანში შუამდგომლობას აღძრავს ცენტრის წინაშე, რათა დაჩქარებით იქნეს მიღებული ზომები ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლოატაციის დასაწყებად.

მიმდინარე ზაფხულზე „იუგოსტალი" ტყვარჩელში გზავნის ახალ ექსპედიციას, რომლის მიზანია: გამოკვლევითი ბურღვის წარმოება მდ. არაშის და ხელის შეერთების რაიონში, რათა უფრო სწორად იქნეს გამორკვეული კაპიტალური შტოლნის გაყვანის ადგილი, და მთელი რიგი ტოპოგრაფიული სამუშაოების წარმოება კოლონიის ადგილის და მთელ რიგ ტეხნიკური შენობების სწორი გეგმების შესადგენად.

ექსპედიციის მუშაობა გაგრძელდება ნოემბრის პირველ რიცხვებამდე.

# თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ

## მდგომარეობა ადგილებზე

### ზუგდიდის მაზრა

(მომხსენებელი ამხ. გაბუნია)

მომხსენებლის აზრით, ზუგდიდის მაზრისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მიწათმოწყობის დაჩქარება და კუთხის სხვადასხვა რაიონების ეკონომიური გამოკვლევა-შესწავლა. მიწათმოწყობა, როგორც სხვაგან, ისე ზუგდიდის მაზრაში ნელი ტემპით მიმდინარეობს და თვით მისი ჩატარების წესიც არ არის დამაკმაყოფილებელი. მეტია მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე ლაპარაკი, თუ დროზე არ დამთავრდა მიწათმოწყობა და არ გამოირკვა, თუ მაზრის ამა თუ იმ რაიონში მეურნეობის რომელი დარგი უნდა იქნეს შემოღებული. მაზრის მოსახლეობის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს სიმინდის თესვა. ჯერჯერობით სიმინდი ყველაზე უფრო შემოსავლიანი მეურნეობაა მაზრაში. საშუალოდ ყოველ წლიურად მაზრიდან გააქვთ ორი მილიონ ფუთამდე სიმინდი. დამუშავება სწარმოებს პრიმიტიული წესით. თუმცა უკანასკნელ ხანებში ხმარებაში შემოდის გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მაგრამ ხანდახან მაზრას აწვდიან ადგილობრივი პირობებისთვის შეუფერებელ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. რამდენადაც მაზრის ხაზინა საშუალებას აძლევს, ყურადღება ექცევა მემინდვრეობის განვითარებას. მიმდინარე წლის ბიუჯეტით ამ საქმისთვის გაღებულია 60 ათასი მანეთი. აქედან 80 პროცენტი უკვე დახარჯულია. მეაბრეშუმეობის დარგში ზუგდიდის მაზრას საქ. სხვა მაზრებს შორის (გურიის შემდეგ) მეორე ადგილი უჭირავს. იგი წარმატებით ვითარდება, მაგრამ უფრო მეტად განვითარდებოდა, მაზრაში რომ გახსნილიყო აბრეშუმის ერთი ფაბრიკა და ერთი საგრენაჟო სადგური.

მესაქონლეობას, კერძოთ მეღორეობას მაზრაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ყოველ წლიურად მაზრიდან გააქვთ 40 ათასი ფუთი ღორის ხორცი. წლევანდელმა ზამთარმა ძალიან დააზარალა მესაქონლეება, რომელმაც დაღუპა საქონლის 30 პროცენტი. მაზრაში ძალიან ვითარდება აგრეთვე დაფნის კულტურა. ამჟამად შენდება დაფნის ხის ახალი პლანტაციები. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გლეხის ბიუჯეტში თხილის შემოსავალს. ყოველ წლიურად მაზრიდან გააქვთ 25 ათასი ფუთი თხილი. ამჟამად შენდება თხილის საწმენდი ქარხანა, რომელიც ხელს შეუწყობს თხილის მეურნეობის განვითარებას. აღმასკომს მაზრებში აქვს კონიაკის, სპირტისა და არაყის სამი ქარხანა, რომელიც წლიურად 28 ათას მან. შემოსავალს აძლევს. მაზრის ბიუჯეტი დეფიციტიანია. შარშანდელთან შედარებით იგი გადიდებულია 25 პროცენტით. სხვადასხვა კულტურულ საჭიროებისათვის მაზრა მიმართავს თვითდაბეგვრას. გასულ წელს თვითდაბეგვრით გაკეთებულია დაახლოებით 100 ათასი მანეთის საქმე.

სახალხო განათლების მხრივ მაზრაში შემდეგი მდგომარეობაა: სულ არის 140 სკოლა. აქედან—104 ოთხწლედი; სოფლის ახალგაზრდობის სკოლა 6, შვიდწლედი—25, აგრეთვე ტექნიკუმი ერთი. მიუხედავად ამისა, სკოლის გარეთ მაინც ბევრი ბავშვი რჩება.

### ქუთაისის მაზრა

(მომხსენებელი ამხ. ღვამიჩავა)

მომხსენებელი წინდაწინ აფრთხილებს თათბირს, რომ მას მეურნეობის ამა თუ იმ დარგიდან არ შეუძლია სწორი ციფრების მოწოდება, რადგან ადგილებზე მომქმედი დაწესებულებები, რომლებიც ცენტრს ექვემდებარებიან, არ ეწევიან თავის ნამუშევარის სტატისტიკურ აღრიცხვას და ნედლ მასალას გზავნიან ცენტრში დასამუშავებლად. სტატბიუროები მაზრებში, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობენ, ამიტომ საიმედო არ არის ადგილობრივ დაწესებულებების მიერ მოწოდებულ ცნობებზე დამყარება. შემდეგ მომხსენებელი ეხება რა სხვადასხვა დარგების განვითარებას მაზრაში, ამბობს, რომ ქუთაისის მაზრა, როგორც ეკონომიური რაიონი, შეიძლება სავსებით გამოკვლეულად ჩაითვალოს. მაზრის სხვადასხვა რაიონი იძლევა ბამბის, ვენახის, ხილის, ბოსტნეულის და სამკურნალო მცენარეულის კულტურების განვითარების შესაძლებლობას. ამ მხრივ საკვლევი არაფერი არ არის. საჭიროა მხოლოდ დაიწყოს გეგმაშეწონილი მუშაობა ამ კულტურების განსავითარებლად. ამას კი აუცილებლად წინ ეღობება მიწის მოუწყობლობა. საჭიროა პირველ რიგში მოიხსნას მიწის ხარვეზობა და მიწის ნაჭრების ერთი მეორისაგან დაშორება. ეს ღონისძიება გარდა იმისა, რომ კალაპოტში ჩააყენებს მეურნეობის განვითარებას, მოსპობს მაზრაში გავრცელებულ მიწის ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მიწის ნაჭრების გაცვლა-გამოცვლის სახით ხდება. არა თუ მიწის მოწყობა, მაზრაში როგორც წელს გამოირკვა, მიწის რეფორმაც კი არ ყოფილა ჩატარებული. წელს აღმოჩენილ იქნა 2.500 დესეტინა მიწა, რომელსაც მაზრაში ნორმის ზევით ფლობდენ ყოფილი მემამულეები. ამ მიმართულებით სამაზრო აღმასკომს კიდევ მოუხდება მუშაობა. გარდა მემინდვრეობისა, მაზრისთვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მებოსტნეობას, რომელიც ვითარდება კიდეც, მაგრამ საქმე ის არის, რომ დღემდე ბოსტნეულის პროდუქციის რეალიზაცია კერძო ვაჭრების ხელშია. ვითარდება მებამბეობაც. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ბამბით ნათესი არე 106 პროცენტით გადიდდა. მევენახეობის დარგში მიღწევა ის არის, რომ მაზრაში თითქმის აღმოფხვრილია ფილოქსერა და ღვინის მოსავალიც თანდათან მატულობს. ღვინის დამზადებას ხელს უშლის ევროპული მარნების უქონლობა. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. მეაბრეშუმეობის დარგში მაზრას ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს. რაც შეეხება მეტყეობას, სამაზრო აღმასკომმა თემებს გადასცა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, რომლებიც თემაღმასკომებმა თავის შემოსავლის წყაროთ გახადეს. ჩვენ ეს დაუშვებლად ვცნანით და ავკრძალეთ. ახალი ტყეების გაშენება მაზრაში ნელი ტემპით მიმდინარეობს. აგროპერსონალი მაზრაში მცირეა. მოსახლეობა სასოფლო სამეურნეო იარაღებით მხოლოდ 15 პროცენტით არის უზრუნველყოფილი. როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის, ისე ადგილობრივი მრეწველობა მაზრაში ვითარდება: შენდება რიონჰესი, გამოგვყავს [illegible], აგებულია ხონსა და სამტრედიაში აბრეშუმის ფაბრიკები, საგრენაჟო სადგურები, შენდება ბარიტის წისქვილი, კირისა და საამშენებლო ქვის ქარხნები და სხვა. მაზრაში არსებობს 20 კოლმეურნეობა, რომელიც მთელი მოსახლეობის 0,8 პროცენტს აერთიანებს.

### ახალციხის მაზრა

(მომხსენებელი ამხ. შაბანოვი)

ამხ. შაბანოვი სვამს საკითხს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გაერთიანების შესახებ. ეს მაზრები, მისი დასკვნით, ეკონომიურად ერთი მეორის დამატებას წარმოადგენენ. ახალციხის მაზრას აქვს ტყეები, მაგრამ არა აქვს ხე-ტყის ქარხნები, რომელიც ამჟამად შენდება ახალქალაქის მაზრაში. ახალციხის მაზრის მცხოვრებთა დიდი ნაწილი მისდევს მესაქონლეობას, მაგრამ მაზრაში არ არის საძოვრები, რომლითაც უხვია ახალქალაქის მაზრა. შემდეგ მომხსენებელი გადადის მაზრის მდგომარეობის დახასიათებაზე. მთავარი საკითხი მაზრისათვის არის გზები. ბევრი იყო ლაპარაკი ყრილობებზე, თათბირებზე, ცაკის სესიებზე საგზაო მშენებლობის შესახებ, მაგრამ საგზაო საქმეს წარმატება არ ეტყობა. ამის შესახებ გამოცემული დადგენილებები არ ტარდება ცხოვრებაში. გზათა სამმართველო არავითარ ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივ საგზაო მშენებლობას.

სოფლის მეურნეობა ვითარდება, თუმცა ჯერ კიდევ პრიმიტიულ მდგომარეობაშია. უკანასკნელ წლებში ხმარებაში შემოდის სეპარატორები, სათეს-სალეწი მანქანები, ტრაქტორი და სხვა. მიწის მოუწყობლობა, როგორც სხვა მაზრებს, ისე ახალციხის მაზრასაც აბრკოლებს. მაზრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტყეებს, როგორც საკურორტო, ისე ექსპლოატაციის თვალსაზრისით. ტყეები დღემდე მოწყობილი არ არის და მათი უწესო განჩეხვა ისევ გრძელდება. იმ მიზნით, რომ მაზრა არ გაიძარცვოს ტყეებისაგან, სწარმოებს ახალი ტყეების გაშენება, თუმცა ძალიან ნელი ტემპით. წელს უნდა გაშენებულიყო 200 ჰექტარი, გაშენდა მხოლოდ 35 ჰექტარი. ადგილობრივ მრეწველობას მაზრაში კარგი პერსპექტივები აქვს. უკვე აგებული გვაქვს სახამებელის ქარხანა, რომლის პროდუქცია იაროსლავის ქარხანაზე უკეთესი აღმოჩნდა. ამჟამად ქარხანა წლიურად ამზადებს 75.000 ფუთ სახამებელს, მომავალ წლისთვის განზრახული გვაქვს ნაყოფიერება 300.000 ფუთამდე ავიყვანოთ. სახელმწიფო დაზღვევა მაზრაში გავრცელებულია, მაგრამ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს ადგილობრივ არ ჰყავს თავისი აგრონომები და ბეითლები, სამაზრო აღმასკომი იძულებულია თავის აგრო. პერსონალით დააკმაყოფილოს მეურნეობათა საჭიროება, მაშინ, როცა ჩვენი აგროპერსონალი, სიმცირის გამო, ვერ ასწრებს მუშაობას თავის პირდაპირი დანიშნულებით.

სახალხო განათლებას უკანასკნელ წლებში დიდი წარმატება ეტყობა, მაგრამ იმ დონემდე ჯერ არ არის მისული, რომ სკოლებში ვიყოლიოთ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვები. ამ გარემოებით სარგებლობენ ხოჯები, რომელნიც მუსულმანურ გლეხობაში აგიტაციას ეწევიან სასულიერო სკოლების გახსნის სასარგებლოდ. შვიდწლედები ჩვენი მაზრის პირობებისთვის შეუფერებელია, უმჯობესია გავამრავლოთ სოფლის ახალგაზრდობის სკოლები. მაზრაში არსებობს ერთი საავადმყოფო, რომელიც დაშორებულ რაიონის მცხოვრებთათვის მიუწვდომელია, ადგილობრივ საექიმო პუნქტებთან კი სტაციონალური საწოლები არ არსებობს.

### შორაპნის მაზრა

(მომხსენებელი ამხ. ცუცქირიძე)

თუ მიწათმოწყობა,—ამბობს მომხსენებელი, ამ ტემპით წავიდა, მაზრაში იგი 25 წლის განმავლობაში არ დამთავრდება. მიწათმოწყობას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს თუნდ იმ მხრივ, რომ მისი გატარების შემდეგ შეუძლებელი გახდება მიწის ყიდვა-გაყიდვა, რომელიც ეხლა გაცვლის სახით სწარმოებს. უმაღლეს კულტურიდან შორაპნის მაზრაში ყველაზე უფრო მეტად ფეხს იკიდებს მეაბრეშუმეობა. თუ იმამდე მაზრაში წლიურად აბრეშუმის პარკის მოსავალი 1.300 ფუთს არ აღემატებოდა, შარშან მოსავალმა 2.500 ფუთს გადააჭარბა. წელს მოსალოდნელია 7.000 ფუთი. მეაბრეშუმეობას მტკიცე საფუძველი ეყრება იმ მხრივ, რომ ყოველ წლიურად შენდება თუთის ხის პლანტაციები. მაგ. შარშან გაშენებულია 7 ქცევა პლანტაცია. შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ჩატარებულ თესვის კამპანიაზე და ამბობს, რომ კამპანიამ უარყოფითი შედეგი გამოიღო. გლეხობას ბევრი დავპირდით და ცოტა ავასრულეთ. თესლი ვერ მივაწოდეთ საკმაო რაოდენობით და თავის დროზე. ამას დაემატა გვალვები, რის გამოც მაზრაში 3.000 დესეტინა მიწა დაუხნავ-დაუთესავი დარჩა.

მაზრაში ფეხს იკიდებს კოლექტიური მეურნეობა. უკვე არსებობს 10 კოლექტივი, მაგრამ ნაკლი ამ მოძრაობის ის არის, რომ გლეხებს ემჩნევა ტენდენცია კოლექტივები მოაწყონ საფონდო მიწებზე. ამავე დროს თავს არ ანებებენ თავის ინდივიდუალურ მეურნეობას. უკანასკნელ ხანებში ჩვენ ამ მოვლენას შევებრძოლეთ და ავკრძალეთ კიდეც. საგზაო მშენებლობა მაზრაში შეფერხებულია. დავიწყეთ სურამ-ძირულის გზატკეცილის გაყვანა, მაგრამ იძულებული გავხდით მიგვეტოვებინა, რადგან ვერ მოვახერხეთ თვითდაბეგვრის გატარება. სასოფლო გზების მშენებლობაში სოფლად მომუშავე მოსამსახურეები მონაწილეობას არ ღებულობენ, რაც უკანონო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან სოფლად მათ აქვთ მეურნეობა და გზებს ისევე ხმარობენ, როგორც გლეხები. გზატკეცილების სამმართველო არავითარ დახმარებას არ გვიწევს. ხიდის გეგმის შედგენა ვთხოვეთ და ისიც არ შეგვისრულა. რამოდენიმე წლის წინად დავიწყეთ არხის გაყვანა, მაგრამ უსახსრობისა და ხელმძღვანელების უქონლობის გამო შუა გზაზე მივატოვეთ. გაყვანილ არხში ჩადგა წყალი და მთელი რაიონი მალარიის ბუდეთ გადაიქცა. განათლების მხრივ მაზრა დაწინაურებულია. სკოლების რიცხვი საკმაოა და მცირეა სასკოლო ასაკის ბავშვთა პროცენტი, რომელიც სკოლის გარეთ არის დარჩენილი.

### ქ. ფოთი

(მომხსენებელი ამხ. ლომთათიძე)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში ქალაქი ეკონომიურად ძალიან ჩამოქვეითდა. ერთად ერთ შემოსავლის წყაროს მის ბიუჯეტში წარმოადგენდა საფუთო გადასახადი, მაგრამ ამანაც იკლო, რადგან ორგანიზაციების უმრავლესობა საქონელს ტრანზიტით გზავნის და ქალაქი მოკლებულია საშუალებას იგი დაბეგროს. გასავალი ქალაქისა ძალიან დიდია. ქალაქს სრულიად არ ესაჭიროება იმდენი სკოლები და სამკურნალო დაწესებულებები, რომელსაც იგი ინახავს. ამ კულტურული დაწესებულებებით ქალაქი აკმაყოფილებს სენაკის და ოზურგეთის მაზრების (ფოთის ახლო მდებარე) რაიონების მცხოვრებთა საჭიროებას. დახმარებას ამ მაზრებიდან ფოთი არ ღებულობს. საჭიროა ქალაქს გაუდიდდეს დოტაცია, რომ მან შესძლოს საფუძველი ჩაუყაროს ადგილობრივ მრეწველობას და ამით შექმნას თავისი უდეფიციტო ბიუჯეტი. გასულ წლამდე ქალაქს ცოტა შეღავათს აძლევდა სესხის მიწოდებით კომუნალური ბანკი, მაგრამ გასულ წელს იგიც დაიხურა და ეხლა მას იმდენი საშუალებაც კი არა აქვს, რომ შეაკეთოს ხიდები. ფოთის ჭაობების ამოშრობას ქალაქისათვის უდიდესი მნიშვნელობა ქონდა, მაგრამ უკანასკნელად მუშაობა შეწყდა და მცხოვრებლები ისევ რჩებიან მალარიის ბუდეებით გარშემორტყმული.

—:—

ორშაბათს, 4 ივნისს, თათბირის სხდომა არ შემდგარა. გუშინ დილით გაგრძელდა მოხსენებები ადგილებიდან. სხდომა დაიწყო ქ. ბათომის აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ჯინჭარაძის მოხსენებით.

### ქ. ბათომი

(მომხსენებელი ამხ. ჯინჭარაძე)

ბათომს აქვს არა მარტო რესპუბლიკანური, არამედ საკავშირო მნიშვნელობა, რაც თავის-თავად ქალაქის წინაშე აყენებს მეტად დიდ მოთხოვნილებებს. ბათომი ძველი ქალაქია და იქ მრავალია ისეთი შენობები, რომელთაც გადაკეთება ესაჭიროება. მშენებლობა ბათომში არსებითად დაიწყო 1925 წლიდან. ამ წელს კეთილმოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 60 ათასი მანეთი, მეორე წელს 98 ათასი და გასულ წელს—180 ათასი მანეთი. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ამავე მიზნისათვის დახარჯულია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი. ბათომის საბჭოს განკარგულებაშია წყალსადენი, ელექტრო-სადგურები (ორი), კომუნალური აბანო, სანიტარული ქარავანი, ყინულის ქარხანა და სხ. დაწყებულია დამატებითი წყალსადენის გაყვანა, რადგანაც არსებული წყალსადენი ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას. წყალსადენის არსებული ქსელი ფართოვდება. ელექტრო-სადგურები მეტად დატვირთულია მუშაობით და მაინც არ ყოფნის ქალაქს. ბათომის საბჭოს საქმიანობის გაფართოებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ქალაქმა ჯერ კიდევ ვერ მიიღო ადგილობრივ მნიშვნელობის წარმოებები, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია, რაც არის გამოცემული საქართველოს მთავრობის დადგენილება ადგილობრივ მნიშვნელობის წარმოებების აღმასკომებისათვის გადაცემის შესახებ.

ქალაქის სასაკლაო პრიმიტიულია და მოუწყობელი, ამის გამო საქონლის დაკვლა ისევ ძველი წესით სწარმოებს. საჭიროა ახალი სასაკლაოს აგება.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეეხო ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის საკითხებს და აღნიშნა, რომ ქალაქი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია სანიტარიისა და ჰიგიენის მხრით. ბათომს არა აქვს კანალიზაცია, უამისოდ კი შეუძლებელია სანიტარული პირობების გაუმჯობესებაზე ლაპარაკი. რადგანაც არსებული სანიტარული ქარავანი სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას: მას გააქვს იმ სიბინძურის მხოლოდ ერთი მეათედი, რომელიც გროვდება ქალაქში. დანარჩენი ნაწილი მიდის ნიაღვარში, ორმოებში და ამოღრმავებულ ადგილებში, რაც ფრიად დიდ საშიშროებას წარმოადგენს მთელი ქალაქისა და მისი მოსახლეობისათვის. ამიტომ ქალაქისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს კანალიზაციის ქსელის მოწყობა, რასაც უამრავი თანხები სჭირდება.

საბინაო მშენებლობის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი: ქალაქი საბინაო კრიზისს განიცდის. საბინაო სივრცის ნაკლებობის გამო მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი ბარაკებში ცხოვრობს. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯა 400,000 მანეთი, რაც მეტად მცირე თანხად უნდა ჩაითვალოს. ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილი აქვს მუშათა დიდი სახლის აგება, რომელსაც ექნება ოთხი სართული. განზრახულია აგრეთვე მუშათა ორი სახლის გადაკეთება. კომუნალური ბანკის კრედიტები არ არის საკმარისი.

ცეცხლისაგან დაცვის საქმე კარგად არის დაყენებული.

სახალხო განათლების დარგში საგრძნობი მიღწევებია. მოწყობილია აჭარელ ბავშთა სახლი, ორი საბავშო ბაღი, 9 ოთხწლედი, ნაციონალური უმცირესობათა სკოლები, ინდუსტრიალური ტეხნიკუმი, პედაგოგიური და აგრონომიული ინსტიტუტები და სხ. საჭიროა სკოლების შენობათა შეკეთება და ახალი შენობების აგება.

ჯანმრთელობის დარგში მოწყობილია ერთი საავადმყოფო 230 საწოლით, არის რენტგენის კაბინეტი, პოლიკლინიკა (ორი), ვენერიული დისპანსერი, 4 სარაიონო ამბულატორია, პასტერის სადგური და სხ.

ბოლოს მომხსენებელმა დაახასიათა ქალაქის ბიუჯეტი და აღნიშნა, რომ წელს იგი სამ მილიონ მანეთზე მეტია. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი 29 პროცენტით გაიზარდა. ადმინისტრატიული ხარჯები შემცირებულია. სოციალ-კულტურული ხარჯები საგრძნობლად გაიზარდა.

### სენაკის მაზრა

(მომხსენებელი ამხ. ქიჩულორია)

სენაკის მაზრის მცხოვრებთა საქმიანობის მთავარი დარგია სიმინდის თესვა. სიმინდი მაზრაში საჭიროებაზე მეტი მოდის. ყოველწლიურად მაზრას გარეთ 500.000 მანეთის სიმინდი გააქვს. სიმინდი ითესება ყოველწლიურად 43 ათას დესეტინაზე. მუშაობის წესები პრიმიტიულია. ერთ-ერთი შემოსავლიანი მეურნეობა მაზრაში არის მეღორეობა, რომლის განვითარებასაც სამაზრო აღმასკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. აწყობს საცდელ პუნქტებს და ამ მოკლე ხანში განზრახვა აქვს მოაწყოს ბეკონის ქარხანა. უფრო მნიშვნელოვანი მეურნეობა არის მაზრაში მეაბრეშუმეობა, რომელსაც მისდევს მცხოვრებთა 75 პროცენტი.

ეს დარგი ყოველწლიურად ფართოვდება წელს დარიგებულია 16 ათასი კოლოფი. მოსალოდნელია აბრეშუმის პარკის დიდი მოსავალი. მაზრის მთიან ადგილებში ფეხს იკიდებს მევენახეობა, რასაც ხელს უწყობს [illegible] სახალხო მამული, რომლის დახმარებითაც ამ რაიონში მოწყობილია რამოდენიმე ვაზის სანერგე. დიდი მომავალი აქვს მაზრაში ჩაის კულტურას. ხუთწლიანი გეგმით მაზრაში უნდა გაშენდეს 1.200 დესეტინა. წელს გაშენებულია 120 დესეტინა ჩაის პლანტაცია. აგრომომსახურება მაზრაში დამაკმაყოფილებელია. მოწყობილია რვა აგრონომიული პუნქტი, 3 ვეტერინარული პუნქტი და სხვა. აგრონ. ხმარებისათვის წელს აღმასკომმა გაიღო 26 ათასი მანეთი.

სამელიორაციო-საირიგაციო მუშაობა მაზრაში შეწყდა. წყალთა სამმართველომ ხელი აიღო ფოთის ჭაობების ამოშრობაზე. მიუხედავად იმისა, რომ 5 წელიწადი მუშაობდა იგი ამ ჭაობების ამოსაშრობად, არაფერი არ არის გაკეთებული. როგორც გამოირკვა წყალთა სამმართველოს არა თუ გეგმა, მუშაობის უბრალო სქემაც არა ქონია. ეს არის მიზეზი, რომ ამდენი ფული უნაყოფოდ დაიკარგა.

ასევე შეიძლება დახასიათდეს გზათა სამმართველოს მუშაობა ჩვენს მაზრაში. სენაკ-ზუგდიდის გზატკეცილი გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე სასოფლო გზები. მაზრაში საფუძველი ეყრება ადგილობრივ მრეწველობას, რასაც ხელს უწყობს აბაშის ელსადგური. 5 წლიანი გეგმით გათვალისწინებულია აშენდეს და მოეწყოს ბეკონის ქარხანა, ცემენტის ქარხანა, ხოლო ხილის საშრობი ფაბრიკა და საამშენებლო მასალების ქარხანა. განათლების მხრით სენაკის მაზრას საქართველოში მესამე ადგილი უჭირავს. არსებობს სულ 197 სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი 614 მასწავლებლით. სასკოლო მშენებლობაში გლეხობა დიდ ინიციატივას იჩენს. სასწავლებლების დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია შენობებით. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სახალხო ჯანმრთელობის დაცვას. სენაკში არსებობს ერთი საავადმყოფო 45 საწოლით, 4 სარაიონო საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ვენერიული დისპანსერი, 9 საექიმო პუნქტი, 8 საფერშლო, მაზრაში მუშაობს სხვადასხვა სპეციალობის 38 ექიმი. სამაზრო აღმასკომის ხელში გადადის აფთიაქები, მაგრამ მეტად მძიმე პირობებში: აღმასკომს ავალებენ [illegible] განმავლობაში [illegible] აფთიაქის წამლეულობა.

ზუგდიდ-სენაკის მაზრების გაერთიანების შესახებ საკითხის დასმა მომხსენებელმა ნაადრევად მიიჩნია.

### სამხრეთ-ოსეთი

(მომხსენებელი ამხ. ჯატიევი)

სამხრეთ-ოსეთს აწუხებს ერთი მხრით მიწის სივიწროვე და მეორე მხრით უგზოობა. მიწის სივიწროვის გამო გახშირდა მცხოვრებთა ჩრდილო-კავკასიაში გადასახლება, მაგრამ ეს მაინც არ შველის მდგომარეობას. გლეხობას საკმაო საზრდო მაინც ვერ მოჰყავს. ოლქის დაბლობ ადგილებში ითესება ხორბალი, სიმინდი, ხოლო მთიან ადგილებში ქერი და კარტოფილი. ზოგიერთ ადგილებში გლეხობა მისდევს მევენახეობასაც. გასულ წელს დამზადებულ იქნა 300 ათასი ფუთი საუკეთესო ღირსების ხილი. მეაბრეშუმეობაც საკმაოდ არის ფეხმოკიდებული ოლქში. მოსახლეობის 54 პროცენტი უკვე მისდევს ამ საქმეს. მესაქონლეობა თავიდანვე შეადგენდა სამხრეთ-ოსეთის გლეხობის ერთ მთავარ მეურნეობას. უკანასკნელ ხანებში ეს დარგი უმჯობესდება. ეწყობა არტელები, რომელნიც მიზნად ისახავენ მეწველი ძროხების ჯიშის გაუმჯობესებას. ამ მხრივ წარმატებასაც აქვს ადგილი. მაგ. მეარტელეთა ძროხების წველა 13 გირვანქიდან 30 გირვანქამდე გაიზარდა. მეცხვარეობა ოლქში საკმაოდ განვითარებულია, მაგრამ მას დიდი სარგებლობა არ მოაქვს. უმჯობესია მის ნაცვლად ყურადღება მიექცეს მეღორეობას, რომელიც გაცილებით მეტ შემოსავალს იძლევა. მაგრამ ფუჭი იქნება ყოველგვარი ღონისძიებები სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად, თუ სამხრეთ-ოსეთმა თავი არ დააღწია უგზოობას. ამ მხრივ კი ბევრი არაფერია გაკეთებული. საგზაო ბეგარა ვერ ტარდება, და თუ ტარდება, საგზაო მშენებლობა მოკლებულია ყოველგვარ ტეხნიკურ მეთვალყურეობას. მთავრობა უნდა დაეხმაროს სამხრეთ-ოსეთისა და რაჭის მაზრას გზატკეცილის გაყვანაში ონ-ცხინვალ-გორის მიმართულებით. საჭიროა ამ თავითვე გადაიდოს თანხა ამ გზის გასაყვანად კვლევა-ძიებისათვის. ადგილობრივი მრეწველობის განსავითარებლად სამხრეთ-ოსეთში გადადგმულია პირველი ნაბიჯი. აგებულია ერთი ელექტრო-სადგური, ხე-ტყის ქარხანა, აგურისა და კირის ქარხნები, გრეხილ ავეჯეულის ქარხანა, ხუთწლიანი გეგმით განზრახულია ადგილობრივ მრეწველობაზე დაიხარჯოს 602.000 მანეთი, რომელიც მოხმარდება ხე-ტყის ახალი ქარხნის, ხილის საშრობი ფაბრიკის, სახამებელი ქარხნის აგებასა და სხვა.

ოლქის კულტურული მდგომარეობა ასეთია: არსებობს სულ 82 სკოლა 5 ათასი მოწაფით და 202 მასწავლებლით. მასწავლებელთა კვალიფიკაცია ძალიან დაბალია. საჭიროა მათთვის მოეწყოს გრძელვადიანი გადასამზადებელი კურსები. ოლქში არსებობს 3 საავადმყოფო, 3 საექიმო პუნქტი, 2 ამბულატორია. სპეციალისტი-ექიმები ოლქში არ არიან. უკანასკნელ ხანებში მაზრაში გავრცელდა მალარია და ტუბერკულოზი.

დასასრულ მომხსენებელი მოითხოვს ყურადღება მიექცეს სამხრეთ-ოსეთის მინერალურ წყლების ექსპლოატაციას.

### ლეჩხუმის მაზრაში

(მომხსენებელი ამხ. გულბანი)

მომხსენებელი სიტყვას იწყებს ცენტრალურ დაწესებულებათა მიერ ადგილებზე წარმოებული მუშაობის კრიტიკით. ა. კ. რკინის გზათა სამმართველო, რომელიც აწარმოებს ქვემო-სვანეთის ტყეების ექსპლოატაციას, მომხსენებლის აზრით არავითარ ყურადღებას არ აქცევს თავის მოხელეთა ბოროტმოქმედებას სატყეო აგარაკებში. გზათა სამმართველოს სრულიად უყურადღებოდ აქვს მიტოვებული სამხრეთ-ოსეთის გზატკეცილი, რომელიც ალაგ-ალაგ გაუვალია. მის მიერ ადგილობრივ საგზაო მშენებლობის ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი მეტია. მოუწესრიგებელია ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა. ფოსტა კვირაში ორჯერაც არ დაიარება, ტელეფონი სრულებითაც არ მოქმედობს. ს. მ. უ. ს. სისტემატიურად უყურადღებოდ სტოვებს მაზრის შუამდგომლობას კრამიტის ქარხნისა და პატარა ელსადგურის მოწყობის შესახებ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დღემდე არ განუხილავს ლეჩხუმის მინერალური წყლების იმ გამოკვლევის შედეგები, რომელიც ჩაატარა ქიმიკოსმა კუპცისმა. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მაზრას უარი უთხრა ორ თემში მოეწყო საკრედიტო ამხანაგობები, რომლის დასაარსებლად მან ადგილობრივ მცხოვრებლებიდან მოითხოვა 2.500 მანეთის გაღება. შემდეგ მომხსენებელი ეხება მაზრის მდგომარეობას და ამბობს, რომ მაზრის გლეხობა მისდევს სიმინდისა და პურის თესვას, მესაქონლეობას, მევენახეობას, მეაბრეშუმეობას და მეხილეობას. პური ითესება მხოლოდ საქონლის საკვების მოსაყვანად. არც სიმინდი იძლევა მაინცადამაინც დიდ მოსავალს. უფრო მოსავლიანია მევენახეობა, რომელსაც მისდევს ლეჩხუმის დაბლობი რაიონის მოსახლეობა. აქ მოდის საუკეთესო ხარისხის ღვინო.

ლეჩხუმის საზღვარზე შენდება ღვინის მარანი.

მესაქონლეობას მაზრაში აქვს მომავალი. სპეციალისტების დასკვნით ქვემო-სვანეთის ძროხების რძისაგან კეთდება საუკეთესო ყველი. უკანასკნელ წლებში მაზრაში გავრცელდა აგრეთვე მეაბრეშუმეობა. შარშან დარიგდა 330 კოლოფი თესლი, წელს კი 700. მაზრაში გაშენებულია რამოდენიმე თუთის ხის სანერგე. აგრო-დახმარება მაზრაში თანდათან უმჯობესდება. არსებობს 3 აგროპუნქტი. გლეხობას აგრონომიულ დახმარებას უწევენ აგრეთვე სოფლის ახალგაზრდობის სკოლები, რომელნიც გლეხობის საყვარელ სასწავლებლად გადაიქცა. მაზრას არ გააჩნია არავითარი სამრეწველო დაწესებულება. ამ მხრივ არაფერი არ გაკეთებულა. მაზრის მთელი ენერგია მოხმარდა საგზაო მშენებლობას, სასკოლო და საავადმყოფო შენობების აგებას. თვით დაბეგვრას მაზრაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თვით დაბეგვრით გაკეთებულია 272.000 მანეთის საქმე. სახალხო განათლება მაზრაში წინ მიიწევს. მოწაფეთა რიცხვი 6.000 აღწევს. სათანადოთ არის აგრეთვე დაყენებული ჯანმრთელობის დაცვა. აგებულია მშვენიერი საავადმყოფო 30 საწოლით, მოწყობილია დისპანსერი, კბილის საექიმო კაბინეტი, ამბულატორია ბავშვთა კონსულტაციით. ლაილაშში გახსნილია სარაიონო საავადმყოფო საწოლებით, მოწყობილია 9 საექიმო პუნქტი, 7 საფერშლო და სხვა.

—:—

გუშინ სალამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა სვანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ.

ვინაიდან გაკეთებულ მოხსენებებიდან საკმაოდ გამოირკვა საქართველოს მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკების საერთო მდგომარეობა, თათბირმა საჭიროდ აღარ სცნო დანარჩენ სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა მოხსენების მოსმენა.

### სვანეთის მაზრა

(მომხსენებელი ამხ. ნავერიანი)

სვანეთის მაზრაში კულტურულ-საგანმანათლებლო და საამშენებლო მუშაობა ფაქტიურად დაიწყო 1925 წელს. გაიხსნა ახალი სკოლები, მათ შორის ორი გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, წერა-კითხვის სალიკვიდაციო პუნქტები, ჭრა-კერვის სკოლები, 6 სამკითხველო და სხ.

მაზრაში მოწყობილია 4 მიმღები რადიო-სადგური, რომელთაც გლეხობა დიდი ინტერესით ეკიდება.

უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს გზის გაყვანა სვანეთში, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო სვანეთის ეკონომიური და კულტურული წინსვლა.

მოწყობილია ორი საავადმყოფო, საექიმო პუნქტი და მუშაობს საექიმო პერსონალი, თუმცა ექიმების რიცხვი არ არის დამაკმაყოფილებელი.

მოწვეულია ერთი აგრონომი, ექიმი ვეტერინარი და მისი თანაშემწე შეძენილია სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანები, გაყვანილია აგრეთვე ტელეფონი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სისხლის აღების შემთხვევების შემცირება: 1917 წლიდან 1924 წლამდე სვანეთში სისხლის აღების ნიადაგზე მოკლულ იქნა 600 ახალგაზრდა სვანი. 1924 წლიდან დღემდე კი—მხოლოდ 14.

მუშაობს კოოპერატივი და საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც გლეხობა განსაკუთრებული ინტერესით ეკიდება.

მიწის ყიდვა-გაყიდვა ისევ სწარმოებს, მაგრამ ჯერ ჯერობით რაიმე გადამჭრელ ზომების მიღება შეუძლებელია მოსახლეობის კულტურულ ჩამორჩენილობის გამო. დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობას ქელეხის გამართვის ჩვეულება, რითაც გლეხის მეურნეობა ნადგურდება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სვანეთის ასაღორძინებლად საჭიროა საგზაო მშენებლობის გაფართოება, ელსადგურის აგება, კერამიკულ და ხე-ტყის სახერხ ქარხნების მოწყობა, წისქვილების აგება და სვანეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება.

—:—

ამის შემდეგ დაიწყო კამათი მაზრებში წარმოებულ საბჭოთა აღმშენებლობის გარშემო.

# ბორჯომის სატყეო ქარხნის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულმა ბორჯომის სატყეო ქარხნის გამოკვლევამ გამოარკვია, რომ ქარხნის აგების დროს დაშვებულ იქნა მთელი რიგი დეფექტები შენობის სივიწროვის, დაზგების უმართებულოდ და ვიწროდ დადგმის, სახერხის მცირე ნაყოფიერების, ნედლეულის ბაზის არასაკმაოდ შესწავლის და სხვ. მხრივ. აგრეთვე აღნიშნულია, რომ საქართველოს ს. მ. უ. საბჭო და საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი სუსტ ხელმძღვანელობას უწევდნენ ქარხანას.

ქარხნის მუშაობის გაუმჯობესების, მისი ნაყოფიერების გადიდების და ტკეჩებზე არსებული ფასების შემცირების მიზნით მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ საჭიროდ სცნო მთელი რიგი რაციონალიზატორული ღონისძიებების ჩატარება. კერძოდ, სატყეო მრეწველობის ტრესტს წინადადება მიეცა შემოიღოს ქარხანაში ხელფასის ინდივიდუალური სანარდო სისტემა კოლექტიურის ნაცვლად, და ამით შექმნას სტიმული თვითეული დაზგის ნაყოფიერების ასაწევად; ს. მ. უ. საბჭოს და სატყეო მრეწველობის ტრესტს წინადადება მიეცა გააძლიერონ ცოცხალი ხელმძღვანელობა ინსტრუქტორების გაგზავნის საშუალებით; რათა თავიდან იქნას აცილებული ქარხნის მუშაობის შეფერხება ნედლი მასალის უქონლობის გამო, გაძლიერებული უნდა იქნეს ფინანსების გეგმიანი მიწოდება ნედლეულის დამზადების საქმეში; ქარხნისათვის დამხმარე მასალების მიწოდება უნდა ხდებოდეს გეგმიანი წესით, ამასთანავე მიღებული უნდა იქნეს ზომები შპალების ღირსების გასაუმჯობესებლად და სხვ. ნედლი მასალის თვითღირებულების შესამცირებლად და აგრეთვე ქარხნის განტვირთვისათვის მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ უახლოესი 3—4 თვის განმავლობაში ქარხნის სახერხი საამქრო გადატანილ იქნას ხე-ტყის დამზადების ადგილზე, რაც გამოიწვევს 25—30 კაპეიკის ეკონომიას ტკეჩის ერთ კომპლექტზე. ამას გარდა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აღნიშნა ხელფასის გაცემის დაგვიანების შემთხვევები და წინადადება მისცა ტრესტს მიიღოს ზომები ხელფასის თავის დროზე გასაცემად და დაფაროს ძველი დავალიანება (აღს).

# ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

## „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: ოულია მის. ხაჭაპურიძეს; ვლადიმერ ნარეშელაშვილს; ნიკიფორე სიმხიძეს; იასონ ბოჭორიშვილს, ნოე ჯიშკარიანს; გრიგოლ ბარათაშვილს; ვერა კვიმსაძეს; არისტოტ. ავალიანს; ი. ძოწენიძეს; ჯიმშ. მიქაბერიძეს; გრიგოლ ქორიძეს; ევლალია აბრამიძეს.

**ალვა ილ. ჩიხლაძე.**

—:—

შემომაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ 4 მან. 25 კ. ვიწვევ კვათანის, მაცხოვრისკარის ჭანის და ხაშის ოთხწლედების მოწაფეებს.

**აბაშის პირის (საჩოჩიო) 4 წლედის მოწაფეები;**

—:—

ქალ. ზესტაფონის საბავშვო ბაღის ბავშვებს შემოგვაქვს 6 მანეთი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა დასახმარებლად და ვიწვევთ ჭიათურის საბავშვო ბაღს, ქუთაისის საბავშვო ბაღებს; ოზურგეთის საბავშვო ბაღს; სამტრედიის და შორაპნის რკინის გზის საბავშვო კერებს; თბილისის მე-8 საბავშვო ბაღს; საჩხერის საბავშვო სახლს და ზესტაფონის პირველ 7 წლედის პირველ ჯგუფის ბავშვებს.

**ზესტაფონის საბავშვო ბაღის ბავშვები.**

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი ბავშვთა სასარგებლოდ და ჩემს მხრივ ვიწვევ: ავთანდილ ბურჯანაძეს; ოთარ ბარბაქაძეს; გოგი ლაცაბიძეს; კოლია ბანცაძეს; ცაცა ცხადაძეს; ბიქტორ ცხადაძეს; ანდრუშა გუდაძეს.

**ნოდარ ცხადაძე.**

—:—

შემოგვაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ აბაშის ცხრაწლედის მოწაფეთა შორის შეკრებილი 60 მან. და ვიწვევთ ახალ-სენაკის და მარტვილის ცხრაწლედების, ახალ სენაკის პედაგოგიური და აგრონომიული ტეხნიკუმების მოწაფეთა თვითორგანიზაციებს.

**აბაშის ცხრა წლედის მოწაფეთა თვითორგანიზაცია.**

—:—

მოწაფე ვახტანგ აფციაურის გამოწვევით შემოგვაქვს ხუთი მანეთი ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: გ. ზაქარეიშვილს; ექ. არვილ აპრამი; ექ. ჩიქოვანი; გ. გოგიჩაიშვილი; დ. უკლება; შ. კაჭარავა; ი: ალექსიძე; ს. დავიდაშვილი; გ. ფიცხელაური; მრევლიშვილი.

**კ. ბუდიაშვილი და ვახო ქამთარაძე.**

—:—

ახალ სენაკის 9 წლედის მეორე ჯგუფის მოწაფეებს შემოაქვთ ქუთაისის ხანძრით დაზარალებულ პატარა ბავშვების სასარგებლოდ 1—40 კ. და იწვევენ შემდეგ სასწავლებლებს: სენაკის პედაგოგიური ტეხნიკუმის; ადგილობრივი შვიდწლედის და ოთხწლედის მოწაფეებს, აბაშის; ნაისაკოვის; სუჯუნის, ფოცხოს; ნოქალაქევის; ბანძის; მარტვილის; სალხინოს; ნოსირის; თეკლათის და ძველი სენაკის მეორე ჯგუფის მოწაფეებს.

**მინდობილობით ბეგლარ იოსავა.**

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ დოდოჩია კლდიაშვილის გამოწვევით და ვიწვევ: გოგი ამაშუკელს; დარეჯანა და ლია ბუაძეებს, დათო და თინა ჩხეიძეებს.

**ლეო ჩხეიძე;**

—:—

ამხ. პოლია ცეხურიანის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ლეჩხუმის მაზრის ყველა პარტ. თემკომის მდივნებს, საორგ. განყოფილების გამგეს ამხ. ანტონ ჩარკვიანს, ლაილაშის სახ. სკრ. ამხ. მიანგ: ი: მუსერიძეს; თ. თარხულაძეს; გ: ისიანს; გრ. გორდეზიანს; გერმონ ზონენაშვილს, პორფილე ჩხეტიანს; ეფრემ ხუბუკელაშვილს, სერგო თაგვაძეს და გრიშა ხვანიძეს.

**ლაილაშის პარტკომის მდივანი ილია გოქაძე.**

—:—

თანახმად დოდოჩია კლდიაშვილის გამოძახებისა შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ლულუ კიფიანიდის; ლულუ ქორქიას; კაკო რაზმაძეს: ქსენია ლომიძეს; თინა დარჩიას; ნინუცა ქადეიშვილს, თინა ბოჭუას; ბიჩა ლაშხიას და ნოდარ მურღულიას.

**ტუტუშა გარამიძე.**

ამხ. გიგი და ჟუჟუ ქაჩიშვილების გამოწვევით შემოგვაქვს თითო მანეთი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და ვიწვევთ: თამარ, აზა და ოთარ ქავთარაძეებს, ქეთო კანდელაკს, ელეონორა ეჯიბიშვილს; ლიანა, ქეთო და გიგი ბოკერიებს, ავთანდილ, ნათელა და ტარიელ ბენდელქაძეებს.

**მაყვალა და ნოდარ ბაქრაძეები.**

—:—

ქართველი ხიზანოვილის გამოწვევით შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ: რეზო და ოთარ ჭარელავაძეებს, ნოდარ ბითაძეს, იურა ბეჟუნაშვილს, თეიმურაზ და რევაზ თოთიბაძეებს, დათუნია ორაგველიძეს, ნუნუ გუგუნავას, მიშა ფიცხალაიშვილს, თეიმურაზ და ნატა ჯაყელებს.

**რუსუდანა კოტის ასული ქარცივაძე.**

—:—

ტყის მრეწველობის ტრესტის სამმართველოს მოსამსახურეებს თანახმად საერთო კრების დადგენილებისა შემოაქვთ ნახევარი დღიური ხელფასი—ას სამი მან. და 35 კაპ. (103 მან. 35 კაპ.) ქ. ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ და იწვევენ ხის დამამუშავებელ პრომკავშირის ქვეუწყებათა ადგილკომს.

**ადგილკომი.**

—:—

მე-19 შრომის სკოლის თანამშრომლებს შემოაქვთ ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასი—45 მან. 70 კაპ. და თავის მხრივ იწვევენ მე-84, მე-24, მე-21, მე-22 და მე-62 შრ. სკოლების თანამშრომლებს.

ამხანაგების დავალებით **ეკატერინე მახათაძე.**

—:—

ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ნათელა მგალობლიშვილს; ნუნუ კაკულიას; თენგიზ დევდარიანს; გურამი გარსევანიშვილს, ეთერი ბესალიშვილს, კონსტანტინე აბულაძეს, კაპიტონ რაფავას, ვანო რაფავას, შალვა მაჭავარიანს და გიორგი მგალობლიშვილს.

**ოთარ აბულაძე**

—:—

მე-16 შრომის სკოლის მასწავლებლებს შემოგვაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი დღის სამუშაო ხელფასი—52 მან. 30 კაპ. ვიწვევთ მეორე სადღელ-სარჩენებელ და 78-ე შრომის სკოლას.

—:—

ავჭალის ბავშვთა ახალშენის თანამშრომლებს შემოაქვთ ერთი დღის ხელფასი—სამოცდა ოთხი მან. 52 კაპ. (64 მან. 52 კაპ.) ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ახალშენის გამგე **ვ. მელიქაძე.**

—:—

ქალუკა ჰელიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ: რაისა გველესიანს, ოლიკო გრიგოლიაშვილს; ნინა გოგელიას; ეკენია ლომაძეს; ქეთო თურქესტანიშვილს. ჯუხა ჯაფარიძეს; ვარინკა ნიკურაძეს; თამუსია თევდორაძეს და თიკო ფირჩხაძეს.

**დოდო ჭარხალაშვილი.**

—:—

თანახმად ესაიაშვილის გამოწვევისა შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ოთარ მეჟავანაძეს; ნათელა კუპრაძეს; ნუცა ფანცულაიას, ქეთინო ზოკურავას, შალიკო ხომერიკიძეს; მიშა შელიავას, ნოდარი მამრიკიშვილს, ბიქტორ ნადირაძეს და ლილი უკლებას.

**ოთარი ლეჟავა.**

—:—

რეზიკო ფრიდონის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და ვიწვევ: ოთიკო ფრუიძეს, ნათელა ლორთქიფანიძეს; თამრიკო ბაქრაძეს, რუსუდან ცაგარელს და თამაზ რამიშვილს.

**ნუნუ ცაგარელი.**

—:—

ამხ. მიშა ქარქაშაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ზამირა ქარქაშაძეს, ამალია კურცხალიშვილს, მერი ფრანგიშვილს, ბიძინა ქარქაშაძეს, კახი ბაღულაშვილს, ნოდარ შაქლაყაძეს, გივი კორზაძეს, რუსუდან შენგელიას და სვიმონ მღებრიშვილს.

**ოთარ შავლაყაძე.**

**გუშინ, გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 276 მან. 87 კაპ.**

**სულ წინათ შემოსულთან ერთად 15.318 მან. 92 კაპ.**

# მუშათა ცხოვრება

**დღეს, 6 ივნისს, საღამოს სრულ 6 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება თბილისის ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო თათბირების თავმჯდომარეებისა და გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში სდგას ამხ. ს. გოდაბერელიძის მოხსენება საწარმოო თათბირებისა და მუშკორთა ამოცანების შესახებ. მუშკორებისა და საწარმოო თათბირების წარმომადგენლების დასწრება აუცილებელია.**

### „ქველმოქმედობის“ შედეგი

(რკინის გზის საქ. - საფ. სკოლა)

თბილისის რკ. გზის საქ.-საფ. სკოლის მთავარი მიზანია მოამზადოს მოზარდი თაობა, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად. სკოლაში მოწაფეთა მიღება უნდა სწარმოებდეს საამისოდ არსებულ წესის მიხედვით, მაგრამ ამ წესს არავინ ანგარიშს არ უწევს.

მოწაფეების მიღება ხდებოდა სრულიად უგეგმოდ, სინამდვილესთან შეუფარდებლად. იყო თუ არ იყო საჭირო მაინც იღებდნენ. ვისაც ვინ უნდოდა იმას ღებულობდა. ასეთმა უგეგმობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ სასწავლებელში უამრავმა მოწაფეობამ მოიყარა თავი და წარმოებას კი ამ მოწაფეთა 30 პროცენტიც არ გამოადგება.

რკინის გზის წარმოებას დღეს არ სჭირია ის სპეციალობა, რომელზედაც მომზადებულია მოწაფეობა. წარმოებისათვის საჭირო სპეციალობის მოწაფეები კიდევ სკოლას არ მოჰყავს, ისე, რომ სკოლა დამთავრებულმა მოწაფეობამ სამუშაოს უქონლობის გამო, ძალაუნებურად უნდა მიაშუროს შრომის ბირჟას და ელოდოს იქ მოთხოვნილებას.

1927-28 წლის დასაწყისში, მოწაფეთა მიღების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. საუზნო კომიტეტის მიერ გამოგზავნილი ახალგაზრდობა გამოცდილი იქნა თეორიულად 5 წლედის ფარგლებში და გამოცდის შედეგები გადაეგზავნა გადამრჩევ კომისიას, რომელსაც სკოლის მოთხოვნილების მიხედვით უნდა გაეგზავნა ისეთი მოწაფეები, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ სკოლაში მიღების პირობებს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. გადამრჩევ კომისიის მიერ გამოგზავნილი მოწაფეთა უმრავლესობა მოულებელი აღმოჩნდა, სკოლისათვის. უბკავშირმა, პროფგანათლების განყოფილებასთან შეთანხმებით, სამჭედლო სპეციალობისათვის გამოგზავნა 18 კაცი, საქვაბო სპეციალობისათვის 28 კაცი და „ქველმოქმედობის“ მიზნით ამათ დაუმატა კიდევ 18 კაცი მოსამზადებლად. სკოლის ადმინისტრაცია მოსამზადებელ კლასის გახსნაზე თავიდანვე უარზე იყო, რადგან ზედმეტ ხარჯების მეტს არაფერ სარგებლობას არ მოუტანდა წარმოებას.

მიუხედავად ასეთი მოთხოვნილებისა და ვრცელი წერილობითი მოხსენებებისა, განათლების განყოფილებამ, სკოლა მაინც იძულებული შეიქნა მიეღო უბკავშირისა და პროფგანათლების გადამრჩევ კომისიის მიერ გამოგზავნილი მოწაფეები, რომლებშიც ქლექიანი დაავადებულებიც კი იყვნენ. რა შედეგი მოჰყვა ამას? ძალიან ცუდი: ისედაც დაავადებული მოწაფეები მთლად დაავადმყოფდნენ. ვერ აიტანეს საქვაბო და სამჭედლო საამქროებში მუშაობის პირობები და მოითხოვეს სხვა სპეციალობაზე გადაყვანა. სხვა სპეციალობაზე კი საჭიროება არ არის. არც თეორიულ სფეროში იჩენენ სასურველ წარმატებას.

უარეს მდგომარეობაშია მოსამზადებელი კლასიც; მათ სკოლა ამზადებს მარტო თეორიულად, მაგრამ შედეგი სრულიად უიმედოა, კლასში თავმოყრილია სხვადასხვა ცოდნის მქონე მოწაფეობა, (ზოგმა სრულიად არ იცის წერა-კითხვა). ეს კიდევ შეიძლება დაძლეული ყოფილიყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ დიდი უმრავლესობა ავადმყოფია. ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, ზოგიერთი მოწაფე გონებრივად სრულიად დაჩლუნგებულია. მოსამზადებელ კლასის შენახვა სახელმწიფოს უჯდება წელიწადში დაახლოებით 2.500 მანეთი, სარგებლობას კი არც ერთ კაპეიკს არ იძლევა.

მომავალში ასეთ მოვლენების თავიდან ასაცილებლად და სახელმწიფო თანხების მიზანშეწონილად და ნაყოფიერად გამოსაყენებლად, საუზნო კომიტეტმა და პროფგანათლების განყოფილებამ სასტიკად უნდა დაიცვან სკოლაში მიღების წესები.

**თალიკო.**

### ნუ მოგვატყუებთ

(ქუთაისი)

ქუთაისის „ემის“ სახარაზო სახელოსნოში მუშაობს 45 მუშა; მუშაობა სწარმოებს ნაჭრობით. ამას წინად მუშებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება იმ ფეხსაცმელების იამზადებაში, რომლებსაც ბაზრის მოთხოვნილებამ ფორმები შეუცვალა და გაართულა კვალიფიკაციაც და მისი დამზადებაც; ახალი ფორმების ფეხსაცმელების დამზადებას ესაჭიროება უფრო მეტი დრო და მეტი მუშაობა, ვიდრე პირველ შემთხვევაში.

წარმოების ადმინისტრაციამ მუშების სასაუბროდ დაიწყო წუწუნი იმის შესახებ, რომ სახელოსნო დეფიციტიანია და თუ მუშებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება, შესაძლებელია დაიხუროს. მაგრამ ადმინისტრაციის ეს განცხადება არ იყო მართალი. წარმოების მდგომარეობით დაინტერესებულმა მეტყავეთა პროფკავშირმა გამოარკვია სახელოსნოს ფინანსიური მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ სახელოსნოს, ექვსი თვის განმავლობაში წმინდა მოგებით დაუტოვებია 6.000 მანეთი, ისე, რომ ყოფილა საშუალება მუშების სამართლიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაშ რად დასჭირდა ადმინისტრაციას მუშების მოტყუილება?

ადმინისტრაციამ უნდა შეიგნოს, რომ მუშები დაინტერესებულნი არიან წარმოების მდგომარეობით, მისი აღორძინებით და საერთოდ წარმოების გაუმჯობესებით. ამიტომ ადმინისტრაცია უნდა აცნობდეს მუშებს წარმოების ნამდვილ სურათს. ეს წაახალისებს მუშებს, აწევს შრომის ინტენსივობას და წარმოებასაც გააუმჯობესებს.

**ა. კრობეტიანცი.**

### დანიშნეთ სარეზე გუნდი

ალესტაფისა და ხაშურის მიმართულებით, ყოველდღიურად დადის ამკრეფი მატარებელი № 349-338. ამ მატარებელზე დანიშნულია მხოლოდ ორი გუნდი; ერთი მიჰყვება მომქმედათ გორამდე, მეორე კი მარქაფად, ასეთი წესით სცვლიან ერთმანეთს გზაში, ისე, რომ გუნდები ისვენებენ რიგ-რიგობით, რადგან შეუძლებელია ერთმა გუნდმა დაუსვენებლივ შესძლოს ხაშურამდე მისვლა და უკან დაბრუნება. საუბედუროდ ეს არ ხდება ორივე მიმართულებით: ალესტაფისაკენ მიმავალ № 349 მატარებელზე აგზავნიან ერთ გუნდს, რომელსაც ზედიზედ დაუსვენებლივ მუშაობა უხდება. ხშირად გუნდს უსრულდება ნორმა ორთქლმავალზე მუშაობისა, მაგრამ არა აქვს საშუალება დაანებოს თავი მუშაობას, რადგან გამომცვლელი არავინა ჰყავს. ამის შესახებ ბევრჯერ იყო აღძრული შუამდგომლობა ადმინისტრაციის წინაშე, მაგრამ უკანასკნელი არავითარ ზომებს არ ღებულობს ხსენებულ მატარებელზე მემუხრუჭეთა ორი გუნდის დასანიშნად ალესტაფის მხარეზე.

საჭიროა ამას გაეწიოს ანგარიში და ერთი და იმავე მატარებელზე, ორივე მიმართულებით დაინიშნოს მემუხრუჭეთა ორი გუნდი. ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ მატარებლებს დამსხვრევისაგან, რაც ხშირად მატარებელზე მომუშავეთა დაღლილობითაც ხდება ხოლმე.

**თხზარელი.**

### მუშკორთა წერილებიდან

**წესრიგის „დამცველები“.** საუწყებო მილიციის თანამშრომლები: მხეიძე, კრავეიშვილი და წიგნაძე, წესრიგს ქუჩაში ეტლებით, ქეიფითა და სიმღერით იცავენ. ასეთი წესრიგის დამცველები რასაკვირველია, რომ არ გამოადგებოდა მილიციას. ამიტომ საუწყებო მილიციიდან მათ პირდაპირ მეტეხში ამოყვეს თავი.

**შულთვანი.**

**დაუდევრობით მასალა.** რკ. გზის მთავარ სახელოსნოს სხვადასხვა საამქროში ხშირად აქვს ადგილი მასალის დაზიანებას. ძალიან ხშირად გამოყვანილ და იატაკისათვის დამზადებულ ფიცარს, სჭრიან სამ-სამ არშინზე და ახმარებენ სხვა საქმეს. გარდა ამისა საამქროების შესავალთან, ტალახში ჰყრია საუცხოვო ნედლ მასალად დამზადებული ფიცრები. ეს კი დიდ ზარალს აყენებს რკ. გზას, ადმინისტრაცია, დაზოგე მასალა.

**მონადირე.**

**როდის გამოსწორდება. (შავი ზღვის რკ. გზა).** შავი ზღვის რკ. გზის ხრამოვის კანტორაში მოანგარიშის თანამდებობაზე მუშაობს ვინმე ფორჩუა, რომელიც უდიერად და უხეშად ეპყრობა საქმეზე მისულ მუშებს. იგი თავისი საქციელით იძულებულს ხდის მუშებს 5 წუთიან საქმეზე იარონ მთელი დღე და მოიცდენ საქმეს. როდის გამოსწორდება მოქ. ფორჩუა?

# გამოხმაურება

### თბილისის შინამრეწველ ხელოსანთა წვლილი

სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობის დახმარების კამპანიამ მძლავრი გამოხმაურება ჰპოვა თბილისის შინამრეწველ-ხელოსანთა ფართო მასაში. მოწვეულ იქნა შინამრეწველთა აქტივის გაფართოებული კრება, რომელმაც დაადგინა დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოდ ღარიბ ხელოსნებს გაეღოთ (თითოს) 50 კაპ.; ხოლო მეორე ჯგუფის ხელოსნებს—თითო მანეთი.

ამ დადგენილების მიხედვით თბილისის შინამრეწველ ხელოსნებმა დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოდ შეაგროვეს 955 მანეთი.

აღსანიშნავია ცეხების ბიუროების, განსაკუთრებით მკერავთა, მეტყავეთა და პარიკმახერთა ხელმძღვანელთა ენერგიული მუშაობა. მათ მიერ შეგროვილია აღნიშნული თანხის ნახევარზე მეტი.

ახალი ბაზრის ხელოსნებთან ერთად, დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად იქაურმა ვაჭრებმაც გაიღეს 55 მანეთი, ხელოსნებმა—50 მანეთი და ბაღის ხელოსნებმა 20 წყვილი ბავშვის ჩუსტი.

შინამრეწველ ხელოსანთა კლუბის ინიციატივით ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩამოყალიბებულმა ებრაელ ხელოსანთა დრამატიულმა წრემ, გასულ შაბათს წითელი არმიის და ფლოტის დარბაზში გამართა წარმოდგენა, რომლის მთელი შემოსავალი—131 მან. რაოდენობით გადაიდო ქუთაისის დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოდ.

„რადიო-გადაცემის“ ინიციატივით, მსახიობებმა: აგვეჯანამა, ალლაძემ; ავაზოვმა; ბუჟანოვმა; ბეზალემ; გეგიძემ; კაპელნიცკიმ; ქარახანმა; მესხიაძემ; მერხალულოვმა; ნადირაშვილმა; პროფილოვმა; თუმანიოვმა; წეერიავამ და ემიკიანმა, სახელმწიფო აკადემიურმა გუნდმა ამხ. ფიცხელაურის მეთაურობით, პაჭკორიას გუნდმა და „ადრიტუნი“-ს გუნდმა მაჩაბელიანის მეთაურობით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოდ გადასდეს 16, 21 და 28 მაისის რადიო-კონცერტის ჰონორარი 200 მანეთის რაოდენობით.

„რადიო-გადაცემის“ თანამშრომლებმა ამავე მიზნით გადასდეს ერთი დღის ხელფასი 40 მანეთის რაოდენობით. აღნიშნული თანხები 300 მანეთის რაოდენობით გადაეცა მთავრობის კომისიას.

# საექსკურსიო სეზონი

პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის ცნობით საექსკურსიო სეზონი საქართველოში გაიხსნება 15 ივნისიდან. ყველა საექსკურსიო რაიონებში დამთავრებულია საექსკურსიო ბაზების და მთავარი პუნქტების მოწყობა. ბაზებთან გარდა საკვები პუნქტებისა მოწყობილია დროებითი სასტუმროები, სადაც ღამის გათევაში ექსკურსანტებს (სულზე) გადახდება 30 კაპ. ბაზებთან მიმაგრებულია სპეციალური პირები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ექსკურსიებს და გააცნობენ მათ (ბაზის რაიონში) ღირსშესანიშნავ ადგილებს. მთავარ ბაზებთან მოეწყობა საექიმო პუნქტებიც, რომლებიც საჭიროებისამებრ საექიმო დახმარებას აღმოუჩენენ ექსკურსანტებს.

როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან და უცხოეთიდან ჩამოსულ ექსკურსიებისათვის, ისე ადგილობრივ ექსკურსიებისათვის შემუშავებულია საექსკურსიო მარშრუტები და გეგმები.

მიღებულ ცნობებით უცხოეთიდან და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან წელს საქართველოში ჩამოვა მრავალი ექსკურსია, რის გამო ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც განიზრახავენ ექსკურსიების მოწყობას რესპუბლიკის ფარგლებში, ამის შესახებ წინასწარ (10 დღით ადრე) უნდა აცნობონ პოლიტგანათლების მთავარმმართველობის ცენტრალურ საექსკურსიო ბიუროს.

ორგანიზაციებმა ბიუროს უნდა აცნობონ ექსკურსიის მარშრუტი, ექსკურსიის შემადგენლობის რაოდენობა და ექსკურსიის ხანგრძლივობა.

პროფკავშირთა საბჭომ ცალკე კავშირების ცენტრ. გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და ავტ. რესპ. პროფსაბჭოებს დაუგზავნა ექსკურსიების მოწყობის გეგმა. აღნიშნულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევა თავის მხრივ შეიმუშაონ ექსკურსიების მოწყობის კალენდარული გეგმა. შორეული ექსკურსიები უნდა მოეწყოს მუშების შვებულების დროს ამიერ-კავკასიის, რუსეთის და უკრაინის სამრეწველო ცენტრებში.

ადგილობრივ, საქართველოს ფარგლებში, მოწყობილ ექსკურსიებს უმთავრესად უნდა ქონდეს მხარეთ-მცოდნეობის, ჯანმრთელობის და გასეირნების ხასიათი. ადგილობრივი ექსკურსიები უნდა გაგრძელდეს არა უმეტეს—5 6 დღისა.

იმ მიზნით, რათა ექსკურსიებში რაც შეიძლება მუშების მეტმა რიცხვმა მიიღოს მონაწილეობა, პროფორგანიზაციებს ევალება წარმოებებში და მუშათა კლუბებში მოაწყონ სპეციალური საღამო-მოხსენებები და ჩაატარონ წინასწარი საგიტაციო მუშაობა.

# მალარიასთან ბრძოლა ს`ქართველოში

მალარია საქართველოში უძველეს დროიდანაა გავრცელებული. მალარიის გავრცელების მიხედვით საქართველოში გვხვდება მძიმედ, საშუალოდ და სუსტად დაავადებული რაიონები.

ეს ავადმყოფობა განსაკუთრებით გავრცელებულია მუშებსა და გლეხებს შორის. ბუნებრივია, რომ ამ სახალხო, სოციალურ ბოროტებასთან ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არ სწარმოებდა მალარიასთან გეგმაშეწონილი და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული ბრძოლა. თბილისში არსებობდა საახალშენო სამალარიო ლაბორატორია, რომლის სახელწოდებაც ნათლად განსაზღვრავდა მის სპეციფიურ მიზანს და დანიშნულებას. ყოფილი მიხეილის საავადმყოფოსთან, საავადმყოფოს მთავარ ექიმის განსვენებულ ა. გ. გურკოს თაოსნობით მოწყობილი იქნა მალარიის საწინააღმდეგო ლაბორატორია, რომელშიც ექიმები სპეციალურად სწავლობდენ მალარიასთან ბრძოლის საკითხებს. სამალარიო კომიტეტის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია, ვინაიდან მის არსებობას მხოლოდ დარჩენილი წესდება და გვაგონებს. ცალკე ექიმებს აინტერესებდათ სამალარიო მუშაობა და ისინი აწარმოებდნენ ტროპიკულ სნეულებათა შესწავლას. არ არსებობდა მალარიის საწინააღმდეგო სპეციალური მსხვილი ცენტრი, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებული ყოფილიყო მალარიასთან ბრძოლის მთელი საქმე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება მალარიასთან ბრძოლა სახელმწიფო მასშტაბით და ორგანიზაციულად. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ბრძოლას მალარიასთან სთვლის უმნიშვნელოვანეს პრობლემათ მთელ მედიკურ-სანიტარულ აღმშენებლობის საქმეში.

1923 წლამდე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მალარიასთან მებრძოლი ორგანიზაცია შესდგებოდა ერთი სამალარიო სადგურისაგან თბილისში და მალარიის საწინააღმდეგო სეზონურ ექსპედიციებისაგან, რომლებიც ზაფხულობით ნაწილდებოდნენ სხვადასხვა მაზრებში. 1923 წლიდან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მოახდინა ძირითადი რეორგანიზაცია და მთელი მალარიის საწინააღმდეგო საქმე სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ განყოფილებას გადასცა. ამ დროიდან მალარიასთან ბრძოლა უფრო ორგანიზაციულ ხასიათს იღებს და მთელი პრაქტიკული მუშაობა გადატანილია ადგილობრივ. მალარიით მძიმედ დაავადებულ რაიონებში ეწყობა სამალარიო სადგურები, რომელთაც სათავეში უდგას სპეციალური სამალარიო კურსებ გავლილი კვალიფიციური მედპერსონალი. მთელი მეცნიერული მუშაობა განყოფილებამ გადაიტანა თბილისის სამალარიო სადგურში, რომელიც ტროპიკულ ინსტიტუტად გადააკეთა. რეორგანიზაციის გეგმა ტარდებოდა თანდათანობით ამჟამად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მალარიის საწინააღმდეგო ორგანიზაციაში აქვს შემდეგი ქსელი: 1) ტროპიკული ინსტიტუტი თბილისში, 2) სამალარიო სადგურები მაზრებში და 3) ექსპედიციები. ჯ.ს.კ.-ს აღნიშნულ დაწესებულებათა გარდა არსებობს აგრეთვე სამალარიო დაწესებულებანი წითელი ჯვარის, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებისა, რკინის გზის ჯანგანყოფილებისა და ავტონომ. რესპუბლიკებისა, რომელთა შენახვაზეც ჩამოთვლილი დაწესებულებანი საკმაო თანხებს ხარჯავენ. განვლილი დროის განმავლობაში მალარიის საწინააღმდეგო ყველა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ დახარჯულია 8.000 კილოზე მეტი ქინაქინა, ღირებული 400.000 მანეთი. გარდა ამისა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მალარიასთან ბრძოლის ორგანიზაციისათვის გაიღო 5 წლის განმავლობაში, 21 და 22 წლების გამოკლებით, 340.000 მანეთი.

ჯანსახკომისარიატის მიერ წარსული დროის განმავლობაში მოწვეულია შემდეგი ყრილობები და კონფერენციები: 1922 წ. ამიერ-კავკასიის პირველი სამალარიო ყრილობა, 1926 წ. სრულიად საქართველოს პირველი სამალარიო კონფერენცია და 1926 წ. ამიერ-კავკ. მეორე სამალარიო ყრილობა.

ზემოაღნიშნული მუშაობა ეხება მხოლოდ მოსახლ. გაჯანსაღებას და არა იმ ადგილების გაჯანსაღებას, რომლებშიაც გავრცელებულია მალარია, ე. ი. იმ ძირითად ფაქტორით მოსპობას, რომლებიც ამა თუ იმ რაიონში ჰქმნიან ნიადაგს მალარიის განვითარებისათვის.

თუ მივიღებთ მხედველობაში რესპუბლიკის არსებით საჭიროებას ადგილების გაჯანსაღების მხრივ, ე. ი. ჭაობების მოსპობას მათი ამოშრობის საშუალებებით და სხვ., მაშინ მალარიასთან გენერალურ ბრძოლისათვის აუცილებელი იქნება დიდძალი თანხები, რომელთა გაღებას სახელმწიფო ამჟამად არ შეუძლია.

მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის გადადებულ თანხებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ანაწილებს რესპუბლიკის ცალკე სამალარიო კერათა საჭიროების მიხედვით. მაზრებში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრს წარმოადგენენ მუდმივად მომქმედი სამალარიო სადგურები, რომლებიც შესდგება ამბულატორიებისა, ლაბორატორიებისა და კვალიფიციური მედმუშაკთა სათანადო შტატისაგან.

მალარიასთან მებრძოლი დაწესებულებათა უშუალო დაინტერესება მალარიის მოსპობით, მათ მიერ უფასო საექიმო დახმარება, მოსახლეობისათვის ქინაქინისა და მედიკამენტების უფასოდ მიწოდება ბუნებრივად ჰქმნის მათი მუშაობისათვის სავსებით ხელშემწყობ პირობებს, რომელთა წესიერად გამოყენებასაც შეუძლია შესამჩნევად წასწიოს წინ მალარიასთან ბრძოლის საქმე.

მძიმედ დაავადებული მაზრების დაუძლურებული და დასნეულებული მოსახლეობა არ შეიძლება ორგანიულად არ დაუკავშირდეს იმ დაწესებულებას, რომელიც სპეციალურად დარაჯად უდგას მის ჯანმრთელობას.

თუ სამალარიო სადგურის ხელმძღვანელნი სათანადო ანგარიშს გაუწევენ ამ გარემოებას და მის რაციონალურად გამოყენებას მოახერხებენ, ისინი მალარიასთან ბრძოლის საკითხებში გამარტოვებულნი არ დარჩებიან. მათთან ერთად მალარიასთან საბრძოლველად ამოძრავდება მშრომელთა ფართო ტალღა და საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტივი, რის მეოხებითაც სადგურებს საშუალება მიეცემათ უფრო გააფართოვონ მალარიასთან ბრძოლა თავის რაიონებში.

თავის მიმდინარე სავეგმო საქმიანობაში სამალარიო სადგურებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ ყველას მიერ ცნობილი თანამედროვე დისპანსერული მეთოდები. დისპანსერების მეთვალყურეობის ქვეშ მათ უნდა აიყვანონ მოსახლეობის ცალკე ჯგუფები, პატარა რაიონები, უბნები, სკოლები, რისთვისაც საჭიროა შეადგინონ რეალური, შესასრულებელი გეგმები, მხოლოდ იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნეს ყველა ადგილობრივი თავისებურებანი.

მოხერხებული გამოყენება ბავშვებისა, განსაკუთრებით მოწაფეებისა, კოღოებთან ბრძოლაში ხშირად, დიდებით შედეგებს მოგვცემს. ჩაბმა მუშაობაში მოზარდებისა, განსაკუთრებით კომკავშირელთა ორგანიზაციისა, სადგურებს შესაძლებლობას მისცემს გაატარონ მთელი რიგი გამაჯანსაღებელი პროფილაქტიური ღონისძიებანი სოფლად. მუშაობის ასეთი მეთოდებით სამალარიო სადგურები შესძლებენ მოსახლეობის გაჯანსაღების საქმის ფართოდ განვითარებას და საშიშროების შემცირების დროსაც კი საკმაო შედეგებს მიაღწევენ.

თავის ყოველდღიურ მუშაობაში სამალარიო სადგურები უნდა ხელმძღვანელობდნენ მეცნიერულ-ორგანიზაციული ცენტრის მითითებით. ხოლო ამ ცენტრმა უნდა დაიჩქაროს სანიტარულ-სამალარიო კანონმდებლობის პროექტის შედგენა, შეუწყოს ხელი სამალარიო ფონდის შექმნას, მალარიასთან მებრძოლ დაწესებულებათათვის საკმაო თანხის გამონახვას, მათ შეუფერხებელ მომარაგებას ყველა საჭირო მასალებით და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. გამოქვეყნებულ დადგენილების ზუსტ შესრულებას მალარიასთან ბრძოლის შესახებ.

სახმედვაჭრობამ, რომელიც გასულ წელს ქინაქინის მიღების საქმეში კრიტიკულ მდგომარეობას განიცდიდა, მომავალ სამალარიო სეზონში უნდა იქონიოს ქინაქინი, საკმაო რაოდენობა, რათა დაუბრკოლებლივ მოამარაგოს სამალარიო დაწესებულებები.

უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს ტროპიკული ინსტიტუტის სპეციალური მეცნიერული ხელმძღვანელობის საკითხებს.

1927 წელში შემდგარმა საქართველოს სამალარიო კონფერენციამ აღნიშნა, რომ სადგურების მუშაობა მოკლებულია სათანადო სპეციალურ მეცნიერულ ხელმძღვანელობას ტროპიკული ინსტიტუტის მხრივ. მალარიასთან ბრძოლაში გამობრძმედილი მუშაკები პერიფერიისა მოითხოვდნენ ინსტიტუტის მეცნიერულ საქმიანობის გაცხოველებას. მათ მიერ წარმოდგენილ მასალებიდან ცხადათ ჩანდა, რომ მიმდინარე მეცნიერულ-პრაქტიკულ მუშაობაში ცალკე სამალარიო სადგურებმა მეტად გაუსწრეს წინ თავის ხელმძღვანელ ცენტრს, რომელიც სადგურების მიერ შესრულებულ მუშაობას არც კი იცნობდა. ასეთი მდგომარეობის დატოვება ყოვლად შეუძლებელია. ინსტიტუტი ისეთ ფარგლებში და პირობებში უნდა იქმნეს ჩაყენებული, რომლებშიც მას შეეძლება მუშაობა ისე, როგორც მუშაობენ ყველა მეცნიერულ-კვლევითი საბჭოთა დაწესებულებანი, და პერიფერიის სამალარიო დაწესებულებათა მთელი ყურადღება თავის მუშაობისაკენ უნდა მიიზიდოს.

სტატისტიკური ცნობები მალარიით დაავადებისა საქართველოში 1922 წლიდან 1927-დე შემდეგია: 1922 წ.—155,5 1.000 მცხოვრებზე, 1923 წ.—135,6, 1924 წ.—71,4, 1925 წ.—69,0 და 1926 წ.—92,8

ამნაირად მალარიის წინააღმდეგ მთელი ბრძოლის შედეგი ჩვენ გვაქვს მალარიით დაავადების მრუდის ცოტაოდენი დაწევა.

მაგრამ ჩვენი სტატისტიკური მასალებისა და სხვა კლასიკური მალარიანი ქვეყნების ცნობების შედარებითი ანალიზი ადასტურებს იმ სამწუხარო გარემოებას, რომ მალარიით დაავადების მხრივ საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს, რის გამო მალარიასთან ბრძოლა მოითხოვს დაუშრეტელ ყურადღებას, ენერგიისა და ძალების დაძაბვას, როგორც მალარიასთან მებრძოლ მუშაკთა, ისე ჯანმრთელობის ყველა იმ ორგანოებისა, უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მხრივ, რომელთაც მალარიასთან ბრძოლის საქმესთან პირდაპირი ან არა პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ.

**ექ. ლ. ნაზარეტიანი.**

# საბჭოთა საქართველო

## წერილები

### თელავის სამალარიო სადგური

(წერილი თელავიდან)

მალარია დიდ უბედურებას წარმოადგენს კახეთის ზოგიერთი რაიონებისათვის, უმეტესად ალაზნის გაღმა მხარისათვის. ამ მხარეში არის ისეთი სოფლები, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დაავადებულია მალარიით და არამც თუ ადამიანები, არამედ შინაური საქონელი და ფრინველებიც ხდებიან ავად ამ სენის წყალობით.

თუ რამდენად ანადგურებდა წინედ ციებ-ცხელება მოსახლეობას, ამას გვიდასტურებს ზოგიერთი სოფლების მაგალითები, რომელნიც მთლიანად ამოწყდნენ, ან იძულებული გახდნენ გადასახლებულიყვნენ სხვა, უფრო ჯანსაღ ადგილას. ასეთია ბახტრიონი, ხაჩიანი, შაქრიანი, ტურის-ციხე და რამოდენიმე სხვა სოფელი პანკისის ხეობაში. არის ისეთი სოფლებიც, საიდანაც ზაფხულობით მეტი ხალხი აყრება და მიდის მთაში საგარაკოდ.

მალარიან ადგილებში განსაკუთრებით ბევრი იხოცება ნორჩი ახალგაზრდა, ამ მხრივ საინტერესო ცნობებს იძლევა თელავის სამალარიო სადგური, რომლის მუშაობა ჩვენ გვსურს გავუზიაროთ მკითხველს.

თელავის სამალარიო სადგური დაარსდა 1924 წელს სოფ. ყვარელში, როგორც სამალარიო რაიონის ცენტრში. მისი მიზანი იყო სამალარიო, პროფილაქტიკურ, სანიტარულ-განმანათლებელ და გამოკვლევითი მუშაობის წარმოება კახეთის ფარგლებში. რომ მუშაობა უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო, რომ სადგურს მართლაც ქონებოდა სამაზრო ხასიათი, 1927 წელში ის გადმოტანილ იქმნა ქ. თელავში, მოთავსებული შესაფერ შენობაში და გაფართოებული ხელსაწყოს მხრივ.

სადგურს ყოველ დღე ბლომად ახვევია ხალხი. სადგურის ამბულატორიაში ყოველ დღე გაივლის რამოდენიმე ათეული ავადმყოფი. ასე მაგალითად 1924 წელში გასინჯული იყო და დახმარება აღმოეჩინა 2.916 კაცს, 1925 წელში—8.737; 1926 წელში—7.851-ს და 1927 წელში 5.939-ს ე. ი. სადგურის დაარსების დღიდან დახმარება აღმოუჩენია 25.343 ავადმყოფისათვის. აქედან პირველად იყო 10.313 და განმეორებით 15.130 კაცი.

უფასოდ არის დარიგებული ხსენებული ოთხი წლის განმავლობაში 69.062 გრამი ქინაქინა, ე. ი. წელიწადში საშუალოდ რიგდება 16.000 გრ. მეტი. კანს ქვეშ ინიექციის დროს 1924—27 წელში დახარჯულია 8.330 გრ. სადგურთან არსებობს ლაბორატორია, რომელიც აწარმოებს სისხლის გამოკვლევებს. გასინჯული ყოფილა ოთხი წლის განმავლობაში 10.599 ავადმყოფის სისხლი.

სადგური აწარმოებს გამოკვლევით მუშაობას. მედიკო ტოპოგრაფიული და ენტომოლოგიური გამოკვლევები ჩატარდა ყვარლის, ენისელის, ახალგავაზის და ძველი გავაზის რაიონებში. გამოკვლეული იქნა მოწაფეობა მალარიით დაავადების მხრივ 21 დასახლებულ ადგილებში, სულ 1697 კაცის რაოდენობით. ამათში ელენთის ინდექსი მერყეობდა 20-დან 100 პროც.

გამოკვლეულ იქნა მოსახლეობის მოძრაობის მხრივ 42 სოფელი კომლობრივ ჩამოვლით და დაკითხვით.

სამალარიო სადგური ამჟამად აწარმოებს გამოკვლევით მუშაობას პანკისის ხეობაში.

გლეხკაცობა, რომელიც—სარგებლობს სადგურის დახმარებით, დიდად კმაყოფილია სადგურის მუშაობით, რასაც აწერს საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულ მზრუნველობას.

მართლაც დიდ საქმეს აკეთებს თელავის სამალარიო სადგური და საჭიროა მისთვის ყოველ მხრივ ხელის შეწყობა.

**ალაზნელი.**

### მოსაგვარებელი საქმე

სორის თემი, რაჭის მაზრა

ხსენებული თემის სოფელ ფარხატში მცხოვრებ 32 კომლ გლეხობას ნიაღვრები ყოველ წლიურად დიდ ზარალს აყენებს. უფუჭდებათ ვენახები, ნათესები, ბაღ-ბოსტნები და სხვა. ხშირად შემთხვევაა, როდესაც რომელიმე გლეხის სახლკარს წალეკავს ნიაღვარი და ისედაც ღარიბ გლეხს სრულიად უბინაოდ სტოვებს.

ნუ თუ არ შეიძლება ამ უბედურების თავიდან აცილება? რა თქმა უნდა შესაძლებელია, რომ ამას თემაღმასკომი ყურადღებას აქცევდეს. საქმე შემდეგშია: ხსენებული სოფელი დაყოფილია უბნებად. მეოთხე უბნის მცხოვრებლებმა, რომლებიც მაღლობზე მოსახლეობენ, ცუდი ამინდების დროს ნიაღვარის თავიდან ასაცილებლად გათხარეს არხი მესამე უბნის მიმართულებით. როდესაც წვიმებია, არხში წყალი ჩამოდის სამი კილომეტრის მანძილიდან თავდაღმართზე, ამიტომ ნიაღვარი ძლიერი და გამანადგურებელი ხდება სწორედ მესამე უბნის გლეხობისათვის.

1925 წელში ჩამოსული იყო ტეხნიკი გზების გასაყვანად, მან დაპირდა სოფლელებს არხის ამოვავსებით, მაგრამ ეს დაპირება დაპირებად დარჩა. არც ადგილობრივ თემაღმასკომს არ მოუქცევია ამისათვის არავითარი ყურადღება და ამის გამო ზემოხსენებული გლეხები უკიდურეს მდგომარეობაში არიან. თუ ასე გაგრძელდა, გლეხობის ნაწილი უნდა გადასახლდეს ამ ადგილებიდან.

საჭიროა ამ გარემოებას დროზე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

**ქიტესა ოსიშვილი.**

### კულაკი კოოპერატივის ხელმძღვანელად

ბორის თემი, ქუთაისის მაზრა

ს. ზენდრის „ეპოს“ გამგეობის თავმჯდომარეთ დაახლოვებით ოთხი წელია ითვლება ივანე ერისთავი. 1925 წელს ის მოხსნილი იქნა თანამდებობიდან და მის მაგიერ აირჩიეს ამხ. ლ. კაკაბაძე, მაგრამ კულაკმა ერისთავმა იმდენი აგიტაცია-პროპაგანდა გასწია თავის გავლენის ქვეშ მყოფ გლეხებში, რომ მომხმარებლები ჩამოაცილა „ეპოს“. ამრიგად მან ხელახლა მოახერხა თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოსკუპება. აღსანიშნავია ისიც, რომ ერისთავი ყოფილი თავადიშვილი და მამასახლისის მწერალი იყო და ნოქრადაც მონახა მისი გულშემატკივარი ნამამასახლისევი გიორგი გაშაყმაძე, შეკრეს თუ არა ბლოკი მათ საიდუმლოებას ეშმაკიც ვერ ხვდება. დღეს ერისთავმა მისი გავლენის ქვეშ მოიქცია ღარიბი გლეხების ერთი ნაწილი. ის აწარმოებს ფართე აღმშენებლობას, მაგრამ არა კოოპერატივის სასარგებლოდ, არამედ თავის სახლში. მართალია ერისთავის ცოლ-შვილი ქუთაისში სცხოვრობს განცხრომით, მაგრამ გლეხები და გლეხ-ქალები ყოველდღიურად დასტრიალებენ ერისთავის ოჯახს, მის ოჯახში ყოველ დღე მუშაობს 15—20 გლეხი, აშენებს ახალ სახლს, რომელიც უჯდება 8.000 მან., ისხვლება ვენახები, აბრუნებენ სავენახე მიწას, იხვნება სახნავი ადგილები და იღობება ღობეები.

ამრიგად დაიბრუნა ერისთავმა ძველი, თავადიშვილური ცხოვრება ახალ ფორმებში.

საჭიროა დროზე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას და კულაკი ჩამოეცალოთ კოოპერატივის გამგეობას.

**სინამდვილე.**

—:—

### ტყეების მდგომარეობა ჩვენში

(წერილი ბორჩალოდან)

ბორჩალოს მაზრის უმეტესი ნაწილი ტყეებს უჭირავს, მაგრამ ტყეების სივრცე ყოველწლივ მცირდება. ამიტომ ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით დგება საკითხი ტყის მოვლა-შენახვის შესახებ.

ადგილობრივი გლეხობა არა თუ ხელს უწყობს ტყის ხელოვნურად გაშენებას, არამედ ბუნებრივ ტყეებსაც უდიერად ეპყრობა და უთავბოლოდ სჩეხს.

გასულ წელს მთავრობის დადგენილებით ტყის დაცვის წესების დარღვევაზე შემდგარი საქმეები განსახილველად გადაეცა ადგილობრივ თემაღმასკომებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სათანადო ორგანოების მიერ გამოცემულ ინსტრუქციებით. თემსასამართლოს ცნობებიდან ჩანს, რომ ბორჩალოს მაზრაში ტყის დაცვის წესების დამრღვევნი—85 პროცენტი სოფლის ბობოლა-კულაკებია, 15 პროცენტი—კი ღარიბი და საშუალო გლეხობა.

თავისთავად ცხადია, რომ ტყეს ავნებს ბობოლა გლეხი, რომელსაც უფრო მეტი ძალა შესწევს ტყის განადგურების, რაც შეეხება ღარიბ გლეხობას, ის ტყით სარგებლობაში ყოველმხრივ შეღავათებს ღებულობს ხელისუფლებიდან და მასთან არც საკმაო მუშასაქონელი მოეპოვება ტყიდან მასალის გამოსატანად.

ხშირია შემთხვევა აგრეთვე ტყეებში ხანძრის გაჩენის, მით უმეტეს ზაფხულობით, ღამის მეხრეები და მგზავრები უთავბოლოდ უჩენენ ცეცხლს ტყეში დაგროვილ ხმელ მასალას, რითაც შემდეგ ჩნდება ხანძარი.

ბორჩალოს მაზრაში ტყის მოვლა-პატრონობის საქმეში სატყეო ორგანოებიც ძლიერ მოიკოჭლებდნენ. თვით ტყის მცველები და მისი თანამშრომლები ხელს უწყობდნენ ტყის განადგურებას, რაც სამაზრო ადმინისტრაციამ თავის დროზე შენიშნა და მოხსნა სამსახურიდან რამოდენიმე ტყის მცველი და თვით სამაზრო სატყეოს გამგეც.

ამ უკანასკნელ ხანებში ტყეების მოვლა-პატრონობის საქმე გაუმჯობესდა სატყეო ადმინისტრაციის შეცვლის და თემსასამართლოების აქტიური მუშაობით, რომლებიც ენერგიულ ბრძოლას აწარმოებენ ტყის გამჩეხავთა წინააღმდეგ.

**გ. ელენტი.**

—:—

## მუშკორთა წერილებიდან

### კარგი ხელმძღვანელობის შედეგი

გორას თემი, ქუთაისის მაზრა

გორას თემის ცენტრი იმყოფება სოფ. ზეინდარაზე. ეს სოფელი წარმოადგენდა მალარიას ბუდეს, ვინაიდან აქ იყო ჭაობიანი ჭალები. 1923 წელში თემაღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. კ. რუხაძე, რომელიც ენერგიულად შეუდგა მუშაობას. მისი ინიციატივით გაიყვანეს არხები, შეაკეთეს და გააფართოვეს გზები. ამჟამად ამხ. რუხაძეს გაჰყავს ტელეფონის ქსელი, რომლისათვისაც სდგამს საღამო - წარმოდგენებს და აგროვებს თანხებს ამ საქმის მოსაგვარებლად.

### ავადმყოფი მკითხავთან

თავასის თემი, შორაპნის მაზრა

თავასის თემში სცხოვრობს მკითხავი ელისაბედ მაჩიტიძისა, რომელსაც ჩამორჩენილი გლეხობა შეცდომაში შეჰყავს. ამას წინად გლეხმა აკაკი შეყრილაძემ ავადმყოფი ბავშვის გასასინჯათ მიიყვანა ექ. ილია ქორიშვილი. იქვე შემთხვევით მისულიყო ამ დროს მკითხავი ელისაბედიც, რომელმაც ექიმი უშვერი სიტყვებით გალანძღა და ექიმებს უწოდა მატყუარები. მკითხავი ურჩევს ჩამორჩენილ გლეხობას მიმართონ ექიმბაშებს. საჭიროა ასეთი მატყუარების აღკვეთა.

**პ. ცინაძე.**

# 32000 მან. ეკონომია თითო თვეში

(აჭარისწყალის ელსადგურის მშენებლობის გამოკვლევა)

ამ წერილის მიზანს შეადგენს გააცნოს მკითხველი აჭარისწყალის ელსადგურის მშენებლობის ზოგიერთი მნიშვნელოვან მხარეებს და იმ ღონისძიებებს, რომელიც მიღებულია მშენებლობის გაიაფების და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების მიზნით ამ წარმოებაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ; უმრავლესობა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მიღებულია ამ ელსადგურის სამმართველოს რეორგანიზაციის და ადმ. სამ. ხარჯების შემცირების გამო, შესაძლებელი იყო უმტკივნეულოთ გატარებულიყო ორი წლის წინადაც და ამით თავიდან აგვეცილებინა ის ზედმეტი უნაყოფო ხარჯები, რომელიც გვქონდა აღნიშნულ მშენებლობაში.

იკითხავენ, სად იყვნენ და რას აკეთებდნენ სათანადო ორგანოები? ჯერ კიდევ 1926 წელს საქ. მ.-გ. ინსპექციამ მოახდინა გამოკვლევა. ამ გამოკვლევის დროს გამოტანილ იქნა შესაფერი პრაქტიკული ღონისძიებანი. უმრავლესობა ამ ღონისძიებებისა არ იქნა გატარებული ცხოვრებაში, ვინაიდან ამას წინააღუდგენ თბილისში, მომუშავე ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგები.

როგორი პრაქტიკული ღონისძიებები მიიღო მთავრობის დავალებით გამოყოფილ კომისიამ აჭარისწყალის ელსადგურის სამუშაოთა გასაიაფებლად და გასამარტივებლად? არსებულ ადმინისტრატიული ტექნიკური აპარატი სამმართველოში შემცირებულ იქნა 240 ერთეულიდან 143 ერთეულამდე. შტატების შემცირება ყოველთვიურად მოგვცემს 12 000 მანეთ ეკონომიას.

სამეურნეო ხარჯების შემცირების მიზნით კომისიამ საჭიროდ სცნო: ა) გადატანილ იქნას ელექტრო-მექანიკური სახელოსნო ბათუმიდან მახუნცეთში (სადგურის მშენებლობის ადგილი) და განისაზღვროს მისი მუშაობა, სადგურის საჭიროების ფარგლებში. სახელოსნოს მუშაობის განსაზღვრის გამო მცირდება შტატი 36 კაციდან 16 კაცამდე.

ბათუმში სამმართველოს გარაჟთან არსებული სამანქანო სახელოსნო გადატანილ უნდა იქნა მახუნცეთში.

რაც შეეხება სამმართველოს გადატანას ბათუმიდან მახუნცეთში, კომისია ღებულობს მხედველობაში შემდეგ გარემოებას:

მუდმივი კავშირის აუცილებლობა ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებებთან.

სალაროს დაცვის სიძნელე და დიდი თანხების მახუნცეთში გადაგზავნის სიძნელე და სხვა.

ამიტომ კომისია შესაძლებლად სცნობს საერთო განყოფილება, მთავარი ბუხჰალტერია და სამმართველოს საპროექტო განყოფილება დატოვებულ იქნას ბათუმში, ყველა დანარჩენი განყოფილებები კი გადატანილ იქნას მახუნცეთში.

რაც შეეხება სამეურნეო ხარჯების შემცირებას, ამ მიზნით ელექტ.-მექანიკ. სახელოსნოს რეორგანიზაცია და მისი მახუნცეთში გადატანა მოგვცემს თვეურად 20.000 მანეთის ეკონომიას. ამრიგად შტატისა და სამეურნეო ხარჯების შემცირების შემდეგ ყოველთვიურად მივიღებთ 32.000 მანეთის ეკონომიას.

**ა. კობაჭიძე.**

# კერძო ვაჭრების ოინები

კერძო ვაჭრები, გარდა იმისა, რომ აწარმოებენ სახელმწიფო ორგანიზაციებიდან და კოოპერატივებიდან საქონლის გამოტანას, რომელსაც შემდეგ ყიდიან გადიდებულ ფასებში, სხვადასხვა მახინაციებით ცდილობენ მყიდველებს თავიანთი სავაჭროები მოაჩვენონ კოოპერატიულ სავაჭროებად. ამ მიზნით ზოგიერთ მათგანს სავაჭროებში მოწყობილი აქვს სალაროები კოოპერატივების მსგავსად და საქონლის გაცემასაც აწარმოებენ ჩეკებით.

გარდა ამისა, რომ მათ სავაჭროებს გარეგნულადაც კოოპერატიული დუქნების შეხედულება ჰქონდეს კერძო ვაჭრებმა აბრებზე მოხსნეს თავიანთი გვარები და სამაგიეროთ წააწერეს კოოპერატიული სავაჭროების მსგავსი სახელწოდებანი, როგორიცაა „კრასნი ტორგ“, „მოსკვა“, „დუქანი № 7, „წითელი ვაჭარი“ და სხვ.

კერძო ვაჭრები ასეთ საშუალებებით განსაკუთრებით უტყუებენ თვალს სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს და ისეთს საქონელს, რომელიც კოოპერატივებში ღირს მაგალითად 40 კაპ., ყიდიან 90—95 კაპ.; მყიდველს რომ ეჭვი არ დაებადოს და არ ეჭვიროს საქონელი, მათ მაღაზიებში თვალსაჩინო ადგილებზე გაკრულია პლაკატი „ფასები შეუვაჭრებლად“.

კერძო სავაჭროების გასარჩევად კოოპერატიულ სავაჭროებიდან თბილისის ალმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით კერძო ვაჭრებს ეკრძალება იქონიონ კოოპერატიული სავაჭროების ოპერატიულ ორგანიზაციას თავიანთ სავაჭროებზე აქვთ სათანადო ფერის წარწერები, კერძო სავაჭროების აბრებიც უნდა განსხვავდებოდეს ფერით კოოპერატიულ სავაჭროების აბრებზე გაკეთებულ წარწერების ფერიდან.

კერძო სავაჭროების აბრებზე პირველ რიგში სახელმწიფო ენაზე წარწერილი უნდა იყოს სავაჭროს პატრონის გვარი, შემდეგ სავაჭროს დამახასიათებელი წარწერა მომცრო ასოებით.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად თბილისის ალმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება დღეიდან შეუდგება შესაფერი ზომების მიღებას.

ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება აგრეთვე განაგრძობს კერძო სავაჭროების გამოსაკვლევად იმ ვაჭრების პასუხისგებაში მისაცემად, რომლებსაც სხვადასხვა მახინაციებით კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებიდან სპეკულაციის მიზნით გამოაქვთ საქონელი.

# სრ. საქ. ფიზკულტურის დღესასწაული

## პირველობის გათამაშება ფეხბურთში

ინტერესი ფიზკულტურის დღესასწაულისადმი თანდათან იზრდება ფართო მასებს შორის. შეჯიბრებს დიდძალი ხალხი ესწრება. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ფეხბურთის აუდიტორია. ეს გასაგებიცაა, რადგან სპორტიული თვალსაზრისით ფეხბურთი ყველაზე უფრო მიმზიდველი თამაშობაა.

პირველობის გათამაშება ფეხბურთში სწარმოებს ხუთ ქალაქს შორის: თბილისი, ბათომი, ფოთი, სოხუმი, და გორი. ეხლავე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი „ბრძოლა“ გაიმართება თბილისის და ბათომის გუნდებს შორის. ორივე ეს ქალაქი დღესასწაულზე წარმოდგენილია საზოგადოება „დინამო“-ს გუნდებით.

დანარჩენი ქალაქებიდან გორი, როგორც მოსალოდნელი იყო, სუსტი აღმოჩნდა (გორის გუნდმა შარშან საქართველოს პირველობა აიღო მეორე კატეგორიის გუნდებში და მოსალოდნელია, რომ ყველა შეჯიბრები მისი დამარცხებით დამთავრდება, რაც მას უკანასკნელ ადგილზე აყენებს დღესასწაულზე წარმოდგენილ გუნდებს შორის.

სოხუმსა და ფოთს, როგორც გასულ შეჯიბრებიდან გამოირკვა, „ბრძოლა“ მოუხდებათ, ალბად, მესამე და მეოთხე ადგილისათვის. პირველი და მეორე ადგილი შეიძლება ეხლავე განაწილებული იქნეს თბილისსა და ბათომს შორის.

მთავარ ინტერესს წარმოადგენს აღნიშნული ქალაქების გუნდების შეხვედრა, რომელიც 8 ივნისს არის დანიშნული. შეიძლება ითქვას, რომ გუნდები თანაბარ ძალას წარმოადგენენ. შეჯიბრის ბედს გადასწყვეტს ის, თუ ვინ გამოიჩენს თამაშის უკეთეს კლასს და მეტ გამძლეობას. აღსანიშნავია, რომ 1922 წლიდან საქართველოს პირველობა მხოლოდ ერთხელ აიღო თბილისმა (1926 წელში); დანარჩენ წლებში პირველობა ბათომს რჩებოდა.

გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს ამიერ-კავკასიის პირველობის გათამაშებაში, რომელიც დაიწყება თბილისში 23 ივნისს.

**შ.**

## მოტო-გადარბენა

### თბილისი—ფასანაური—თბილისი

სრულიად საქართველოს ფიზკულტურის პირველი დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტის თაოსნობით დღეს, 6 ივნისს, ეწყობა მოტო-შეჯიბრი საქართველოს 1928 წლის პირველობაზე. მოტო-გადარბენა ეწყობა მარშრუტით თბილისი-ფასანაური-თბილისი, დისტანცია 188 კილომეტრი.

სტარტი გაიმართება დღეს დილის სრულ 9 საათზე სასახლესთან; დღესვე ნაშუადღევის 2 საათისათვის იქვე გაიმართება ფინიში. ფასანაურში გადარბენის მონაწილენი დაისვენებენ ნახევარი საათით და შეავსებენ საწვავი მასალის მარაგს.

გადარბენის ხელმძღვანელობა ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მიერ დავალებული აქვს საბჭოს სექციას—თბილისის მოტო-ველო საზოგადოებას.

გადარბენაში მონაწილეობას მიიღებენ მოტო-ველო საზოგადოება, საზ-ბა „დინამო“, ბათომის მოტო-კლუბი და ავტო-კლუბის მოტო-სექცია.

თვითეულ ორგანიზაციას დათმობილი აქვს 3 ადგილი თვითეული კატეგორიისათვის. სულ გადარბენაში მონაწილეობას მიიღებს 18 მანქანა.

სოხუმის კალათბურთის გუნდი

## დღესასწაულის ქრონიკა

### ქართული ჭიდაობა

კვირას დაიწყო შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრი სწარმოებს ცირკში. შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მუშები და გლეხები. საქართველოს 14 მაზრიდან მონაწილეობას იღებს 65 კაცი.

შეჯიბრის შედეგები ასეთია:

ადიკაშვილმა (რკინის გზა) ნახევარ წუთში დაამარცხა მრევლიშვილი; ჩერქეზიშვილმა (რკ. გზა) 2 წუთში დაამარცხა დათუნაშვილი; ქარუმიძემ (რკ. გზ.) 2 წუთში დაამარცხა ატოიანცი; ზარდიაშვილმა (სიღნაღის მაზრა) ნახევრათ დაამარცხა სტეფანიშვილი (რკ. გზა); წაქაშვილმა (სიღნ. მაზრა) 4 წუთში დაამარცხა ბადრიძე (რკ. გზა).

ფეიქრიშვილმა (სიღნ. მაზრა) ნახევრათ დაამარცხა კაპანაძე (გორი); კვიმსაძემ 4 წუთში დაამარცხა ადეიშვილი; ელიკაშვილმა 2 წუთში დაამარცხა ავალიშვილი; რჩეულიშვილს (რკ. გზა) უნდა ეჭიდავნა ციგნაძესთან, მაგრამ ციგნაძე არ გამოცხადდა; რის გამოც გამარჯვებულად ჩაითვალა რჩეულიშვილი.

კობიძემ (რკ. გზა) 2 ნახ. წუთში დაამარცხა ასლამაზოვი; სირაძემ (ფოთი) ნახევრათ დაამარცხა ბერელაშვილი (პროფსაბჭო); გეჯაძემ (რკ. გზა) 2 წუთში დაამარცხა რატიანი; ბოხუამ (სენაკი) 2 წუთში დაამარცხა ფარისაშვილი (თელავი); გაგნიძემ 2 ნახ. წუთში დაამარცხა მაჭავარიანი; პანტურიძემ (სიღ. მაზრა) 4 წუთსა და 50 წამში დაამარცხა თავაძე (ოზურგეთი).

მარგველაშვილმა (რკ. გზა) დაამარცხა გოგბერაშვილი (შორაპ. მაზრა) და თოთაძემ (რკ. გზა) დაამარცხა ოდიაშვილი.

### ცილობა კალათბურთში

გუშინ, ლენინის სტადიონზე ჩატარდა ცილობა კალათბურთში. ქუთაისი ეთამაშა ფოთს, თამაში დამთავრდა 56:7 ქუთაისის სასარგებლოდ.

შემდეგ თბილისი ეთამაშა ბათომის გუნდს. თამაში დამთავრდა 19:12 თბილისელების სასარგებლოდ.

ამავე დღეს სოხუმის კალათბურთის გუნდი ეთამაშა ბათომს, თამაში დამთავრდა 12:19 ბათომის სასარგებლოდ. თბილისი თამაშობდა ფოთთან, თამაში დამთავრდა 35:10 თბილისის სასარგებლოდ.

### ტანვარჯიშული შეჯიბრი

გუშინ, დაიწყო იარაღებზე ტანვარჯიშული შეჯიბრი მაღალ თანრიგში. ცილობაში მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის საუკეთესო მოვარჯიშენი. ჯერ-ჯერობით პირველ ადგილზე მიდის ა. მეიფარიანი. მეორე ადგილზე—გ. რცხილაძე, ხოლო თანაბრად მიდიან ყანჩაველი და კორისუნსკი.

### კრივი

დღეიდან რვა ივნისამდე ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში ჩატარდება ცილობა კრივში. ცილობაში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოკრივე ტანგეიზი, რომელმაც რ.ს.ფ.ს.რ.—1928 წლის პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილი აიღო. თამაში დაიწყება დღის 12 საათზე.

### საღამო ფიზკულტუროსნებისათვის

დღეს, 6 ივნისს საღამოს 8 ნახ. საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების თაოსნობით გაიმართება დიდი საღამო სრულიად საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულში მონაწილე ფიზკულტუროსნებისათვის.

# ჩაის კულტურა აფხაზეთში

ჩაის კულტურის განვითარების საქმე აფხაზეთში თავის თავზე აიღო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაიმ“; ამ მიზნით საზოგადოება აფხაზეთისაკენ აფართოვებს დასავლეთ საქართველოში მდებარე პლანტაციებს.

ჩაის ბუჩქების დარგვის პირველი ცდები ჩატარებული იქნა 1926 წელს გალის მაზრაში 5—6 დესეტინის სივრცეზე. ამ ცდების წარმატებამ შემდეგ წლებში გამოიწვია პლანტაციების გაფართოება 26 დესეტინამდე. მიმდინარე წლის გაზაფხულზე კი ჩაის კულტურა გალის და კოდორის მაზრებში გავრცელებული იყო უკვე 265 დესეტინაზე.

საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს პერსპექტიული გეგმის მიხედვით ჩაის პლანტაციების სივრცე ხუთი წლის განმავლობაში აფხაზეთში გაფართოებული იქნება 2.000 დესეტინამდე.

გლეხების ჩაის მეურნეობით დაინტერესების მიზნით საზოგადოება თვითეულ ჰექტარ ახლად გაშენებულ პლანტაციაზე სუბსიდიას იძლევა 370 მან. რაოდენობით.

მოსახლეობისათვის საჭირო ცნობების მისაწოდებლად საზოგადოებას ადგილებზე ჰყავს თავისი ინსტრუქტორები; საზოგადოების მუშაობას ყოველმხრივ ხელს უწყობს აფხაზეთის მიწადმოქმედების კომისარიატის აგრონომიული ქსელი, რომლის დახმარება გამოიხატება პლანტაციებისათვის ადგილის ამორჩევაში და კოლექტიურ მეურნეობათა გაერთიანებების მოწყობაში.

5 ივნისს ზუგდიდის საცდელ სადგურზე გაიხსნა ჩაის საქმის ინსტრუქტორების მოსამზადებელი კურსები, რომელზედაც აფხაზეთს დათმობილი აქვს 2 ადგილი.

# სასამართლო

### „კაზინო“-დან გამომძიებელთან

„ზაკტპო“-ს სავაჭრო ფარდულის გამგეს მოქ. კონსტანტინე ივანესძე აბულაძეს, როგორც კი დაუგროვდებოდა ნავაჭრი ფული, იმ წამსვე „კაზინო“ გაახსენდებოდა.

— ჯერ რა მაჩქარებს! მოვასწრებ ნავაჭრის შეტანას სალაროში. ერთხელ მეც ვცადო ბედს კაზინოში! ამბობენ, ერთხელ თუ გაგიმართლა, მეტი არ გინდა, სამუდამოდ ამოხვალ სიღარიბიდანო!

აბულაძემ შეხვია საგულდაგულოდ ერთი დღის ნავაჭრი—300 მანეთი და კაზინოსაკენ აიღო მიმართულება.

კაზინომ, რასაკვირველია, თვალის დახამხამებაში შთანთქა 300 მანეთი. კონსტანტინეს ხურდაც არ ერგო. ჯიბე დაცალიერებული გამოვიდა გარეთ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად.

— არა უშავს! ხვალ ამოვიგებ!—დაიიმედა თავი აბულაძემ.

კიდევ შეუყარა თავი ნავაჭრს და კიდევ სცადა ბედი, მაგრამ ამაოდ. მართალია, კარგი სიზმარი ჰქონდა აბულაძეს წინა ღამით, მაგრამ ვიღაცამ „დაბნავსა“. წააგო კიდევ.

ცენტრალურ სალაროდან ფარდულის გამგეს სთხოვენ ანგარიშის გასწორებას. აბულაძე კი სანამ არ ამოიგებს ფულს, არ ეშვება კაზინოს!

— ეჰ! აღარ ყოფილა საშველი!—სთქვა აბულაძემ, როცა უკანასკნელი 71 მანეთი კიდევ „ჩაბარა“ კაზინოში და გამოვიდა გასუფთავებული.

მეორე დღეს აბულაძე თავისი ფეხით მივიდა გამომძიებელ ქორქაშვილთან და „გულახდილად“ განუცხადა შემდეგი:

— თქვენს წინაშე სდგას „ზაკტპო“-ს № 47 ფარდულის გამგე, რომელმაც გაფლანგა 500 მანეთი. კეთილ ინებეთ და მიიღეთ სათანადო ზომები!

რასაკვირველია, გამომძიებელს მოეწონა ასეთი გულახდილობა, მაგრამ 500 მანეთის გაფლანგვისათვის შუბლზე ხომ არ აკოცებდა! დაპატიმრებული გადაგზავნა იქ, სადაც გამფლანგველნი „განისვენებენ“.

დაიწყო საქმის გამოძიება. არ დაინდვენ აბულაძის გულწრფელობას. და არც შემცდარან, რომ არ დაინდვეს.

აბულაძეს გაფლანგული აღმოაჩნდა გაცილებით მეტი, ვინემ თვითონ განაცხადა. 1237 მანეთი „შემოხარჯვია“, ზოგი ფულად, ზოგი საქონლის სახით.

აბულაძეს გაასამართლებს თბილისის სამაზრო სასამართლო.

### თავისთავი მოიმარაგა

1927 წ. ნოემბრიდან ამა წლის თებერვლამდე თბილისის ალმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებაში მსახურობდა გრიგოლ რაფიელისძე ცინცაძე. მის თანამდებობას ეწოდებოდა მომარაგების აგენტი.

ახალი ლუდის ქარხნის აგება დაიწყო ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ. ცინცაძე მივლინებულ იქნა ამ სამუშაოზე. მიეცა ანგარიშში ქვეშ თანხები საჭირო მასალების შესაძენად.

თებერვალში ცინცაძემ ინჟ. ქართველიშვილის მინდობილობით ალმასკომის სალაროდან გამოიტანა 2055 მანეთი. ამ თანხიდან 812 მანეთი ვერ გაიმეტა დასახარჯავად და, როგორც ერთმა მოწმემ აჩვენა სასამართლოში, გაახსენა პროცენტებში.

ბევრჯერ სთხოვეს ცინცაძეს ანგარიშის გასწორება, მაგრამ უკანასკნელი ფეხს ითრევდა და სხვადასხვა მიზეზებს ასახელებდა თავის გასამართლებლად.

ბოლოს ცინცაძე მოხსნეს სამსახურიდან. მოსთხოვეს 812 მანეთი.

— რა გინდათ, ხალხნო, ჩემგან! ეს ფული ხომ სახაზინო არ არის. ეს მე ინჟინერმა ქართველიშვილმა მომაბარა შესანახად! მასთან მაქვს საქმე.

შეეკითხენ ქართველიშვილს.

— ფული მქონოდა და ცინცაძეს მივაბარებდი შესანახად? მე ვერ შევინახავდი?—ლაპარაკობს ქართველიშვილი.

— კარგი ვსთქვათ, რომ ქართველიშვილმა მართლაც მოგაბარა ფული!—მიუბრუნდა გამომძიებელი ცინცაძეს. მერე რა უყავი? მიბარებული მგელმა შეინახა! სად არის ფული.

— ეს სხვა საქმეა! ქართველიშვილს შეუძლია სამოქალაქო წესით აღძრას სარჩელი! მე, მისი ფული დავხარჯე და არა სახაზინო!

ცინცაძეს უნდა როგორმე სისხლის სამართლის ბრალდება მოიცილოს თავიდან.

საქმე გაარჩია მე-4-ე უბნის სახალხო სასამართლომ.

გრიგოლ ცინცაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით. ცინცაძემ უნდა გადაუხადოს ალმასკომს გაფლანგული თანხა თავისი პროცენტებით.

**ზერ.**

# ქრონიკა

### ამხ. ა. ქავთარაძის გამგზავრება იაპონიაში

საქჩაი საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს თავმჯდომარე ამხ. ა. ქავთარაძე და საზოგადოების აგრონომი ხაფავა 4 ივნისს გაემგზავრენ იაპონიაში და ჩინეთში, სადაც გაეცნობიან ჩაის კულტურას და ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების საქმეს იაპონიის და ჩინეთის ჩაის ფაბრიკებში.

ამას გარდა, მათ საზოგადოების გამგეობის მიერ დავალებული აქვთ კავშირი დაამყარონ ჩაის თესლის ბაზრებთან იაპონიაში და ჩინეთში და შეისყიდონ თესლი საქართველოს ჩაის ახალი პლანტაციებისათვის.

### მისალმება გაზ. „კომუნისტს"

ჩვენი გაზეთის რედაქციამ ცხინვალიდან სამხრეთ-ოსეთის გლეხქალთა მეორე საოლქო კონფერენციის პრეზიდიუმისაგან მიიღო შემდეგი მისალმებელი დეპეშა:

სამხრეთ-ოსეთის გლეხქალთა მეორე საოლქო კონფერენცია თავის ძმურ სალამს უძღვნის „კომუნისტ"-ს. ილიჩის მითითების მიხედვით ჩვენ ავაშენებთ სოციალიზმს.

გაუმარჯოს სოციალისტურ მშენებლობას, გაუმარჯოს თვითკრიტიკას ამ მშენებლობის გზაზე.

### საკურორტო სეზონი

15 ივნისიდან, საკურორტო სამმართველოს ცნობით, საკურორტო სეზონი გაიხსნება ბორჯომში, წაღვერში, აბასთუმანში, პატარა ცემში და ბაკურიანში. 10 ივნისს სეზონი იხსნება არაზინდოში, ხოლო პირველ ივლისს სეზონი გაიხსნება შოვში და ბახმაროზე.

კურორტებზე სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმე მინდობილი აქვს კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც კურორტებს სავსებით უზრუნველყოფენ სანოვაგით.

### საჩივრის წიგნების შესწავლა

თბილისის აღმასკომის მომწესრიგებელი განყოფილება შეუდგა კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭროებში შემოღებულ საჩივრის წიგნების შესწავლას. როგორც აღნიშნული გვქონდა, საჩივრის წიგნებში მომხმარებლები აღნიშნავენ ნოქრების უდიერ მოპყრობას მათდამი, საქონლის გაცემის წესის დარღვევის შემთხვევებს და საერთოდ სავაჭროში მათ მიერ შენიშნულ დეფექტებს. საჩივრის წიგნების შესწავლის შემდეგ, ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება მიიღებს შესაფერ ზომებს სავაჭრო დაწესებულებებში შემჩნეულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

### წარმოებების და ტრესტების დირექტორების გადასამზადებელი კურსები

4 მაისს საღამოს ს.მ.უ.ს. შენობაში გაიხსნა ტრესტების დირექტორების, წარმოებათა მმართველებისა და მათი თანაშემწეების გადასამზადებელი კურსები.

კურსებზე მსმენელებათ მიღებული არიან მხოლოდ თბილისის წარმოებათა ხელმძღვანელები. კურსებზე მეცადინეობა დასრულდება თვენახევარში.

### სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, 1 მაისისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილია საქართველოში—2.136.259 მანეთი, აზერბეიჯანში—3.192.759 მან. და სომხეთში—1.046.430 მანეთი. მთელ ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილია 6.376.148 მანეთის რაოდენობით.

გეგმა შესრულებულია საქართველოში—97,55 პროცენტით, აზერბეიჯანში—96,74 პროცენტით და სომხეთში—98,21 პროცენტით. ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გეგმა შესრულებულია 97,25 პროცენტით.

### თბ. აღმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ხაზები.** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა შეადგინოს სპეციალური გეგმა ქალაქის ფარგლებში ტრამვაის ახალი ხაზების გასაყვანად. განზრახულია უახლოეს 5 წლის განმავლობაში, სადაც კი შესაძლებელია, გაყვანილი იქნეს ტრამვაის ახალი ხაზები.

◆ **გლეხთა კლუბები.** პოლიტგანათლების განყოფილებამ გადასწყვიტა მოზრდილ თემებში გახსნას გლეხთა საზაფხულო კლუბები.

◆ **საჩვენებელი მეფუტკრეობა.** სადგილმამულო განყოფილება მაზრაში აწყობს საჩვენებელ მეფუტკრეობას.

### კოოპერაცია

◆ **ყრილობა.** 7 ივნისს თბილისში გაიხსნება მუშკოოპის რწმუნებულთა მე-13 ყრილობა.

◆ **ახალი სასადილოები.** მუშკოოპის გამგეობამ გადასწყვიტა მუშათა რაიონებში გახსნას ახალი კოოპერატიული სასადილოები.

### სხვადასხვა

◆ **სახელმწიფო გამოცდები** სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ქიმიურ ფარმაცევტულ დარგზე დანიშნულია 7 ივნისიდან.

◆ **თბ. ინდუსტრიალურ ტექნიკუმის** 10 წლის იუბილე შესდგება კვირას, 17 ივნისს.

## რკინისგზაზე

### შ.მ.ო. რკინისგზებზე

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საგზაო ბიურომ ამიერ-კავკ. რკ. გზის სხვადასხვა უბნებზე მოაწყო საცდელ-საჩვენებელი მუშაობა შპალების ერთეულების შესაცვლელად. ცდების წარმოების დროს გამოყენებულ იქნა რკინის გზათა ცენტრალურ სამმართველოს მიერ შემუშავებული მეთოდები.

ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღო. ამჟამად ახალი მეთოდით სწარმოებს შპალების გამოცვლა მთელს ამიერ-კავკ. რკინის გზებზე.

### ორთქლმავლის გაფუჭება

გუშინ ლეჟეტ-ხუდატს შუა ორთქლმავალს № 3530 გაუსკდა სახურავი. ორთქლმავალი შესაკეთებლად გაიგზავნა. ადამიანის მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

### ზვავი

4 ივნისს ახალდაბა-ბორჯომის შუა ხაზზე ჩამოწვა მიწის ზვავი. 6 საათის მუშაობის შემდეგ მოძრაობა აღდგენილ იქნა. უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

### ევლახის ხიდი

ამიერ-კავკ. რკინის გზების სამმართველომ ევლახის ძველი რკინის გზის ხიდი საექსპლოატაციოთ გადასცა აზერბეიჯანის ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს. ხიდი გადაკეთებული იქნება ავტო-ტრანსპორტისათვის.

### შემთხვევათა ბიურო

ამიერ-კავკ. რკინის გზათა გამგეობის დადგენილებით, რკ. გზ. უბედურ შემთხვევებთან შებრძოლ საგზაო კომისიას ეწოდა შემთხვევათა ბიურო. დამტკიცებულია ბიუროს შტატი ოთხი მუშაკის შემადგენლობით: ბიუროს გამგე, უფროსი ტექნიკოსი, ტექნიკოსი და საქმეთა მმართველი.

### მემანქანეთა კონკურსი

ამიერ-კავკ. რკ. გზათა გამგეობის დადგენილებით ყოველწლიურად მოეწყობა მემანქანეთა კონკურსი საუკეთესო მემანქანის სახელწოდების მისაღებათ. მიმდინარე წელში საუკეთესო მემანქანეთა სახელწოდება მიღებული აქვს 44 მემანქანეს. მათ შორის 5 მიღებული აქვს ჯილდო 175 მანეთის რაოდენობით, 5—125 მანეთის რაოდენობით და 5—75 მანეთის რაოდენობით.

მომავალში კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ მემანქანეთა თანაშემწეებიც.

### საგზაო ყრილობა

ამიერ-კავკ. რკინისგზელთა საგზაო ყრილობის მოწვევა განზრახულია მიმ. წლის აგვისტოში.

## შემთხვევები

### დაჯახება

გუშინ, დღისით ტრამვაის ვაგონი (№ 128, მარშრუტი მე-16), რომელსაც მართავდა ვატმანი ილია ქოხონელიძე, პუშკინის ქუჩაზე დაეჯახა „ტაჩკას". „ტაჩკა" დაიმსხვრა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

### თავის დაჭრა

გუშინ, დილით, ჰაიკ მიკირტჩიანცმა (მცხოვრ. მოედნის შესახ., № 3), დანით მძიმედ დაიჭრა თავი. მიკირტჩიანცს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

### დაჭრა

გუშინწინ, ღამით, გიორგი შუბლაძემ (მცხ. კომუნალური ქ., 99), რევოლვერის ტყვიით სასიკვდილოთ დასჭრა მარიამ არველაშვილი (მცხ. შრომის ქ., 78), შუბლაძე დაპატიმრებულია.

### თვითმკვლელობის განზრახვა

გუშინ ელენე კონსტანტინეს ასულმა სოკოლოვსკაიამ (მცხ. რუსთაველის პროსპექტი, 37), მორფით მოიწამლა თავი. საავადმყოფოში მიყვანისას სოკოლოვსკაიას ქალი გარდაიცვალა.

### ჯიბგირობა

თბილისში ჩამოსულ სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარე სილიბისტრო ნავერიანს ვიღაც ჯიბგირმა გუშინ რუსთაველის პროსპექტზე ჯიბიდან ამოაცალა 880 მანეთი და მიიმალა.

### გამოტყუება

გუშინ, ერევნიდან ჩამოსულ აბრამ სოგომონის ძე ოსეპიანს უცნობმა პირმა აფერისტული გზით გამოსტყუა 1.050 მანეთი. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის დასაპატიმრებლად.

### მეზობლის დაჭრა

ყაზარ შაქრისძე მარტიაშვილმა სოფ. მარტყოფში თოფით დასჭრა თავისი მეზობელი მწყემსი—პეტრე გიგოლაძე აკოფაშვილი. მარტიაშვილი დაპატიმრებულია.

— სოფ. შავ-საყდრის (თბილისის მაზრა) მცხოვრებმა დათა ზაქროსძე ბასილაშვილმა ჩხუბის დროს კეტით დასჭრა მაგდანა ინაშვილი და სამსონ ინაშვილი. ბასილაშვილი დააპატიმრეს.

### უბედური შემთხვევა

გუშინწინ სოფ. ხრამში (წალკის სამილიციო რაიონი) ადგილი ჰქონდა შემდეგ უბედურ შემთხვევას. სოფ. შიპიაკის მცხოვრები ელენე ანასტოვი (70 წლისა) შეშის მოსატანათ წავიდა სოფ. ხრამში. როცა ანასტოვის ქალი შეშას სჭრიდა, კლდიდან ჩამოგორებული ქვა დაეცა თავზე და იქვე მოჰკლა.

### რეციდივისტების შეპყრობა

თბილისის სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: იოსებ არტემის ძე ვართანოვი, მაჩმედ უსეინ-ოღლი და პეტრე გიორგის ძე ფინიკაშვილი.

## ხელოვნება

### ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

ორშაბათს, 4 ივნისს, რუსთაველის თეატრში შესდგა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ალექსანდრე ივანესძე სუმბათაშვილი-იუჟინის ხსოვნის საღამო.

საღამოს პირველი ნაწილი შეიცავდა განსვენებულის მეგობართა მოგონებებს სუმბათაშვილ-იუჟინზე, როგორიც დიდ ხელოვანზე და ადამიანზე. განსვენებულის მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ, სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის სახელ. აკად. მცირე თეატრის დამსახურებულმა არტისტმა ა. იაბლოჩკინამ, რომელმაც წაიკითხა აგრეთვე ლეონოვის ლექსი იუჟინზე და ცოცხალი ყვავილებით შემკული გვირგვინი დაჰკიდა განსვენებულის სურათის წინ. ნემანის ლოტბარობით შესრულებულ იქნა შოპენის სამგლოვიარო მარში, რომლის მოსმენის დროს საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. დასასრულ მოსკოვის აკად. მცირე თეატრის მსახიობმა ვ. აქსიონოვმა წაიკითხა თავისი მოგონებანი ალ. სუმბათაშვილ-იუჟინზე.

საღამოს მეორე ნაწილი წარმოადგენდა საკონცერტო განყოფილებას. მ. კავსაძის ლოტბარობით ქართველ მომღერალთა გუნდმა შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები. ოთარ ბეგის არია ოპ. „ღალატიდან" და „სულო ბოროტო" შეასრულა მომღერალმა **ნ. ელიოზიშვილმა**. ერეკლეს არია ოპ. „ღალატი"-დან და „თავო ჩემო" შეასრულა ახალგაზრდა მომღერალმა **დავ. ბადრიძემ**. საღამოზე მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე **ნ. კარგარეთელმა** და **მ. ფურკელმანმა**.

საღამო დამთავრდა მოსკოვის სახ. აკად. მცირე თეატრის მსახიობის **ე. გოგოლევას** გამოსვლით. მის მიერ წაკითხულ იქნა რუქაიას ზღაპარი განსვენებულის პიესიდან „ღალატი", და თანამედროვე პოეტების ლექსები.

* * *

— **დისპუტი.** 8 ივნისს რუსთაველის თეატრში გაიმართება დისპუტი ექიმ-ვენეროლოგის ფრიდლენდის წიგნზე: „გამოკეტილ კარებში". მოხსენებას წაიკითხავს თვითონ ავტორი.

— **სიმფონიური კონცერტი.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში დღეს გაიმართება „სიმფონიური კონცერტი".

## სახ. უნივერსიტეტში

### წიგნების მიღება ლენინგრადიდან

ამ დღეებში თბილისის სახ. უნივერსიტეტმა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან მიიღო 350 ცალი სამეცნიერო ხასიათის სხვადასხვა წიგნები.

წიგნები გამოგზავნილია ბიბლიოთეკის დირექტორ აკად. **ნ. მარის** მიერ, რომელმაც თავისი თბილისში ყოფნის დროს უნივერსიტეტს აღუთქვა დახმარება სხვადასხვა ([illegible] ეგზემპლიარების) სამეცნიერო წიგნების თხოვების სახით.

მიღებული წიგნები გადაეცა უნივერსიტეტის წიგნთსაცავს.

### სამეცნიერო აკადემიის ახალი კანდიდატები

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიამ წარმოადგინა 42 ახალ წევრების კანდიდატურა აკადემიკოსების სახელწოდების მისაღებად. კავშირის ყველა საზოგადოებრივი და სამეცნიერო ორგანიზაციები შეუდგენ კანდიდატების შერჩევას.

სახ. უნივერსიტეტმა საკავშირო სამეცნიერო აკადემიიდან მიიღო ინსტრუქციები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს კანდიდატების დასახელება მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ.

უნივერსიტეტი ამ დღეებში შეუდგება თავის კანდიდატების დასახელებას.

## შრომის ბირჟაში

### მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 6 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ: **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** ელენე დუმბაძე, ლიუბა ახობაძე, პავლე წივწივაძე, მიხეილ სიხარულიძე, ერვანდ ვარძიგულოვი, სტეფანე კაჭკაჭოვი, მიხეილ დაჩკოვი, აიკ ხარაზოვი, აზ. დანდუროვი, ნ. საგოვა, ნინო მეცგერი, ფილიმონ ბელოჩკიანი, გ.ზოხაშვილი, ბიქტორ მგელაძე, ივანე ხაჩატუროვი, ბარბალე ისაგულოვა, ვერა კვირიკაშვილი, არამ შახმურადოვი, გრიგოლ ტყეშელაშვილი, ნადეჟდა გაბაშვილი, ნინო ავალიშვილი და პარმენ კობახიძე; **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** ევგენი ხუშბალაძე, მათე კიტაევი, ნიკოლოზ მელაძე, გიორგი ონეზაშვილი, კარაპეტ გალუსტიანი, მ. ტანცურიანი, არშენაკ მურადიანი, პეტრე მიმაროვი. არუთინ არუთინოვი, ხაჩატუროვი, შალვა დოხნაძე, გიორგი პაპიაშვილი, კ. სარქისოვი, ს. სარქისოვი, მ. ტერ-სარქისოვი, გრიგოლ მუხოტინი, ივანე ბედროვი, იოსებ ვაზაგაშვილი, ა. დოროშენკო, გრიგოლ მურადოვი, მუშეგ კარაპეტიანი, ნიკოლოზ სამადუროვი, არტემ გუხუშვილი, ნიკოლოზ მელაძე, გიორგი ონეზაშვილი; **საგარანტიო სექციიდან:** მელიქ ასპატელოვი, ოგანეს ოგანესოვი, იოსებ კაზაროვი, და ალექსი ყოჩიევი; **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** მიხეილ მედვედევი, ილია ბარკალაია, მიხეილ სახაროვი, ხაჩიკ აბულოვი, ანატოლ ალაპევი, ალექსი გუგუშვილი, ვლადიმერ შერაზიშვილი, ლევ დემსკი, ტიმოთე ზაიცევი, იოსებ ომიაძე; **მედსექციიდან:** ბარბალე მამაგეიშვილი, სირან ავალოვა, ს. ესსაკია.

## ავიაქიმში

### თავდაცვა-ავიაქიმის საზაფხულო მუშაობა

მიმდინარე საზაფხულო პერიოდი თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიერ გამოყენებულ იქნება პრაქტიკულ ორგანიზაციების რიცხვის გასაფართოებლად. ყურადღება მიექცევა ტირების, წრეების და ავიაქიმ-რაზმების დაარსებას.

ბანაკად გასულ სამხედრო ნაწილების დახმარებით ავიაქიმის ორგანიზაციები ჩაატარებენ ლაშქრობებს, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კომკავშირი, პროფკავშირები და თადარიგის მეთაურთა შემადგენლობა.

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ მზადებას ლაშქრობისათვის. განზრახულია ლაშქრობათა ჩატარებას მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

### მიღება სამხედრო-საჰაერო სკოლაში

დამთავრდა კანდიდატების გადარჩევა სამხედრო-საჰაერო თეორეტიულ სკოლაში გასაგზავნად.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი ხსენებულ სკოლაში გზავნის 8 კაცს.

## ჭადრაკი

### შეჯიბრი საქართველოს პირველობაზე

(მეორე ტური)

**ფედოროვი—გოგლიძე** (ალიოხინის დაცვა) ფედოროვმა პარტიის დასაწყისი კარგათ გაათამაშა და ფიგურათა ზედიზედ გაცვლით გადაიყვანა პარტია „ენდშპილში", აქ მან სუსტათ ითამაშა, დაკარგა პაიკი, რამოდენიმე სვლის შემდეგ გოგლიძემ პაიკი უკან შემოწირა და მიიღო ორი გამსვლელი პაიკი, რამაც გადასწყვიტა პარტიის ბედი მის სასარგებლოთ.

**მედვედიევი—ებრალიძე** (კარო კანის დაცვა). მედვედიევმა მე-14 სვლაზე წააგო პაიკი და უიმედო წინააღმდეგობის შემდეგ მე-66 სვლაზე დანებდა.

**კომაროვი—საროკინი** (ახალი ინდიური). კომაროვმა დებიუტით მიიღო თანასწორი მდგომარეობა, მაგრამ მე-22 სვლაზე დაუშვა შემცდარი სვლა პაიკით, რითაც საშუალება მისცა საროკინს მიეღო გამსვლელი პაიკი. საროკინმა ზუსტი თამაშით მიიყვანა პარტია კამარჯვებამდე.

**ოგანეზოვი—ტალვიკი** (ოქტის დებიუტი). ოგანეზოვმა კარგათ დაიწყო პარტია, შემდეგში შეასუსტა თავისი პოზიცია, რითაც ისარგებლა ტალვიკმა და ხანგრძლივი შეტევის შემდეგ მოიგო პაიკი; პირველი პაიკის დაკარგვას მოჰყვა მეორე, რის შემდეგ ოგანეზოვი დანებდა.

მდგომარეობა მეორე ტურის შემდეგ ასეთია: გოგლიძე, საროკინი+2, ებრალიძე+1 (1 დაუმთავრ.), ტალვიკი, ფედოროვი+1, ოგანეზოვი (1 დაუმთავრ.), მედვედიევი და კომაროვი—0.

### მცირე ჩემპიონატი

რუდნიკმა მოუგო ხალათოვს, ჯიოევმა იგურლოვსკის.

დღეს, 6 ივნისს, საღ. 6 საათზე ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შესდგება შეჯიბრის მეოთხე ტური. თამაშობენ: გოგლიძე—ებრალიძე; კომაროვი—ოგანეზოვი; ფედოროვი—ტალვიკი; მედვედიევი—საროკინი.

ვ. გოგლიძე.

## რადიო-გადაცემა

### ოთხშაბათი 6 ივნისი

დღეს, 6 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

სამკითხველოს მუშაობა ზაფხულში—მოხსენება ქართულ ენაზე.

მებაღეობა—მოხსენება ქართულ ენაზე.

სამხედრო სასწავლებლების შევსების შესახებ—მოხსენება ქართულ ენაზე.

ახალგაზრდობა და რელიგია—მოხსენება რუსულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—სომხურ ენაზე.

კოლმეურნეობათა მშენებლობის ამოცანების შესახებ—თურქულ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

საფოსტო ყუთი.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

## სტუდენტთა საყურადღებოდ

თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებისა ა. წ. 10 მაისიდან ტარდება სტუდენტთა სავალდებულო რეგისტრაცია. რეგისტრაციის მიზანია: გამორკვევა სტუდენტთა საერთო რიცხვის, სოციალური მდგომარეობის, ოჯახური მდგომარეობის, მისამართის, დაბადების წლის, ეროვნების, მატერიალური მდგომარეობის და სხვ.

ზემოაღნიშნულ კითხვების შესახებ დღეს სწორი ცნობები არ მოიპოვება უნივერსიტეტში, რაც ჰქმნის მრავალ დაბრკოლებებს უნივერსიტეტის ნორმალურ მუშაობაში. რეგისტრაციის მიზანია აგრეთვე გამომჟღავნება იმ სტუდენტების, რომელნიც მხოლოდ ქაღალდზედ ირიცხებიან და ისე კი უნივერსიტეტის უშვიათი სტუმრები არიან.

რეგისტრაცია გაგრძელდება 10 ივნისამდე. ის სტუდენტი, რომელიც დარჩება რეგისტრაციაში გაუტარებელი—მექანიკურად გამორიცხება უნივერსიტეტიდან და კვლავ აღარ იქნება მიღებული. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სტუდენტთა აღმასრულებელი ბიურო აფრთხილებს სტუდენტებს, რომ ვინც დღემდის არ გატარებულა რეგისტრაციაში დაუყოვნებლივ გატარდეს ა. წ. 10 ივნისამდე.

ს. კიკაბიძე.

## ებრაელთა მიწადმოწყობის საზოგადოების მიერ გამართულ ლატარიის მოგებანი

ქვემოდმოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა 1927 წ. 10 პროც. სესხის ობლიგაციების ერთი მეხუთედი ნაწილი:

751.256 791.256 845.669 899.153 952.070
752.212 792.212 846.961 902.070 954.615
752.226 792.226 849.153 904.615 955.504
756..043 796.043 856.961 905.504 962.070
761.256 805.669 859.153 912.070 964.615
762.212 806.961 865.669 914.615 965.504
762.226 809.153 866.961 915.504 972.070
766.043 815.669 869.153 922.070 974.615
771.256 816.961 875.669 924.615 975.504
772.212 819.153 876.961 925.504 982.070
772.226 825.669 879.153 932.070 984.615
776.043 826.961 885.669 934.615 985.504
781.256 829.153 886.961 935.504 992.070
782.212 835.669 889.153 942.070 994.615
782.226 836.961 895.669 944.615 995.504
786.043 839.153 896.961 945.504

ქვემოდმოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა მხატვარ რიბაკის სურათების ალბომი:

001.046 351.574 461.508 576.870 721.879
011.046 354.069 465.596 579.195 725.541
021.046 355.870 468.016 581.555 726.866
031.046 357.309 468.190 584.730 727.664
041.046 361.574 468.917 586.870 729.449
051.046 364.069 471.508 589.195 731.879
061.046 365.870 475.596 591.555 735.541
071.046 367.309 478.016 594.730 736.866
081.046 371.574 478.190 596.870 737.664
091.046 374.069 478.917 599.195 739.449
105.909 375.870 481.508 602.398 741.879
115.909 377.309 485.596 605.874 745.541
125.909 381.574 488.016 608.692 746.866
135.909 384.069 488.190 612.398 747.664
145.909 385.870 488.917 615.874 749.449
155.909 387.309 491.508 618.692 751.879
165.909 391.574 495.596 622.398 755.541
175.909 394.069 498.016 625.874 756.866
185.909 395.870 498.190 628.692 757.664
195.909 397.309 498.917 632.398 759.449
202.000 401.508 501.555 635.874 761.879
212.000 405.596 504.730 638.692 765.541
222.000 408.016 506.870 642.398 766.866
232.000 408.190 509.195 645.874 767.664
242.000 408.917 511.555 648.692 769.449
252.000 411.508 514.730 652.398 771.879
262.000 415.596 516.870 655.874 775.541
272.000 418.016 519.195 658.692 776.866
282.000 418.190 521.555 662.398 777.664
292.000 418.917 524.730 665.874 779.449
301.574 421.508 526.870 668.692 781.879
304.069 425.596 529.195 672.398 785.541
305.870 428.016 531.555 675.874 786.866
307.309 428.190 534.730 678.692 787.664
311.574 428.917 536.870 682.398 789.449
314.069 431.508 539.195 685.874 791.879
315.870 435.596 541.555 688.692 795.541
317.309 438.016 544.730 692.398 796.866
321.574 438.190 546.870 695.874 797.664
324.069 438.917 549.195 698.692 799.449
325.870 441.508 551.555 701.879 800.078
327.309 445.596 554.730 705.541 801.802
331.574 448.016 556.870 706.866 802.359
334.069 448.190 559.195 707.664 805.393
335.870 448.917 561.555 709.449 807.302
337.309.451.508 564.730 711.879 810.078
341.574 455.596 566.870 715.541 811.802
344.069 458.016 569.195 716.866 812.359
345.870 458.190 571.555 717.664 815.393
347.309 458.917 574.730 719.449 817.302

## თავდაცვა-ავიაქიმის მეორე საკავშირო ლატარია

თითეულმა ქვემოდმოყვანილ თერთმეტი ნომრიდან მოიგო ორი საფოსტო მტრედი (ღირებული 10 მან. თითო)

| ბილ. №№ | სერიების №№ | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.585 | 8 | 38 | 68 | 98 | 128 | 158 | 188 | 218 | 248 | 278 |
| 02.861 | 1 | 31 | 61 | 91 | 121 | 151 | 181 | 211 | 241 | 271 |
| 03.982 | 17 | 47 | 77 | 107 | 137 | 167 | 197 | 227 | 257 | 287 |
| 04.027 | 15 | 45 | 75 | 105 | 135 | 165 | 195 | 225 | 255 | 285 |
| 04.304 | 19 | 49 | 79 | 109 | 139 | 169 | 199 | 229 | 259 | 289 |
| 05.495 | 25 | 55 | 85 | 115 | 145 | 175 | 205 | 235 | 265 | 295 |
| 06.571 | | | | | | 245 | | | | |
| 07.508 | 3 | 33 | 63 | 93 | 123 | 153 | 183 | 213 | 243 | 273 |
| 09.003 | 2 | 32 | 62 | 92 | 122 | 152 | 182 | 212 | 242 | 272 |
| 09.888 | 30 | 60 | 90 | 120 | 150 | 180 | 210 | 240 | 270 | 300 |
| 09.980 | 28 | 58 | 88 | 118 | 148 | 178 | 208 | 238 | 268 | 298 |

თითეულმა ქვემოდმოყვანილ 20 ნომრიდან მოიგო სახაზავი ხელსაწყოები („ავტოვა ლინია")

| ბილ. №№ | სერიების №№ | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.031 | 11 | 41 | 71 | 101 | 131 | 161 | 191 | 221 | 251 | 281 |
| 00.395 | 13 | 43 | 73 | 103 | 133 | 163 | 193 | 223 | 253 | 283 |
| 00.443 | 13 | 43 | 73 | 103 | 133 | 163 | 193 | 223 | 253 | 283 |
| 01.286 | 21 | 51 | 81 | 111 | 141 | 171 | 201 | 231 | 261 | 291 |
| 02.673 | 18 | 48 | 78 | 108 | 138 | 168 | 198 | 228 | 258 | 288 |
| 02.853 | 17 | 47 | 77 | 107 | 137 | 167 | 197 | 227 | 257 | 287 |
| 02.974 | 24 | 54 | 84 | 114 | 144 | 174 | 204 | 234 | 264 | 294 |
| 03.094 | 11 | 41 | 71 | 101 | 131 | 161 | 191 | 221 | 251 | 281 |
| 03.532 | 14 | 44 | 74 | 104 | 134 | 164 | 194 | 224 | 254 | 284 |
| 04.401 | 23 | 53 | 83 | 113 | 143 | 173 | 203 | 233 | 263 | 293 |
| 05.419 | 25 | 55 | 85 | 115 | 145 | 175 | 205 | 235 | 265 | 295 |
| 05.466 | 26 | 56 | 86 | 116 | 146 | 176 | 206 | 236 | 266 | 296 |
| 05.492 | 28 | 58 | 88 | 118 | 148 | 178 | 208 | 238 | 268 | 298 |
| 05.905 | 16 | 46 | 76 | 106 | 136 | 166 | 196 | 226 | 256 | 286 |
| 06.652 | 5 | 35 | 65 | 95 | 125 | 155 | 185 | 215 | 245 | 275 |
| 06.810 | 29 | 59 | 89 | 119 | 149 | 179 | 209 | 239 | 269 | 299 |
| 09.127 | 21 | 51 | 81 | 111 | 141 | 171 | 201 | 231 | 261 | 291 |
| 09.263 | 8 | 38 | 68 | 98 | 128 | 158 | 188 | 218 | 248 | 278 |
| 09.512 | 9 | 39 | 69 | 99 | 129 | 159 | 189 | 219 | 249 | 279 |
| 09.731 | 19 | 49 | 79 | 109 | 139 | 169 | 199 | 229 | 259 | 289 |

თითეულმა ქვემოდმოყვანილ 25 ნომრიდან მოიგო კომპლექტი სამეცნიერო ხელსაწყოებისა ავიაცია-ქიმიის დარგში ღირებული 26 მან. თითეული):

| ბილ. №№ | სერიების №№ | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.062 | 17 | 47 | 77 | 107 | 137 | 167 | 197 | 227 | 257 | 267 |
| 00.565 | 2 | 32 | 62 | 92 | 122 | 152 | 182 | 212 | 242 | 272 |
| 01.133 | 25 | 55 | 85 | 115 | 145 | 175 | 205 | 235 | 265 | 295 |
| 01.324 | 18 | 48 | 78 | 108 | 138 | 168 | 198 | 228 | 258 | 288 |
| 01.611 | 13 | 43 | 73 | 103 | 133 | 163 | 193 | 223 | 253 | 283 |
| 01.952 | 20 | 50 | 80 | 110 | 140 | 170 | 200 | 230 | 260 | 290 |
| 02.026 | 28 | 58 | 88 | 118 | 148 | 178 | 208 | 238 | 268 | 298 |
| 02.404 | 9 | 39 | 69 | 99 | 129 | 159 | 189 | 219 | 249 | 279 |
| 03.158 | 11 | 41 | 71 | 101 | 131 | 161 | 191 | 221 | 251 | 281 |
| 03.408 | 7 | 37 | 67 | 97 | 127 | 157 | 187 | 217 | 247 | 277 |
| 03.620 | 20 | 50 | 80 | 110 | 140 | 170 | 200 | 230 | 260 | 290 |
| 03.664 | 25 | 55 | 85 | 115 | 145 | 175 | 205 | 235 | 265 | 295 |
| 04.199 | 15 | 45 | 75 | 105 | 135 | 165 | 195 | 225 | 255 | 285 |
| 05.081 | 21 | 51 | 81 | 111 | 141 | 171 | 201 | 231 | 261 | 291 |
| 05.094 | 2 | 32 | 62 | 92 | 122 | 152 | 182 | 212 | 242 | 272 |
| 05.416 | 25 | 55 | 85 | 115 | 145 | 175 | 205 | 235 | 265 | 295 |
| 06.296 | 22 | 52 | 82 | 112 | 142 | 172 | 202 | 232 | 262 | 292 |
| 07.659 | 12 | 42 | 72 | 102 | 132 | 162 | 192 | 222 | 252 | 282 |
| 07.737 | 6 | 36 | 66 | 96 | 126 | 156 | 186 | 216 | 246 | 276 |
| 07.787 | 22 | 52 | 82 | 112 | 142 | 172 | 202 | 232 | 262 | 292 |
| 08.188 | 27 | 57 | 87 | 117 | 147 | 177 | 207 | 237 | 267 | 297 |
| 08.190 | 30 | 60 | 90 | 120 | 150 | 180 | 210 | 240 | 270 | 300 |
| 08.407 | 2 | 32 | 62 | 92 | 122 | 152 | 182 | 212 | 242 | 272 |
| 09.565 | 23 | 53 | 83 | 113 | 143 | 173 | 203 | 233 | 263 | 293 |
| 09.839 | 14. | 44 | 74 | 104 | 134 | 164 | 194 | 224 | 254 | 284 |

## იურიდიული რჩევა-დახმარება

### ირაკლი ქორიძეს

კითხვა

გვიქირავს ერთი ოთახი—სივრცით 9 კვადრატული მეტრი, ვართ გლეხის შვილები, ვსწავლობთ ფინანსიურ-ეკ. კურსებზე. რამდენი უნდა ვიხადოთ ოთახის ქირა.

პასუხი

თუ თქვენ დაქირავებით არ მუშაობთ და იმყოფებით მშობლების კმაყოფაზე, ოთახზე უნდა იხადოთ 3 მან. 60 კაპ.

### კავშირის წევრს № 172382

კითხვა

ვცხოვრობ განაპირა უბანში, ჩემი ოთახის სივრცე 15 კვადრ. მეტრია, ქირას ვიხდი 8 მ. თვეში; ჯამაგირს ვიღებ 74 მან. რამდენი უნდა ვიხადო თვიურად და თუ არ მიიღოს როგორ მოვიქცე.

პასუხი

ბინის ქირის დებულების 4 და 18 მუხ. თანახმად თქვენ ოთახზე უნდა იხადოთ ორ-ორი მან. თვეში.

### კავშირის წევრს № 1855

კითხვა

ვარ სტუდენტი და ამასთანავე მოსამსახური; ჯამაგირი მაქვს თვეში 41 მან. 39 კაპ., ჩემი ოთახი, სივრცით 25 კვად. მეტრია, წარმოადგენს სარდაფს, მისი ჭერი მიწის ზედაპირიდან დაშორებული არის მხოლოდ ერთი მეტრით. ქირას ვიხდი 12 მან. თვეში. ერგება თუ არა სახლის პატრონს ოთახის ქირა 12 მან. თვეში და თუ არ ერგება—რამდენი უნდა გადავიხადო კვადრატიულ მეტრზე?

პასუხი

ჯამაგირის მიხედვით თქვენ უნდა გადაგეხადათ თერთმეტი კაპ. კვადრატ. მეტრზე, მაგრამ ვინაიდან თქვენი ოთახი ნახევრად სარდაფია და მისი იატაკი ნახ. მეტრზე უფრო დაბლაა—ვიდრე მიწის დონე, ბინის ქირის დებულების 17 მუხლის თანახმად მთელ ოთახში უნდა იხადოთ ორი მან. და 7 კაპ. თვეში.

### სოფ. მამათის (ყოფ. ძიძიგის) მცხოვ. [illegible] კატო და მარიამ [illegible]

კითხვა:

ჩვენი ოჯახი შესდგება შვიდი სულისაგან: ორი და, ქვრივი რძალი და ოთხი ძმის შვილები—ობლები, ნორმათ დაგვიტოვეს ექვსი ქცევა სათესი მიწა. აქედან ორი ქცევა წყალმა ისე გააფუჭა, რომ საყანეთ არ ვარგა. გარდა საყანე მიწისა ჩვენ გვაქვს ოთხი ქცევა ეზო და ხუთი ქცევა კარზე მოდებული [illegible] ტყე. კომისიამ შეამოწმა, რომ ამ ტყეში მოიჭრება მხოლოდ 15 საჟენი შეშა. 1926 წ. ზოგიერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა დაიწყეს ამ ტყიდან შეშის მოჭრა. ჩვენ ამის შესახებ მივმართეთ რაიონის სადგილ-მამულო სასამართლოს და უკანასკნელმა სცნო, რომ გარდა ჩვენი ოჯახისა არავის არ აქვს უფლება ამ ტყით ისარგებლოს. დღეს კი ადგილობრივი აღმასკომი გვიკრძალავს ამ ტყის სარგებლობას. გვეკითხებით, კანონიერია თუ არა აღმასკომის ასეთი მოქმედება ჩვენს მიმართ.

პასუხი:

რადგანაც თქვენი ოჯახი შესდგება 7 სულისაგან, კანონის მიხედვით თქვენ უნდა გქონდეს შრომითი სარგებლობაში ერთი სრული კანონიერი ნორმა, საშუალო ოჯახზე (3—5 სული) დაწესებული, და გარდა ამისა თითეულ ზედმეტ სულზე ერთი მეათედი ნორმისა. ამ ანგარიშით თუ განვსაზღვრავთ თქვენს ნორმას და მასთან მივიღებთ მხედველობაში მიწის შედგენილობას და ავკარგიანობას, გამოვა, რომ თქვენ გაქვთ სარგებლობაში ნორმაზე ცოტა მეტი მიწა. მაგრამ ეს ვერ მისცემს ადგილობრივ ორგანოს უფლებას ჩამოგართვას თქვენ კარზე ტყე, რადგანაც ამ ტყის ჩამორთმევის შემდეგ თქვენ კანონიერ ნორმაზე ბევრი დაგაკლდებათ. გარდა ამისა თქვენ ამ ტყის სარგებლობაც ვერ აგეკრძალებათ, რადგან იგი თქვენ დაგეტოვათ შრომით სარგებლობაში და მასზე თქვენი კანონიერი უფლება ცნობილ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 6 ივნისს, საღამოს 6 საათზე საქპროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი.

დღის წესრიგშია: უჯრედების ბიუროების გადარჩევის შედეგები ქალაქის რაიონში. ინფორმაციული მოხსენება რაიკომის მუშაგლეხ-ქალთა განყოფილების მუშაობის შესახებ საზაფხულო პერიოდში. მიღება და გადაგზავნა.

რაიკომის, სარევიზიო კომისიისა და უჯრედების ბიუროს წევრთა დასწრება სავალდებულოა.

სვერდლოვის სახ. კომუნისტური უნივერსიტეტის თანდაუსწრებელ მსმენელებს სთხოვენ შეიარონ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. იაკოვლევთან № 57 დავალებათა მისაღებად.

—:—

**სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი** იტყობინება, რომ დღეს, 6 ივნისს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ. სხდომაზე აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში წევრად და კანდიდატათ მიღების შესახებ.

---

გულმოკლულნი შვილები გიორგი. ვარლამ, ვალოდია, მართა და ნინუცა ცოლებით ქმრებით და შვილებითურთ აცნობებენ ნაცნობებთ და ნათესავებს, რომ სამშაბათს 12 ივნისს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

**ნატალია ვახტანგის ასულის ხუნდაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად. დაბა, საჭამიასერი (გურია) საკუთარ ეზოში. 2577

---

მწუხარებაში მყოფი პაწია შვილიშვილები ბიჭიკო და მერი ვალოდია ხუნდაძის ძე და ასული, იუწყებიან რომ სამშაბათს 12 ივნისს დამა საჭამიასერზედ (გურია) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი ბებოს

**ნატალია ვახტანგის ასულ ხუნდაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად 2577

---

ხუთშაბათს 7 ივნის საღამოს 5 საათზე ქალაქ ფოთში ნაბუტურის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

**მიხეილ ბესარიონის ძე ესაკიას**

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავ მეგობრებს დამწუხრებულნი ცოლშვილი და ძმები 2576

---

ღრმად დამწუხრებულნი ძმა ისიდორე მეუღლით—ირინე და შვილებით—გერონტი, სონა, სოკრატი და გრიგოლი; ძმისწული ევგენი მეუღლით—სოდა და შვილებით—მიშა, კაკო, ავთანდილ და დურმიშხან აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 4 ივნისს გარდაიცვალა საყვარელი

**თედორე სიმონისძე შიშინაშვილი**

დაკრძალვა დღეს, 6 ივნისს, 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ქალაქის მეორე (ყოფ. ალექსანდროვის) საავადმყოფოდან. 2585

---

დამწუხრებულნი ცოლი მარიამ, შვილი ქსენია და სიძე პოლია ცანავა ამით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სამ ივნისს გარდაიცვალა

**სილიბისტრო ტიმოთეს ძე ყორდანია**

დაკრძალვა 7 ივნისს სოფელ ბომვეთში. ნ. 1202

---

| | |
|---|---|
| საზაფხულო ეთერი | დუგლას ფერბენკსი, ადოლფ მენჟუ და ბარბარა ლა-მარ სურათში „სამი მუშკეტერი" |
| მინიონი | |
| საზაფხულო დარბაზი | მეორე კვირა „კენიგსმარკ" პიერ ბენუას რომანის მიხედვით |
| საზაფხულო პალასი | დიდის წარმატებით მიდის „ზღვის გმირი" 1 და 2 სერია ერთად |
| აპოლო | მხატვრული ფილმი „პანბურლეის საფლავი" მთავარ როლში გორონიხინი |
| სოლეი | ამერიკის საუკეთესო ტრიუკისტი ვილიამ დესმონდი საინტერესო კინო-რომანში „საიდუმლოებათა კუნძული" 1 და 2 სერია ერთად |
| ოდეონი | მხატვრული სურათი „სოროჩინის ბაზრობა" გოგოლის ნაწარმოების მიხედვით. |
| პროლეტარი ავლაბარი | „მეჟრაბპომ-რუს"-ის გამოშვება „ასეთი ქალი" |

სახკინმრეწვის კინოები

ანონსი:—მალე მხატვრული ფილმი „ჯვანძი" 0—5

საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების საზაფხულო კლუბი (ჟორესის ქ.)

დღეს, 6 ივნისს,
სახელმწიფო ოპერის აკადემიური ორკესტრის (55 მსახ.)

სიმფონიური კონცერტი

მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით. დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე.
ბაღში კინო. წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს ვერ შეუშლის. ნ. 1199

---

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 10 ივნისს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1200

---

იყიდება

გიორგი პო[illegible]სეული სახლი

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.

0—9 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

კინო თეატრებში ეთერი—მინიონი საზაფხულო

დღეს და უოველდღე ერთდაიმავედროს

დუგლას ფერბენკსი, ადოლფ მენჟუ, ბარბარა ლია-მარ

საუკეთესო სურათში

„სამი მუშკეტერი"

2 სერიათ. ორივე სერია ერთად
სიმფონიური ორკესტრი.

ნ. 1201

---

### გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

---

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

**დ. აშორდია**

ამით აცხადებს, რომ ის 23 ივნისს 1928 წ. დილის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ზოსიმე და კესარია გურგენიძეების სახლს № 82 მდებარე ქ. ქუთაისში, ზდანოვიჩის ქუჩაზე, რომელიც შეიცავს სამი თვალ საცხოვრებელ ოთახს სამზარეულოს და შუშაბანდებით დახურულს კრამიტით, შეფასებულს 1000 მან. ივანე ჩიხლაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული სამოქ. საპრ. კოდ. 311 და 312 მუხ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 1198

---

საჩხერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

**გ. კილაძე**

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 7 ივნისს დღის 3 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** სიმო ივანეს-ძე მაჭარაშვილის მოძრავ ქონებისა 1) სამოც და რვა ღერი სამსამარშინიანი წიფლის ფიცრისა, 2) ერთი ცხვარი, 3) ერთი სახლზე მიდგმული პატარა ოთახისა დახურული კრამიტით, 4) თორმეტი ღერი სასაძირკვლე ხეებისა და 5) ერთი უსახურაო სალორისა შეფასებული სამოც და შვიდ (67) მანეთად დასაკმაყოფილებლად მაია მაჭარაშვილის ასი (100) მანეთის ვალისა თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა გაცემული საჩხერის უბნის სახალხო სასამართლოს მიერ ა. წ. 16 მარტის თარიღით № 489 საჯარო ვაჭრობა დანიშნულია ადგილობრივ სოფელ შომახეთში (კორბოულის თემი). 2573

---

საჩხერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

**გ. კილაძე**

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 7 ივნისს დღის 2 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ვასილ იოსების-ძე მაჭარაშვილის მოძრავ ქონებისა სოფელ შომახეთში (კორბოულის თემი) 1) ხე-ტყის სამასალე სახლისა ფიცრების, გადასაკიდების და სხვის 40 ღერად, 2) ერთი საწნახლისა, 3) ორი ჭურისა, 4) ერთი საქმლების მაგიდისა და 5) სამასი ცალი აგურისა შეფასებული სულ სამოც და თოთხმეტ მანეთად დასაკმაყოფილებლად სარდიონ მაჭარაშვილის 79 მანეთის ვალისა თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა საჩხერის უბნის სახალხო სასამართლოსი 11 და 17 ნოემბრის 1927 წ. თარიღით №№ 2376 და 2424 საჯარო ვაჭრობა დანიშნულია ადგილობრივ სოფელ შომახეთში.

---

საჩხერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებული

**გ. კილაძე**

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 9 ივნისს დღის 3 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** აწერილ ვასილ როსტომის-ძე ბურჯენაძის მოძრავ ქონებისა დაბა საჩხერეში 1) აგებულ აგურის ქარხნის შენობის ერთი მეოთხედი მონაწილეობისა 2) ოცი ღერი ლამფისა, 3) სამი ღერი წიფლის ფიცრისა, 4) ქარხნის წინ გაკეთებულ სახურავის ყავრით, ლამფით და სხვა მასალისა, 5) აგურის საჭრელი ერთი კალაპოტისა, 6) ერთი ტაჩკისა, 7) ერთი ლაფათქის და ერთი თოხისა, 8) ერთი საზელი მანქანისა შეფასებულია სულ ასოთხმოცდათერთმეტ (191) მანეთად დასაკმაყოფილებლად გალაქტიონ ანტონის-ძე ნადირაძის 200 მანეთის ვალისა თანახმად გაპროტესტებული თამასუქისა ქიათურის სახელმწიფო სანოტარო კანტორისა 4 ნოემბრის 1927 წ. თარიღით № 608.

---

ქუთ. მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

**დ. აშორდია**

აცხადებს, რომ 27 ივნისს 1928 წელს, დილის 11 საათზე, სოფ. ფარცხანაყანევში, ქუთაისის მაზრისა გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ფილიპე თომას-ძე კიკვაძის ქონებას: ერთ თვალ ხის დუქნის დარაბას დასანგრევს, დახურულს ყავრით, რომელსაც აქვს ერთი კარი, გაპოლილია, ზევით სიგრძით რვა არშინი, განით 6 არშინი, სიმაღლით 3 არშინ ნახევარი—ვლადიმერ შავგულიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, დუქანი დაფასებულია 70 მანეთად, საიდანაც დაიწყება ვაჭრობა. მსურველებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა, მხოლოდ საწინდარია 10 პროც. ნ. 1198

---

ქ. თბილისის მე-3 უბნის სასამართლოს აღმასრულებ.

**ი. დ. გიორგაძე**

ამით აცხადებს, რომ ის 9 ივნისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3 სურფ-კარაპეტის ქ. მე-3 უბ. სახალ. სასამართლოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბრალდებულ, ალი ასკერ ნაჯაფ-ოღლის და სხვების საქმეზე მოძრავ ქონებას: ნივთიერ დასამტკიცებელ საბუთებს 115 ც. აბრეშუმის ქოლაიოლებს და აბრეშუმის ძაფი მე-2 ხარისხისა შეფასებულს 245 მანეთად, დაზარალებულ აბას ბაგირ ზადეს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 10 მაისის 1928 წ. თარიღით, № 913 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2584

---

**საჯარო ვაჭრობით**

ივნისის 8-ს შუადღის 1 საათზე შუა ბაზარში „თბილისის ვაჭრობის" საწყობში № 22 (62 ძველი ნომრით)

„კავშირთ-კავშირის"

**სალიკვიდაციო კომისია**

გაჰყიდის „კავშირთ-კავშირის" ქონებას: კასრებს, ღვინის მანქანებს, ძველი ღვინოების კოლექციას ბოთლებით (40 და მეტი წლისა), სკამებს და სხვას, შეფასებულს 2109 მანეთად.

2575 სალიკვიდაციო კომისია.

---

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყურლანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10 სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—2

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქ. კუთხე.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოვეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი

დარეჯან ე. თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—9 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

**დაიკარგა:** მუშკოოპის წიგნაკი № 30607 ანა ფილიპეს ასული მამულიას სახელზე, ჩ. გ. 2582

**დაიკარგა:** სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების მოწმობა რომანოზ ჯალაღონიას სახელზე, ჩ. გ. 2578

**დაიკარგა:** სამხედრო სამსახურის წიგნაკი № 555, გაცემული ნაქალაქევის სამხ. მაგ. უფროსის მიერ ამბროსი ივანესძე ძაგანიას სახელზე, ჩ. გ. 2578

**დაიკარგა:** კავშირის წიგნაკი № 23620, კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 613, ბავშვის დაბადების მოწმობა № 223 და საივნილებო ფურცელი № 704—691 ისაკ აჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2578

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობა, მოცემული სარატოვის მილიციიდან რუვენ მოსესძე ფინკელშტეინის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1198

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობა გაცემული ბორითის თემაღმასკომის მიერ დავით ოქროპირისძე პაქსაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2579

**დაიკარგა:** სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი, გაცემული ხაშურის სამხედრო მაგიდის მიერ მიხეილ ბაგრატისძე ჟუჟუნაძის სახელზე, ჩ. გ. 2579

**დაიკარგა:** კავშირის წიგნაკი № 1604, გაცემული ირაკლი სერგოს ძე მესხის სახელზე, ჩ. გ. 2580

**დაიკარგა:** მეტრიკული მოწმობა თამარა ალექსანდრეს ასულის ჩვავას სახელზე, ჩ. გ. 2581

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობა მატრონე გიორგის ასული ნადერეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2583

მთავლიტი № 964. პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 6ა